

საქართველო

ბავშვებისა და ქალების მდგომარეობის მონიტორინგი



მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა
2005



საქართველოს სტატისტიკის
სახელმწიფო დეპარტამენტი

NCDC
GEORGIA

დაავადებათა კონტროლის
ეროვნული ცენტრი

unicef 
unite for children

გაეროს
ბავშვთა ფონდი

 MICS

საქართველო

ბავშვებისა და ქალების მდგომარეობის მონიტორინგი

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა
2005

გამოცემულია 2008 წლის ივნისში.
გარეკანის ფოტო: მარიაკა ამურველაშვილი

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა საქართველოში ჩაატარა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა და დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა. მათ ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა გაუწია გაეროს ბავშვთა ფონდმა („იუნისეფმა“). კვლევა ჩატარდა 2005-2006 წლებში მთელის მსოფლიოს მასშტაბით 50-ზე მეტ ქვეყანაში ჩატარებული მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევების მესამე რაუნდის (MICS3) ფარგლებში. პირველი ორი რაუნდი 1995 და 2000 წლებში ჩატარდა. კვლევის მეთოდები ეფუძნება მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მსოფლიო პროექტის ფარგლებში დანერგილ მოდელებსა და სტანდარტებს, რომლებიც მთელი მსოფლიოს ქვეყნებში ბავშვებისა და ქალების მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვების მიზნით შემუშავდა. დამატებითი ინფორმაცია მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მსოფლიო პროექტის შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: www.childinfo.org.

ქირითაღი მონაცემები - შამაჯამეხელი ცხრილი

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევების (მკკ) და ათასწლეულის განვითარების მიზნების (აგმ) ინდიკატორები, საქართველო, 2005 წელი

საკითხი	მკკ ინდიკატორის ნომერი	აგმ ინდიკატორის ნომერი	ინდიკატორი	სიდიდე	
ბავშვთა სიკვდილიანობა					
ბავშვთა სიკვდილიანობა	1	13	ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი	35	ათასზე
	2	14	ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი	31	ათასზე
კვება					
კვების მხრივ არსებული მდგომარეობა	6	4	წონანაკლებობის მაჩვენებელი	2.1	პროცენტი
	7		ზრდის შეჩერების მაჩვენებელი	10.4	პროცენტი
	8		გამოფიტვის მაჩვენებელი	2.1	პროცენტი
ძუძუთი კვება	45		ძუძუთი კვების დროული დაწყება	36.6	პროცენტი
	15		მხოლოდ ძუძუთი კვების მაჩვენებელი	10.9	პროცენტი
	16		ხანგრძლივი ძუძუთი კვების მაჩვენებელი 12-15 თვის ასაკში	40.5	პროცენტი
			20-23 თვის ასაკში	19.6	პროცენტი
	17		დამატებითი კვების დროულად დაწყების მაჩვენებელი	34.8	პროცენტი
	18		დამატებითი კვების სიხშირე	28.1	პროცენტი
	19		ჩვილები, რომლებიც სათანადოდ იკვებებიან	19.8	პროცენტი
მარილის გამდიდრება იოდით	41		იოდით გამდიდრებული მარილის მოხმარება	87.2	პროცენტი
ვიტამინი A	43		ვიტამინი A-ს დამატება (ახლადნამშობიარევი დედები)	15.8	პროცენტი
მცირე წონა დაბადებისას	9		ჩვილები დაბადებისას მცირე წონით	4.7	პროცენტი
	10		დაბადებისას ანონილი ჩვილები	95.7	პროცენტი
ბავშვთა ჯანმრთელობა					
დაავადების მკურნალობა	33		პერორალური რეჰიდრატაციის თერაპიის გამოყენება	50.1	პროცენტი
	34		დიარეის შინაურ პირობებში მკურნალობა	20.6	პროცენტი
	35		პერორალური რეჰიდრატაციით მკურნალობა ან მეტი სითხის მიღება და კვების გაგრძელება	36.5	პროცენტი
	23		ექიმისთვის მიმართვა სავარაუდო პნევმონიის შემთხვევაში	73.6	პროცენტი
	22		სავარაუდო პნევმონიის მკურნალობა ანტიბიოტიკებით	55.5	პროცენტი
მყარი საწვავის გამოყენება	24	29	მყარი საწვავი	53.6	პროცენტი
ბარემო					
წყალი და სანიტარული პირობები	11	30	სასმელი წყლის გაუმჯობესებული წყაროების გამოყენება	94.2	პროცენტი
	13		წყლის განმენდა	4.6	პროცენტი
	12	31	გაუმჯობესებული სანიტარული კვანძები	96.8	პროცენტი
	14		ბავშვის განავლის გატანა	56.3	პროცენტი
რეპროდუქციული ჯანმრთელობა					
კონტრაცეფცია და დაუკმაყოფილებ. მოთხოვნილება	21	19ც	კონტრაცეფციის გამოყენების მასშტაბი	31.5	პროცენტი
დედისა და ახალშობილის ჯანმრთელობა	20		ანტენატალური მეთვალყურეობა	96.3	პროცენტი
	44		ანტენატალური მეთვალყურეობის შინაარსი		
			გაკეთდა სისხლის ანალიზი	95.4	პროცენტი
			წნევა გაზომილი იქნა	94.7	პროცენტი
			გაკეთდა შარდის ანალიზი	95.6	პროცენტი
			პაციენტი აინონა	94.7	პროცენტი
	4	17	კვალიფიციური დამხმარე მშობიარობისას	98.3	პროცენტი
	5		მშობიარობა სამედიცინო დაწესებულებაში	95.5	პროცენტი

საკითხი	მკვ ინდიკა- ტორის ნომერი	ავმ ინდიკა- ტორის ნომერი	ინდიკატორი	სიდიდე	
ბავშვის განვითარება					
ბავშვის განვითარება	46		ხელშეწყობა სწავლაში	84.0	პროცენტი
	47		ხელშეწყობა სწავლაში მამის მხრიდან	56.3	პროცენტი
	48		ხელშეწყობა სწავლაში: საბავშვო წიგნები	72.1	პროცენტი
	49		ხელშეწყობა სწავლაში: არასაბავშვო წიგნები	83.2	პროცენტი
	50		ხელშეწყობა სწავლაში: სათამაშოები	12.7	პროცენტი
	51		ზრუნვა ბავშვების მხრიდან	7.9	პროცენტი
განათლება					
განათლება	52		სკოლამდელ დანესებულებებში სიარული	43.2	პროცენტი
	53		სკოლისათვის მზაობა	60.4	პროცენტი
	54		დანებით სკოლაში ჩარიცხვის წმინდა მაჩვენებელი	72.7	პროცენტი
	55	6	დანებით სკოლაში სიარულის წმინდა მაჩვენებელი	94.6	პროცენტი
	56		საშუალო სკოლაში სიარულის წმინდა მაჩვენებელი	88.3	პროცენტი
	57	7	ბავშვები, რომლებიც აღწევნენ მეხუთე კლასამდე	99.0	პროცენტი
	58		საშუალო სკოლაში გადასვლის მაჩვენებელი	99.5	პროცენტი
	59	7ბ	დანებითი სკოლის დამთავრების მაჩვენებელი	70.2	პროცენტი
	61	9	გენდერული თანასწორობის ინდექსი		
			დანებითი სკოლა	1.01	კოეფიციენტი
			საშუალო სკოლა	0.98	კოეფიციენტი
წერა-კითხვის ცოდნა	60	8	ზრდასრული მოსახლეობის მიერ წერა-კითხვის ცოდნა	99.3	პროცენტი
ბავშვთა დაცვა					
დაბადების რეგისტრაცია	62		დაბადების რეგისტრაცია	91.9	პროცენტი
ბავშვის შრომა	71		ბავშვის შრომა	18.4	პროცენტი
	72		მშრომელი მოსწავლეები	94.6	პროცენტი
	73		მოსწავლე მშრომელები	18.9	პროცენტი
ბავშვების დისციპლინა	74		ბავშვების დისციპლინა		
			ნებისმიერი ფსიქოლოგიური / ფიზიკური დასჯა	66.1	პროცენტი
ადრეული ქორწინება	67		ქორწინება 15 წლამდე	1.9	პროცენტი
			ქორწინება 18 წლამდე	17.7	პროცენტი
	68		15-19 წლის ახალგაზრდა ამაჟამად დაქორწინებული / კავშირში მყოფი ქალები	10.7	პროცენტი
	69		განსხვავება მეუღლეთა ასაკში		
			15-19 წლის ქალები	20.4	პროცენტი
			20-24 წლის ქალები	11.6	პროცენტი
ძალადობა ოჯახში	100		დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ	6.9	პროცენტი
შეზღუდული შესაძლებლობები	101		შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები	14.4	პროცენტი
ობოლი და დაუცველი ბავშვები	75		ობლების რაოდენობა	4.9	პროცენტი
	78		ბავშვების საცხოვრებელი პირობები	2.9	პროცენტი
ცოდნა აივ/შიდს-ის შესახებ და დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ					
ცოდნა აივ/შიდს-ის შესახებ და დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ	82	19ბ	ახალგაზრდებს შორის აივ-ს პრევენციის შესახებ სრულყოფილი ცოდნა	15.0	პროცენტი
	89		აივ-ს დედისგან შვილისთვის გადაცემის შესახებ ცოდნა	45.6	პროცენტი
	86		ადამიანების დამოკიდებულება აივ/შიდს-ის მიმართ	6.4	პროცენტი
	87		ქალები, რომელთაც იციან, თუ სად უნდა აიღონ ანალიზი აივ-ზე	29.3	პროცენტი
	88		ქალები, რომელთაც გაიკეთეს ანალიზი აივ-ზე	11.0	პროცენტი
	90		აივ-ს დედისგან შვილისთვის გადაცემის პრევენციასთან დაკავშირებული კონსულტაციების მასშტაბი	41.5	პროცენტი
	91		აივ-ს დედისგან შვილისთვის გადაცემის პრევენციის მიზნით ანალიზების ჩატარების მასშტაბი	40.7	პროცენტი

ცხრილების ჩამონათვალი.....	7
დიაგრამების ჩამონათვალი	9
აბრევიატურები	10
მადლობები.....	11
წინასიტყვაობა.....	12
I. შესავალი.....	17
ზოგადი ინფორმაცია	17
კვლევის ამოცანები.....	20
II. შერჩევისა და კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია	21
შერჩევის დიზაინი.....	21
კითხვარები.....	21
ტრენინგი და სავსელე სამუშაო.....	22
მონაცემთა დამუშავება	23
III. შერჩევის მოცულობა და შინამეურნეობებისა და რესპონდენტების მახასიათებლები	24
შერჩევის მოცულობა.....	24
შინამეურნეობების მახასიათებლები.....	24
რესპონდენტების მახასიათებლები.....	25
IV. ბავშვთა სიკვდილიანობა.....	27
V. კვება.....	30
კვების მხრივ არსებული მდგომარეობა.....	30
ძუძუთი კვება	32
მარილის გამდიდრება იოდით	34
მშობიარობის შემდეგ დედების მიერ ვიტამინი -ს მიღება	35
მცირე წონა ახალშობილებში	36
VI. ბავშვების ჯანმრთელობა	38
პერორალური რეჰიდრატაციით მკურნალობა.....	38
პნევმონიისას ექიმისთვის მიმართვა და მკურნალობა ანტიბიოტიკებით	40
მყარი საწვავის გამოყენება.....	41
VII. გარემო.....	42
წყალი და სანიტარული პირობები	42
VIII. რეპროდუქციული ჯანმრთელობა.....	45
კონტრაცეფცია.....	45
ანტენატალური მეთვალყურეობა	45
დახმარება მშობიარობისას	47
IX. ბავშვის განვითარება	49
X. განათლება	51
ბავშვების სიარული სკოლამდე და დასრულებულ შემთხვევებში და მათი მზაობა სკოლისათვის.....	51
დაწყებით და საშუალო სკოლებში ბავშვების სიარული.....	51
წერა-კითხვის მცოდნე სრულწლოვანები.....	53

XI. ბავშვთა დაცვა.....	54
დაბადების რეგისტრაცია	54
ბავშვთა შრომა	54
ბავშვების დისციპლინა	55
ადრეული ქორწინება	57
ძალადობა ოჯახში.....	57
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები	57
ბავშვების საცხოვრებელი პირობები და ობოლი ბავშვები	57
XII. ცოდნა აივ/შიდს-ის შესახებ და დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ	59
ცოდნა ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის გავრცელების შესახებ და კონდომის გამოყენება.....	59
გამოყენებული ლიტერატურა	62
სტატისტიკური ცხრილები	63
დანართი A. შერჩევის დიზაინი	126
დანართი B. კვლევაში მონაწილე თანამშრომელთა სია.....	131
დანართი C. შერჩევის შეცდომების შეფასება.....	132
დანართი D. მონაცემთა ხარისხის ცხრილები.....	148
დანართი E. MICS ინდიკატორები: მრიცხველები და მნიშვნელები.....	156
დანართი F. კითხვარები	160

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი HH.1:	შინამეურნეობებისა და ინდივიდუალური ინტერვიუები.....	65
ცხრილი HH.2:	შინამეურნეობათა განაწილება ასაკის მიხედვით	66
ცხრილი HH.3:	შინამეურნეობის შემადგენლობა	67
ცხრილი HH.4:	ქალების ძირითადი მახასიათებლები.....	68
ცხრილი HH.5:	ბავშვების ძირითადი მახასიათებლები	69
ცხრილი CM.1:	ბავშვთა სიკვდილიანობა	70
ცხრილი CM.2:	დაბადებული ბავშვები და გარდაცვლილთა წილი	70
ცხრილი NU.1:	ბავშვის არასაკმარისი კვება.....	71
ცხრილი NU.2:	თავდაპირველი ძუძუთი კვება.....	72
ცხრილი NU.3:	ძუძუთი კვება	73
ცხრილი NU.4:	ჩვილები, რომლებიც ადეკვატურად იკვებებიან	74
ცხრილი NU.5:	იოდით გამდიდრებული მარილის მოხმარება.....	75
ცხრილი NU.6:	მშობიარობის შემდგომ პერიოდში დედებისთვის A ვიტამინის დამატება	76
ცხრილი NU.7:	წონანაკლული ახალშობილები	77
ცხრილი CH.1:	პერორალური რეჰიდრატაციით მკურნალობა.....	78
ცხრილი CH.2:	დიარეის მკურნალობა შინაურ პირობებში	79
ცხრილი CH.3:	ექიმისთვის მიმართვა სავარაუდო ფილტვების ანთების დროს.....	80
ცხრილი CH.4:	ფილტვების ანთების მკურნალობა ანტიბიოტიკებით.....	81
ცხრილი CH.5:	პნევმონიის საშიშროების ორი ნიშნის ცოდნა	82
ცხრილი CH.6:	მყარი საწვავის მოხმარება	83
ცხრილი CH.7:	მყარი საწვავის გამოყენება ღუმელის ან ცეცხლის ტიპის მიხედვით	84
ცხრილი EN.1:	წყლის გაუმჯობესებული წყაროების გამოყენება	85
ცხრილი EN.2:	შინამეურნეობაში წყლის გასუფთავება	86
ცხრილი EN.3:	წყლის წყარომდე მისვლისთვის საჭირო დრო.....	87
ცხრილი EN.4:	წყლის მომტანი ადამიანი.....	88
ცხრილი EN.5:	სანიტარული საშუალებების გამოყენება ექსკრემენტებისთვის	89
ცხრილი EN.6:	ბავშვის განავლის გატანა.....	90
ცხრილი EN.7:	წყლის გაუმჯობესებული წყაროების და გაუმჯობესებული სანიტარული კვანძების გამოყენება.....	91
ცხრილი RH.1:	კონტრაცეფციის გამოყენება	92
ცხრილი RH.2:	ანტენატალური მეთვალყურეობის დანესებულება	94
ცხრილი RH.3:	ანტენატალური მეთვალყურეობა.....	95
ცხრილი RH.4:	ანემიის გავრცელება ქალებში.....	96
ცხრილი RH.5:	დახმარება მშობიარობისას	97
ცხრილი CD.1:	ხელშეწყობა ოჯახის მხრიდან სწავლაში.....	98
ცხრილი CD.2:	სასწავლო მასალები.....	99
ცხრილი CD.3:	მარტო ან სხვა ბავშვებთან დატოვებული ბავშვები	100
ცხრილი ED.1:	განათლება ადრეულ ასაკში.....	101
ცხრილი ED.2:	შესვლა დანყებით სკოლაში	102
ცხრილი ED.3:	დანყებით სკოლაში სიარულის წმინდა მაჩვენებელი	103
ცხრილი ED.4:	საშუალო სკოლაში სიარულის წმინდა მაჩვენებელი	104
ცხრილი ED.5:	საშუალო სკოლის ასაკის ბავშვები, რომლებიც დადიან დანყებით სკოლაში	105
ცხრილი ED.6:	ბავშვები, რომლებიც აღწევენ მეხუთე კლასს.....	106
ცხრილი ED.7:	დანყებითი სკოლის დასრულება და გადასვლა საშუალო სკოლაში	107
ცხრილი ED.8:	გენდერული თანასწორობა განათლებაში.....	108
ცხრილი ED.9:	წერა-კითხვის ცოდნა მოზრდილებში	109
ცხრილი CP.1:	დაბადების რეგისტრაცია	110
ცხრილი CP.2:	ბავშვის შრომა.....	111
ცხრილი CP.3:	მშრომელი მოსწავლეები და მოსწავლე მშრომელები.....	112
ცხრილი CP.4:	ბავშვთა დისციპლინა	113
ცხრილი CP.5:	ადრეული ქორწინება.....	114
ცხრილი CP.6:	ასაკობრივი განსხვავება მეულღეებს შორის	115
ცხრილი CP.7:	დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ.....	116

ცხრილი CP.8: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები	117
ცხრილი HA.1: აივ-ის გავრცელების პრევენციის ცოდნა	118
ცხრილი HA.2: აივ/შიდს-ის შესახებ მცდარი წარმოდგენების იდენტიფიცირება	119
ცხრილი HA.3: ამომწურავი ცოდნა აივ/შიდს-ის გავრცელების შესახებ	120
ცხრილი HA.4: ცოდნა აივ-ის დედისგან ბავშვისთვის გადაცემის შესახებ	121
ცხრილი HA.5: დამოკიდებულება აივ/შიდს-ის მქონე ადამიანების მიმართ	122
ცხრილი HA.6: აივ-ის ანალიზის ჩატარების ადგილის ცოდნა	123
ცხრილი HA.7: აივ-ის ანალიზი და რჩევები ანტენატალურ პერიოდში	124
ცხრილი HA.8: ბავშვების ცხოვრების პირობები და ობლობა	125

დიაგნოზის ჩამონათვალი

დიაგრამა HH.1:	ასაკისა და სქესის განაწილება შინამეურნეობებში	25
დიაგრამა CM.1:	5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლები ძირითადი მახასიათებლების მიხედვით	28
დიაგრამა CM.2:	5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლების ტენდენცია	29
დიაგრამა NU.1:	5 წლამდე ასაკის იმ ბავშვების პროცენტული ოდენობა, ვინც ცუდად იკვებება.....	31
დიაგრამა NU.2:	იმ დედების პროცენტული რაოდენობა, ვინც დაინყო ბავშვის ძუძუთი კვება დაბადებიდან ერთ საათში და ერთ დღეში.....	33
დიაგრამა NU.3:	ჩვილთა კვება ასაკის მიხედვით: 3 წლამდე ბავშვთა კვების პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით	34
დიაგრამა NU.4:	პროცენტული რაოდენობა შინამეურნეობებისა, რომლებიც მოიხმარენ სათანადოდ იოდიზირებულ მარილს	35
დიაგრამა NU.5:	იმ ჩველების პროცენტული ოდენობა, ვინც დაბადებისას 2500 გრამზე ნაკლებს იწონიდა	37
დიაგრამა CH.3:	0-59 თვის ასაკის დიარეიან ბავშვთა პროცენტული ოდენობა, ვისაც ჩაუტარდა ორალური რეჰიდრატაციით მკურნალობა	39
დიაგრამა CH.4:	0-59 თვის ასაკის დიარეიან ბავშვთა პროცენტული ოდენობა, ვისაც ჩაუტარდა ორალური რეჰიდრატაციით მკურნალობა ან ვინც იღებდა სითხეებს და აგრძელებდა კვებას	40
დიაგრამა EN.1:	შინამეურნეობის წევრთა პროცენტული განაწილება სასმელი წყლის წყაროს მიხედვით	43
დიაგრამა HA.1:	იმ ქალების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც აქვთ სრულყოფილი ცოდნა აივ-შიდს-ის გავრცელების შესახებ	60

აბრევიატურები

აივ	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი
AIHA	ამერიკის საერთაშორისო ჯანმრთელობის ალიანსი
დყტ	დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსი
GERHS-1999	საქართველოს ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა, 1999-2000
GERHS-2005	საქართველოს ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა, 2005
გთი	გენდერული თანასწორობის ინდექსი
ლამ	ლაქტაციური ამენორეის მეთოდი
MDG	„ათასწლეულის განვითარების მიზნები“
MICS	მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა
SPSS	სოციალურ მეცნიერებათა სტატისტიკური პაკეტი
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
UNGASS	გაეროს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია აივ/შიდს-ის შესახებ
UNHCR	გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი
UNICEF	გაეროს ბავშვთა ფონდი - „იუნისეფი“
USAID	აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
შიდს-ი	შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი
WFFC	„მსოფლიო ბავშვებისათვის“
WHO	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

მადლობები

„იუნისეფ-საქართველო“ სარგებლობს შესაძლებლობით და დიდ მადლობას მოახსენებს თავის კოლეგებს ჟენევის სათავო ოფისსა და რეგიონულ ოფისში მუშაობის პროცესში განეული მხარდაჭერისა და ტექნიკური დახმარებისთვის. ასევე დიდ მადლობას მოვახსენებთ ტრევორ კროფტს “Blancroft Research International”-იდან, რომლის ფასდაუდებელი მხარდაჭერა და გამოცდილება დაგვეხმარა კვლევის დასრულებაში, და ტარგეი იუნალანს მისი დროული და პროფესიული დახმარებისთვის ანგარიშისთვის საბოლოო სახის მიცემაში.

აღარაფერს ვამბობთ ჩვენი ქართველი პარტნიორების – სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის — ძირითად როლზე კვლევის შემუშავებასა და განხორციელებაში.

წინასიტყვაობა

საქართველოს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა წარმოადგენს შინამეურნეობების, ქალებისა და ბავშვების რეპრეზენტატიულ შერჩევით კვლევას ქვეყნის მასშტაბით. 2005 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარდა გამოკითხვა 12.010 შინამეურნეობას, 15-49 წლის ასაკის 9.847 ქალს და ხუთ წლამდე ასაკის 2.037 ბავშვს შორის.

ბავშვთა სიკვდილიანობა

ქართველ ბავშვებს შორის სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყოველ ათას ცოცხალშობილ ბავშვზე 31 ბავშვია, 5 წლამდე ბავშვთა შორის სიკვდილიანობის ალბათობა კი ყოველ ათას ცოცხალშობილ ბავშვზე - 35 ბავშვი.

კვება

კვების მხრივ არსებული მდგომარეობა

საქართველოში ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების მხოლოდ 2.1 პროცენტია ზომიერად ნონანაკლული, ხოლო უკიდურესად ნონანაკლული ბავშვების მაჩვენებელი 0.3 პროცენტია. ბავშვების 10 პროცენტზე ოდნავ მეტი საშუალოდ დაბალი ან თავის ასაკთან შედარებით ძალიან დაბალია და თითქმის 5 პროცენტს აღენიშნება საშუალო შეფერხება ზრდა-განვითარებაში ან თავის სიმალლესთან შედარებით ძალიან გამხდარია. ქარბნონიანი ბავშვების მაჩვენებელი 15.2 პროცენტს შეადგენს.

ძუძუთი კვება

კვლევის დაწყებამდე ორი წლის განმავლობაში ნამშობიარევი ქალების ერთ მესამედზე მეტი (36.6 პროცენტი) ბავშვის ძუძუთი კვებას იწყებდა ბავშვის დაბადებიდან ერთ საათში, ქალების დაახლოებით ორი მესამედი (65.1 პროცენტი) კი - ბავშვის დაბადებიდან პირველი დღის ბოლოს.

მხოლოდ ძუძუთი იკვებება 6 თვემდე ბავშვების დაახლოებით 11 პროცენტი, რაც რეკომენდებულ რაოდენობაზე ბევრად ნაკლებია. ძუძუთი და სქელი ან ნახევრად სქელი საკვებით იკვებება 6-9 თვის ბავშვების 34.8 პროცენტი. ძუძუთი კვებას აგრძელებს 12-15 თვის ბავშვების 40.5 პროცენტი და 20-23 თვის ბავშვების 19.6 პროცენტი.

მარილის იოდით გამდიდრება

შინამეურნეობების დაახლოებით 98 პროცენტის მიერ საკვებად გამოყენებულ მარილში იოდის შემცველობაზე ჩატარებული ტესტის შედეგად დადგინდა, რომ შინამეურნეობების 87.2 პროცენტი იყენებდა მარილს, რომელიც შეიცავდა იოდინის ერთ მილიონზე 15 ან მეტ წილს.

მშობიარობის შემდეგ დედების მიერ ვიტამინი A-ს მიღება

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის დაწყებამდე ორი წლის განმავლობაში ნამშობიარევი დედების მხოლოდ 15.8 პროცენტი ლებულობდა ვიტამინ A-ს მშობიარობის შემდეგ ცხრა კვირის განმავლობაში.

მცირე წონა ახალშობილებში

დაბადებისას ანონილი იქნა ახალშობილთა 95.7 პროცენტი. 2500 გრამზე ნაკლებს ჩვილთა 5 პროცენტი იწონიდა.

ბავშვების ჯანმრთელობა

პერორალური რეჰიდრატაციით მკურნალობა

კვლევის დაწყებამდე ორი კვირის განმავლობაში დიარეა ჰქონდა ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების 10.4 პროცენტს. დაახლოებით 40-მა პროცენტმა მიიღო სითხე პერორალური რეჰიდრატაციის პაკეტებიდან, ხოლო 13.6 პროცენტმა - შინ დამზადებული სითხე. დიარეიანი ბავშვების თითქმის ნახევარს საერთოდ არ ჩატარებია მკურნალობა.

დიარეიანი ბავშვების დაახლოებით ერთი მეხუთედი (20.6 პროცენტი) კვებასთან ერთად ლეზულობდა გაზრდილი რაოდენობის სითხეს (დიარეის მკურნალობა სახლის პირობებში). ბავშვების 36.5 პროცენტს ჩაუტარდა პერორალური რეჰიდრატაციით მკურნალობა ან მათ მიიღეს გაზრდილი რაოდენობის სითხე კვების ფონზე, რეკომენდაციის თანხმად.

პნევმონიისას ექიმისთვის მიმართვა და მკურნალობა ანტიბიოტიკებით

კვლევის დაწყებამდე ორი კვირის განმავლობაში 0-59 თვის ბავშვების მხოლოდ 2.7 პროცენტია დაფიქსირებული პნევმონიის სიმპტომებით. ბავშვების 73.6 პროცენტი მიიყვანეს შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებაში. კვლევის დაწყებამდე ორი კვირის განმავლობაში პნევმონიის ნიშნებით 5 წლამდე ბავშვების 55.5 პროცენტს ჩაუტარდა ანტიბიოტიკებით მკურნალობა. სულ ქალების 21.1 პროცენტმა იცის პნევმონიის ორი სახიფათო სიმპტომი – სწრაფი და მძიმე სუნთქვა.

მყარი საწვავის გამოყენება

საქართველოში შინამეურნეობების ნახევარზე მეტი (53.6 პროცენტი) საკვების მოსამზადებლად იყენებს მყარ საწვავს. მათ შორის უმეტესობა (92.2 პროცენტი) სარგებლობს დახურულ ლუმელით, რომელსაც აქვს საკვამური.

ბარემო

წყალი და სანიტარული პირობები

მოსახლეობის 94.2 პროცენტი სასმელი წყლის გაუმჯობესებული წყაროთი სარგებლობს. ამის შედეგად შინამეურნეობების უმეტესობა (94 პროცენტი) წყლის წმენდის მეთოდს აღარ იყენებს. შინამეურნეობების დარჩენილი 6 პროცენტიდან წყლის წმენდის სათანადო მეთოდს 4.6 პროცენტი იყენებს. მათ შორის, ვინც სასმელი წყლის გაუმჯობესებული წყაროებით სარგებლობს, წყლის წმენდის სათანადო მეთოდის გამოყენება ნაკლებია (2.8 პროცენტი).

შინამეურნეობების 78.9 პროცენტს სასმელი წყლის მომწოდებელი სისტემა სახლში აქვს მოწყობილი. შინამეურნეობების 17.3 პროცენტს სახლამდე წყლის მოსატანად 30 წუთზე ნაკლები დრო სჭირდება.

საქართველოს მოსახლეობის ძალზე დიდი რაოდენობა ცხოვრობს შინამეურნეობებში (96.8 პროცენტი), რომელთაც გაუმჯობესებული სანიტარული პირობები აქვთ. 0-2 წლამდე ასაკის ბავშვების 56.3 პროცენტი ისეთი საპირფარეშოებით არის უზრუნველყოფილი, სადაც ჰიგიენური წესები სათანადოდ არის დაცული.

რეპროდუქციული ჯანმრთელობა

კონტრაცეფცია

სტატისტიკის მიხედვით კონტრაცეფტივებს იყენებს გათხოვილი ან პარტნიორის მყოფი ქალების 31.5 პროცენტი. ყველაზე პოპულარული მეთოდია ჩასახვის საწინააღმდეგო სპირალი, რომლითაც

სარგებლობს გათხოვილი ქალების 8.2 პროცენტი. მეორე გავრცელებულ მეთოდს – პერიოდულ თავშეკავებას — მიმართავს გათხოვილი ქალების 6.7 პროცენტი, ხოლო 5.9 პროცენტი იყენებს კონდომს. გათხოვილი ქალების 11.8 პროცენტი იყენებს ჩასახვის სანინაალმდეგო ტრადიციულ მეთოდებს, 20 პროცენტი კი - თანამედროვე მეთოდებს.

ანტენატალური მეთვალყურეობა

ანტენატალური მეთვალყურეობის (ექიმების, ექთნების და მეანების მიერ) მაჩვენებელი საკმაოდ დიდია. ქალების 96.3 პროცენტი ორსულობის განმავლობაში ერთხელ მაინც სარგებლობს ანტენატალური მეთვალყურეობით. ქალების მხოლოდ 2.3 პროცენტს არ მიუღია არავითარი ანტენატალური მეთვალყურეობა.

ორსულობის პერიოდში თითქმის ყველა ქალმა (97.4 პროცენტი) ერთხელ ან მეტჯერ ისარგებლა ანტენატალური მეთვალყურეობით. ექიმთან ამ ვიზიტების დროს თითქმის ყველა ქალს აუღეს სისხლის ანალიზი (95.4 პროცენტი), გაუკეთეს შარდის ანალიზი (95.6 პროცენტი), შეუმოწმეს ნნევა (94.7 პროცენტი) და ნონა (94.7 პროცენტი).

დახმარება მშობიარობისას

თითქმის ყველა მშობიარობა მრავალინდიკატორული კლასტერულ კვლევამდე ერთი წლის განმავლობაში (93.8 პროცენტი) კვალიფიციურმა მედპერსონალმა მიიღო. ამ მშობიარობათა (93.8 პროცენტი) უდიდეს უმრავლესობაში ქალებს ექიმები ეხმარებოდნენ. ექთნების და ბებიაქალების მიერ მიღებული იქნა მშობიარობათა მხოლოდ 4.5 პროცენტი. 95.5 პროცენტი მშობიარობისა ჯანდაცვის დაწესებულებებში იქნა მიღებული.

ბავშვის განვითარება

კვლევის ჩატარებამდე სამი დღის განმავლობაში ხუთ წლამდე ბავშვების 84%-ს უფროსებთან ერთად ჰქონდა დრო გატარებული. აღინიშნა ოთხზე მეტი საქმიანობა, და საშუალოდ ხუთი, რომლებშიც უფროსები ბავშვებთან ერთად არიან ჩართულნი და რომლებიც ხელს უწყობენ სწავლას და სკოლისთვის მზაობას. ბავშვებთან ურთიერთობაში მამა ერთ ან მეტ საქმიანობაში ბავშვების 56.3 პროცენტის შემთხვევაში მონაწილეობდა.

ბავშვების 83 პროცენტზე მეტი ცხოვრობს ისეთ ოჯახებში, სადაც, სულ მცირე, სამი არასაბავშვო წიგნი აქვთ. მეორეს მხრივ, 0-59 თვის ბავშვების 72.1 პროცენტს აქვს საბავშვო წიგნები. არასაბავშვო და საბავშვო წიგნების რაოდენობა საშუალოდ 10-ს აღწევს. 0-59 თვის ბავშვების დაახლოებით 13 პროცენტს ჰქონდა 3 ან მეტი სათამაშო, რომლებითაც სახლში თამაშობდა, ხოლო 5.8 პროცენტს, დედებისა და მომვლელების თქმით, საერთოდ არ ჰქონდა სათამაშო.

0-59 თვის ბავშვების 7.7 პროცენტს მოსავლელად სხვა ბავშვებს უტოვებდნენ. ინტერვიუს ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე ბავშვების 2.8 პროცენტი მარტო იყო სახლში დატოვებული მეთვალყურეობის გარეშე. ორივე ინდიკატორის გაერთიანების შედეგად გამოანგარიშებული იქნა, რომ კვლევის დაწყებამდე ერთი კვირის განმავლობაში ბავშვების 7.9 პროცენტს სახლში დარჩენა ადეკვატური მეთვალყურეობის გარეშე უხდებოდა.

განათლება

ბავშვების სიარული სკოლამდელ დაწესებულებებში და მათი მზაობა სკოლისათვის

ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში დადიოდა 36-59 თვის ბავშვების ნახევარზე ნაკლები (43.2 პროცენტი). 6 ან 7 წლის იმ ბავშვების 60.4 პროცენტი, ვინც ახლა დაწყებითი სკოლის პირველ კლასშია, დადიოდა გასულ წელს საბავშვო ბაღში.

დანყებით და საშუალო სკოლებში ბავშვების სიარული

დანყებითი სკოლის ასაკის (6-7 წლის) ბავშვების 82.3 პროცენტი დადის დანყებითი სკოლის პირველ კლასში. დანყებითი სკოლის ასაკის ბავშვების უმრავლესობა (94.6 პროცენტი) დადის სკოლაში, მაგრამ ჯერ კიდევ არიან ბავშვები (5.4 პროცენტი), რომლებიც სკოლაში არ დადიან. სულ საშუალო სკოლაში მოსწავლეთა დასწრების მაჩვენებელი 88.3 პროცენტს შეადგენს. პირველ კლასში ჩარიცხული ბავშვების თითქმის 99 პროცენტი აღწევს მეხუთე კლასამდე.

სქესთა თანაფარდობა დანყებით სკოლებში 1.01-ს უდრის, რაც იმის მაჩვენებელია, რომ განსხვავება დანყებით სკოლებში ბიჭების და გოგონების რაოდენობაში თითქმის არ არსებობს. საშუალო სკოლებში სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი ოდნავ კლებულობს და 0.98 პროცენტს შეადგენს.

წერა-კითხვის მცოდნე სრულწლოვანები

წერა-კითხვის მცოდნე სრულწლოვანთა რაოდენობა მაღალია და 99.3 პროცენტს შეადგენს.

ბავშვთა ღაცვა

დაბადების რეგისტრაცია

საქართველოში ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების 91.9 პროცენტის დაბადება რეგისტრირებულია.

ბავშვთა შრომა

5 წლიდან 14 წლამდე ასაკის ბავშვების 18%-ზე მეტი ძირითადად, აუნაზღაურებელ შრომაში იყო ჩართული და მუშაობდა საკუთარი ოჯახისთვის. 5-14 წლის ბავშვთა 92.1%-დან 18.9% ამავე დროს შრომით საქმიანობაშია ჩართული. მეორეს მხრივ, მშრომელ ბავშვებად კლასიფიცირებულ ბავშვთა 18.4%-დან უმეტესობა სკოლაშიც დადის (94.6%).

ბავშვების დისციპლინა

საქართველოში 2-14 წლის ასაკის ბავშვების 66.1 პროცენტი დედების/მზრუნველების ან ოჯახის სხვა წევრების მხრიდან რაიმე სახის ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდიდა ან ფიზიკურად ისჯებოდა.

ადრეული ქორწინება

15 წლიდან 49 წლამდე ასაკის ქალებს შორის 15 წლამდე გათხოვილია სულ 1.9%, ხოლო 20 წლიდან 49 წლამდე ასაკის ქალებს შორის 18 წლამდე გათხოვილთა პროცენტული მაჩვენებელი 17.7%-ია. 15 წლიდან 19 წლამდე ასაკის ქალებში დღეისათვის მხოლოდ 10.1%-ია გათხოვილი. 15-19 წლის ქალების 20.4 პროცენტი გათხოვილია 10 ან მეტი წლით უფროს პარტნიორზე, ხოლო 20-24 წლის ქალებში მსგავსი მოვლენა უფრო იშვიათია და 11.6 პროცენტს შეადგენს.

ძალადობა ოჯახში

საქართველოში ქალების 6.9 პროცენტი თვლის, რომ ქმარს აქვს ცოლის ცემის უფლება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა დედები არ ზრუნავენ ბავშვებზე (5.9 პროცენტი).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები

დედების მიერ მონოდედული ინფორმაციის მიხედვით, 2-9 წლის ასაკის ბავშვების 14.4 პროცენტს აღენიშნება რომელიმე სახის შეზღუდული შესაძლებლობა. ყველაზე გავრცელებულია

მეტყველებასთან დაკავშირებული დეფექტები, როდესაც ბავშვებს არ შეუძლიათ ან უჭირთ მეტყველება (5.8%).

ბავშვების საცხოვრებელი პირობები და ობოლი ბავშვები

0-17 წლის ასაკის ბავშვების 86.4 პროცენტი ცხოვრობს მშობლებთან ერთად, 8.6 პროცენტი — მხოლოდ დედასთან ერთად, 1.9 პროცენტი — მამასთან ერთად, ხოლო 2.9 პროცენტი საერთოდ არ ცხოვრობს ბიოლოგიურ მშობლებთან ერთად. 0-17 წლის ასაკის ბავშვების 4.9 პროცენტს გარდაცვლილი ჰყავს ერთი ან ორივე მშობელი.

ცოდნა აივ/შიდს-ის შესახებ და სექსუალური ქცევა

ცოდნა ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის გავრცელების შესახებ და კონდომის გამოყენება

საქართველოში გამოკითხულ ქალთა 80.2 პროცენტს ჰქონდა შიდს-ის არსებობის შესახებ წარმოდგენა. თუმცა ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის გავრცელების და მისი თავიდან აცილების სამი ძირითადი მეთოდის შესახებ მხოლოდ 33.2 პროცენტს ჰქონდა შესაბამისი ცოდნა. ქალების ნახევარზე მეტმა იცის, რომ უნდა ჰყავდეს ერთი სანდო და არაინფიცირებული სექსუალური პარტნიორი და რომ ყოველთვის უნდა გამოიყენოს კონდომი (58.4 და 55.8 პროცენტი); ქალების 45.1 პროცენტმა იცის, რომ ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფიცირების თავიდან აცილების ერთ-ერთი გზაა მამაკაცთან სექსუალური ურთიერთობისგან თავის შეკავება.

გამოკითხულ ქალთა 26.7 პროცენტი არ ეთანხმება ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსთან დაკავშირებით გავრცელებულ ორ ყველაზე მცდარ შეხედულებას და იცის, რომ ადამიანი შეიძლება ჯანმრთელად გამოიყურებოდეს, მაგრამ ინფიცირებული იყოს.

აივ-ის გავრცელების და მისი თავიდან აცილების მეთოდების შესახებ საფუძვლიანი ცოდნის დონე დაბალია. სათანადო ცოდნა ამ საკითხების შესახებ აღმოაჩნდა ქალების 13.3 პროცენტს. ახალგაზრდა (15-24) წლის ქალების მხოლოდ 15 პროცენტს აქვს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის შესახებ სწორი და სრული წარმოდგენა.

ქალების ორ მესამედზე მეტმა (67.3 პროცენტი) იცის, რომ ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი შეიძლება დედისგან ბავშვს გადაედოს. ქალების 45.6 პროცენტმა იცის დედისგან ბავშვზე დაავადების გადადების სამივე გზის შესახებ, ხოლო ქალების 12.9 პროცენტს საერთოდ არ ჰქონდა წარმოდგენა არც ერთი გზის შესახებ.

15-49 წლის ასაკის თითქმის ყველა ქალი იმყოფებოდა ანტენატალური მეთვალყურეობის ქვეშ და მათ მედიცინის პროფესიონალი მუშაკები ემსახურებოდნენ უკანასკნელი ორსულობის დროს (96.3%). ანტენატალური მეთვალყურეობის დროს ქალების 41.5%-ს მიაწოდეს ინფორმაცია ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსზე, 45.1%-ს გაუკეთდა ანალიზი და 40.7%-მა მიიღო ანალიზის პასუხები.

I. შესავალი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ანგარიში ეფუძნება საქართველოს მრავალინდიკატორულ კლასტერულ კვლევას, რომელიც 2005 წელს ჩატარდა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ. კვლევაში მოცემულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბავშვებისა და ქალების მდგომარეობის შესახებ და იგი უმეტესწილად ემყარება ბოლო დროს გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების მონიტორინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. ეს შეთანხმებებია: 2000 წლის სექტემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 191 წევრი ქვეყნის მიერ მიღებული „ათასწლეულის დეკლარაცია“ და 2002 წლის მაისში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო სხდომაზე 189 წევრი ქვეყნის მიერ მიღებული სამოქმედო გეგმა

მოქმედების ვალდებულება: პასუხისმგებლობა ეროვნულ და საერთაშორისო ანგარიშგებაზე

იმ სახელმწიფოთა მთავრობებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს „ათასწლეულის დეკლარაციას“ და დეკლარაციას „მსოფლიო ბავშვებისათვის“ და სამოქმედო გეგმას, იკისრეს, აგრეთვე, ვალდებულება, მონიტორინგი გაუწიონ ზემოხსენებული მიზნებისა და ამოცანების შესრულების პროცესს:

„ჩვენ რეგულარულ მონიტორინგს გავუწევთ ეროვნულ დონეზე და, თუ საჭიროება მოითხოვს, რეგიონულ დონეზეც და შევაფასებთ წინამდებარე სამოქმედო გეგმის მიზნებისა და ამოცანების განხორციელების მდგომარეობას ეროვნულ, რეგიონულ და მსოფლიო დონეებზე. შესაბამისად, ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენს ეროვნულ სტატისტიკურ შესაძლებლობებს, რათა შევავსოთ, გავაანალიზოთ და დეტალიზება მოვახდინოთ სქესის, ასაკის და სხვა შესაბამისი ფაქტორების მიხედვით არსებული ისეთი მონაცემებისა, რომლებმაც შეიძლება შეუსაბამობა გამოიწვიოს, და ხელს შევუწყობთ ბავშვებზე ორიენტირებული ფართომასშტაბიანი კვლევის ჩატარებას. ჩვენ გავაუმჯობესებთ საერთაშორისო თანამშრომლობას, რათა ხელი შევუწყოთ სტატისტიკური პოტენციალის ზრდის მცდელობებს და გავაძლიეროთ საზოგადოების შესაძლებლობა, განახორციელოს მონიტორინგი, შეფასება და დაგეგმვა“ („მსოფლიო ბავშვებისათვის“, პუნქტი 60).

„... ჩვენ პერიოდულად განვიხილავთ მიზნებისა და ამოცანების შესრულების პროცესს ეროვნულ და ქვეეროვნულ დონეზე, რათა დროულად გამოვავლინოთ არსებული დაბრკოლებები და დავაჩქაროთ შესაბამისი ზომების მიღება...“ („მსოფლიო ბავშვებისათვის“, პუნქტი 61).

სამოქმედო გეგმა (პუნქტი 61) ითვალისწინებს „იუნისეფის“ მონაწილეობას პროცესის შესახებ პერიოდული ანგარიშების მომზადებაში:

„... გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდს — ბავშვების საკითხებზე მომუშავე მსოფლიოს წამყვან ორგანიზაციას — თხოვნით მიმართეს მთავრობებთან, შესაბამის ფონდებთან, პროგრამებთან და გაერო-ს სისტემის სპეციალურ სააგენტოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, მოამზადოს და გაავრცელოს ინფორმაცია „ათასწლეულის დეკლარაციისა“ და სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად მიღებული შედეგების შესახებ.“

ანალოგიურად, „ათასწლეულის დეკლარაცია“ (პუნქტი 31) ითვალისწინებს მიღწეული შედეგების შესახებ პერიოდული ანგარიშების მომზადებას:

„... ჩვენ თხოვნით მივმართავთ გენერალურ ასამბლეას, რეგულარულად განიხილოს წინამდებარე დეკლარაციის დებულებების განხორციელების შედეგად მიღწეული შედეგები და ვთხოვთ გენერალურ მდივანს, გამოსცეს პერიოდული ანგარიშები გენერალური ასამბლეის მიერ განსახილველად, რაც საფუძვლად დაედება მომავალი ქმედებების სწორად წარმართვას.“

- „მსოფლიო ბავშვებისათვის“. ორივე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები ემყარება 1990 წელს ბავშვთა საკითხებისადმი მიძღვნილ მსოფლიო სამიტზე საერთაშორისო საზოგადოების მიერ გამოთქმულ დაპირებებს.

ამ შეთანხმებების ხელმოწერით მთავრობებმა აიღეს ვალდებულება, გააუმჯობესონ ბავშვების მდგომარეობა და აწარმოონ ამ მიზნის მისაღწევად განხორციელებული ქმედებების მონიტორინგი. „იუნისეფს“ დაევალა, ხელი შეეწყოს ამ მიზნის მიღწევისთვის (იხ. ცხრილი ქვემოთ).

საქართველომ, როგორც „ათასწლეულის დეკლარაციის“ ერთ-ერთმა ხელმომწერმა მხარემ, აიღო ვალდებულება – „ათასწლეულის დეკლარაციის“ მიზნები ჩართოს სახელმწიფო განვითარების სტრატეგიაში და პერიოდულად წარმოადგინოს ანგარიში ამ მიზნების მიღწევის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესახებ.

ამ ვალდებულების განხორციელების მიზნით 2003 აგვისტოში მიღებული იქნა ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა. 2004 წლის ივნისში ქვეყანამ დაიწყო ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის შესახებ თავისი ძირითადი ანგარიშის მომზადება. ამ ანგარიშში გლობალური მასშტაბის მიზნები და ამოცანები ქართულ კონტექსტში იქნა მოქცეული. 2005 წლის 23 თებერვალს მთავრობამ დაამტკიცა ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის განხორციელების შესახებ ანგარიში. ანგარიშში თავისი წვლილი შეიტანეს სამოქალაქო საზოგადოებამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა – მათ მონაწილეობა მიიღეს პროგრამის მიზნებისა და ამოცანების მისადაგებაში ქართულ რეალობასთან (გაერო, 2005).

ძირითადი ანგარიშის მომზადების დაწყების შემდეგ საქართველოს მთავრობამ დაადასტურა საჭიროება, ჩაეტარებინა 2004-2005 წლებში ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის პროცესის შეფასება. ამასთან დაკავშირებით 2005 წლის 28 ივლისს მიღებული იქნა დადგენილება 119, რომლის თანახმად მთავრობამ ხელახლა ჩამოაყალიბა მუდმივმოქმედი კომისია. დადგენილება ითვალისწინებდა, აგრეთვე, მთავრობის 2004 წლის 31 მარტის 7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას, რის საფუძველზეც პრემიერ-მინისტრი შეასრულებდა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის, ხოლო ეკონომიკური განვითარების სამინისტრო - პროცესის კოორდინატორის მოვალეობას (გაერო, 2005).

გარდა ამისა, საქართველო შეუერთდა სიღარიბის დაძლევის შესახებ გლობალურ მონოდებას და ჩაერთო კამპანიაში – „მომავალი სიღარიბის გარეშე“, რომელიც წამოიწყო 8 არასამთავრობო ორგანიზაციამ და რომელშიც დღეს გაერთიანებულია 40-ზე მეტი ორგანიზაცია და ადამიანი. კოალიციამ ჩაატარა მთელი რიგი ფორუმებისა, რომლებშიც მონაწილეობდნენ საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები, სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო, 2005).

საქართველოს მთავრობამ დაიწყო საყოველთაო რეფორმის პროგრამის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავდა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მეშვეობით უკიდურესი სიღარიბის დაძლევას (1-ლი მიზანი). პირველად წლების განმავლობაში შემცირდა სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა, თუმცა უკიდურესი სიღარიბის ხარისხი უცვლელი დარჩა. ზოგადად, სოფელში არსებული სიღარიბე უფრო მკვეთრად არის გამოხატული, ვიდრე ქალაქში არსებული. განათლების სისტემის ხარისხი და ინსტიტუციური სტრუქტურა გაუმჯობესდა (მე-2 მიზანი). განათლების სისტემაში მიმდინარე რადიკალური რეფორმის მიზანია ევროპული სტანდარტების დანერგვა, კორუპციის აღმოფხვრა და დაფინანსების ახალი სისტემის შემოღება. მომავალი რეფორმები მიზნად ისახავს ახალი სახელმწიფო სასწავლო პროგრამის შემოღებას, რაც ორიენტირებული იქნება ანალიტიკური და სხვა მნიშვნელოვანი და აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

გენდერული თანასწორობის საკითხების გადანყვეტა სახელმწიფო დონეზე იქნა გადატანილი (მე-3 მიზანი), რასაც შედეგად მოჰყვა გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭოს (საქართველოს პარლამენტში) და სამთავრობო კომისიის შექმნა. ეს ორგანოები ყურადღებას გაამახვილებენ არჩევით უწყებებსა და აღმასრულებელ თანამდებობებზე ქალების დაბალ

ნარმომადგენლობასთან, დასაქმებაში უთანასწორობასთან, შრომის ანაზღაურების შესაძლებლობებსა და სახელმწიფო დონეზე რეაგირების განუვითარებელ მექანიზმებთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირებისა და დედის ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით (მე-4 და მე-5 მიზნები) მთავრობა აფართოებს ბავშვისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამსახურებს, აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს და მასზე ხელმისაწვდომობას. პირველადი ჯანდაცვისა და რეფერალური სისტემის სპეციალური სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით ოდნავ შემცირდა სიკვდილიანობის მაჩვენებლები. საერთაშორისო დახმარების პროგრამებიც ბავშვისა და დედის ჯანმრთელობაზე იყო კონცენტრირებული. მეორე ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირებას, სახლის პირობებში მშობიარობის შემთხვევათა კლებაა. იმუნიზაციის მაჩვენებელი კვლავ მაღალია. გარდა ამისა, ხელისუფლებას გაუჩნდა შესაძლებლობა, უზრუნველყოს ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებაზე ორიენტირებული პროგრამების ფინანსური მდგრადობა. მაგრამ დადებითი ფინანსური პერსპექტივებისა და ზოგადი გაუმჯობესების მიუხედავად, არსებული სტატისტიკური მონაცემების არასაიმედო ხასიათი ართულებს პროგრამების ოპტიმალური მიზნობრიობის განსაზღვრას. დადებითი ტენდენციები შეინიშნება აივ/შიდს-თან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლაში (მე-6 მიზანი). საქართველოს აქვს აივ/შიდს-ის კონტროლის კარგად აწყობილი სისტემა და კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა ამ პანდემიური დაავადებების შესამცირებლად.

თუმცა ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს ამ დაავადებების გავრცელებას; ეს ფაქტორებია ნარკოტიკების ინტრავენული მოხმარება, საგანგაშო მდგომარეობა მეზობელ ქვეყნებში და უსაფრთხოების სათანადო ზომების შესახებ საზოგადოების ცოდნის დაბალი დონე. მე-7 მიზნის მოთხოვნის შესაბამისად გარემოს დაცვის თვალსაზრისით მდგრადი მდგომარეობის შექმნის მიზნით მთავრობამ ჩამოაყალიბა საქართველოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობი კომისია, მიიღო ბიომრავლფეროვნების კონსერვაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, დაიწყო სატყეო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება, აგრძელებდა დაბინძურებული გარემოს დასუფთავების მექანიზმის დანერგვას და ცდილობდა იმ ნივთიერებათა თანდათანობით ამოღებას ხმარებიდან, რომლებიც ხელს უწყობენ ოზონის შრის გარღვევას. მიუხედავად ამისა, აუცილებელია შემდგომი ძალისხმევა, რათა გაუმჯობესდეს უსაფრთხო წყალმომარაგებაზე და საცხოვრისებზე ხელმისაწვდომობა.

საქართველოს კვლავ ასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას – დაამყაროს გლობალური თანამშრომლობა განვითარების მიზნით (მე-8 მიზანი), შემოიღოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, გააუმჯობესოს საკუთარი ფინანსური და საბანკო სისტემები და იმუშაოს საგარეო ვალის საკითხებზე პარიზის კლუბის ფარგლებში. 2004-2009 წლებისთვის თავისი პროგრამის პრიორიტეტებს შორის მთავრობამ ტელეკომუნიკაციების სფეროც ჩართო – შეიმუშავა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო; გარდა ამისა, ხელისუფლება ჩამოაყალიბებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ეროვნულ სტრატეგიას (გაერო, 2005).

ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე ქმედითი მონიტორინგის დასამკვიდრებლად ხდება უნიფიცირებულ სისტემაში შესაბამისი ინდიკატორების ინტეგრირება. ამ მიზნით გაერო-ს დახმარებით იქმნება მონაცემთა ერთიანი ეროვნული ბაზა (გეოინფო). მონაცემთა ბაზა ემყარება პროგრამას DevInfo, რომელიც გამოიყენება მსოფლიო მასშტაბით და აერთიანებს ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის, ათასწლეულის განვითარების მიზნების და ბავშვებზე ორიენტირებული ეროვნული სამოქმედო გეგმის ინდიკატორებს.

2006 წელს „იუნისეფმა“ მთავრობასთან თანამშრომლობით დაიწყო ახალი პროგრამის განხორციელება, რაც მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევაში. ამ ხუთწლიანი პროგრამების ფარგლებში „იუნისეფი“ ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებთან ერთად იმუშავებს ყველაზე დაუცველი ქალებისა და ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე და მათი უფლებების დაცვაზე.

წინამდებარე საბოლოო ანგარიშში წარმოდგენილია 2005 წელს ჩატარებული საქართველოს მრავალინდიკატორულ კვლევაში მოცემული ინდიკატორებისა და თემების შედეგები. მოსალოდნელია, რომ კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია გახდება მონაცემთა დიდი და მნიშვნელოვანი წყარო საქართველოში ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის მხრივ არსებული მდგომარეობის მონიტორინგისათვის.

კვლევის ამოცანები

2005 წლის საქართველოს მრავალინდიკატორული კვლევის ძირითადი მიზნები იყო:

- საქართველოში ქალებისა და ბავშვების მდგომარეობის შეფასებისათვის აუცილებელი უახლესი ინფორმაციის მოპოვება;
- „ათასწლეულის დეკლარაციაში“ და დეკლარაციაში „მსოფლიო ბავშვებისათვის“ ჩამოყალიბებული მიზნების, ასევე საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული სხვა მიზნების მიღწევის მხრივ არსებული მდგომარეობის მონიტორინგისათვის აუცილებელი მონაცემების მოპოვება, რაც შემდგომი ქმედების საფუძველი გახდება;
- საქართველოში მონიტორინგისა და მონაცემთა სისტემების გაუმჯობესების ხელშეწყობა და ამგვარი სისტემების შემუშავების, განხორციელებისა და ანალიზის ტექნიკური გამოცდილების გაფართოება.

II. შერჩევისა და კვლევის რატარების მეთოდოლოგია

შერჩევის შედეგა

საქართველოს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის შერჩევა შედეგინილი იქნა იმ მიზნით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ბავშვებისა და ქალების მდგომარეობის ამსახველი ინდიკატორების შეფასება ეროვნულ დონეზე, ქალაქებისა და სოფლებისათვის და 11 რეგიონისათვის: თბილისის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, ზემო სვანეთისა და აჭარისათვის. მოსახლეობის გავრცელების შესაბამისად შერჩევის დიზაინი იყენებდა სტრატეგიკაციის რთულ სქემას - თითოეულ სტრატაში კლასტერების არათანაბარ რაოდენობას. თუმცა პატარა რეგიონებში შერჩევისას შინამეურნეობა ძალიან ცოტა იყო საიმისოდ, რომ გარკვეული ინდიკატორების სარწმუნო შესაფასება მიგველო. შერჩევა შეირჩა ოთხ ეტაპად და სტრატეგიკაციის იქნა 11 რეგიონის, 3 ტიპის დასახლების (დიდი ქალაქი, პატარა ქალაქი, და სოფელი) და 4 გეოგრაფიული სტრატის (დაბლობი, მთისწინეთი, მთა და მაღალი მთა) მიხედვით. სულ იდენტიფიცირებული იქნა 49 დამოუკიდებელი სტრატა, 475 კლასტერი და 14250 შინამეურნეობა (თითოეულ კლასტერში 30 შინამეურნეობა). კვლევის დაწყებამდე არ მომხდარა შინამეურნეობების სიის განახლება. შერჩევა არ არის თვითშეწონვადი და ეროვნული დონის შედეგებისათვის გამოყენებულია შერჩევის სტრატის დონეზე გამოთვლილი ნონები. შერჩევის დიზაინის უფრო დეტალური აღწერა მოცემულია A დანართში.

კითხვარები

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სამი ტიპის კითხვარი: 1) კითხვარი შინამეურნეობებისათვის, რომელიც ითვალისწინებდა შინამეურნეობის ყველა *de jure* წევრის, შინამეურნეობის და საცხოვრისის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას; 2) კითხვარი თითოეულ შინამეურნეობაში მყოფი 15-49 წლის ასაკის ქალებისათვის; 3) კითხვარი 5 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, რომელიც განკუთვნილი იყო შინამეურნეობაში მცხოვრები 5 წლამდე ასაკის ბავშვების დედებისა და მზრუნველებისთვის.

კითხვარები შემდეგი მოდულებისგან შედგებოდა:

- შინამეურნეობათა ჩამონათვალი
- განათლება
- წყალი და სანიტარული პირობები
- შინამეურნეობის დახასიათება
- ბავშვთა შრომა
- ბავშვთა დისციპლინა
- შეზღუდული შესაძლებლობები
- მარილის იოდით გამდიდრება

კითხვარი ქალებისათვის, რომელიც განკუთვნილი იყო თითოეულ შინამეურნეობაში მცხოვრები 15-49 წლის ასაკის ქალებისათვის და მოიცავდა შემდეგ მოდულებს:

- ბავშვთა სიკვდილიანობა
- დედისა და ახალშობილის ჯანმრთელობა
- ქორწინება და კავშირები
- კონტრაცეფცია
- დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ
- ცოდნა აივ-ს შესახებ

- სიგარეტის მოწევა
- ჰემოგლობინის ტესტი¹

კითხვარი 5 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, რომელიც გათვალისწინებული იყო შინამეურნეობაში მცხოვრები 5 წლამდე ასაკის ბავშვების დედებისა და მზრუნველების მიერ შესავსებად². ჩვეულებრივ, კითხვარი განკუთვნილი იყო 5 წლამდე ასაკის ბავშვების დედებისათვის, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა შინამეურნეობების ჩამონათვალში დედა არ იყო შეტანილი, უშუალოდ ბავშვის მზრუნველებისგან იღებდნენ ინტერვიუს. კითხვარი მოიცავდა შემდეგ ასპექტებს:

- დაბადების რეგისტრაცია და სწავლა ადრეულ ასაკში
- ბავშვის განვითარება
- ძუძუთი კვება
- ავადმყოფობის მკურნალობა
- იმუნიზაცია³
- ანთროპომეტრია

კითხვარები ეფუძნება მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა-3-ის (MICS3) კითხვარის ნიმუშს⁴. MICS3 ნიმუშის ინგლისური და რუსული ვარიანტი ითარგმნა ქართულად და 2005 წლის სექტემბერში წინასწარი ტესტირება ჩატარდა თბილისში და მცხეთა-მთიანეთში. წინასწარი ტესტირების შედეგებზე დაყრდნობით გაკეთდა ტექსტის და თარგმანის რედაქტირება. საქართველოს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა-3-ის კითხვარების ასლების დანართ „ვ“-შია მოცემული.

კითხვარების წარმოების გარდა, ადგილზე მომუშავე ჯგუფები იღებდნენ ტესტებს საკვებ მარილში იოდის შემცველობაზე და ზომავდნენ ხუთ წლამდე ბავშვების წონას და სიმაღლეს. დეტალური ინფორმაცია და შედეგები ჩატარებული სამუშაოს შესახებ მოცემულია ანგარიშის შესაბამის ნაწილებში.

ტრენინგი და საველე მუშაობა

2005 წლის სექტემბერში მოეწყო სავალე მუშაობასთან დაკავშირებული ტრენინგი. ტრენინგის მონაწილეებს ჩაუტარდათ ინტერვიუს წარმართვის ტექნიკის და კითხვარის შინაარსის შესახებ ლექციები; კითხვების დასმაში პრაქტიკის გავლის მიზნით მონაწილეების მიერ ენცობოდა იმიტაცია-ინტერვიუები. ბოლო ორი დღე დაეთმო ინტერვიუს ჩატარების პრაქტიკულ კურსს, რომელიც ჩატარდა წინასწარი ტესტირების ადგილებში - თბილისში და მცხეთა-მთიანეთში.

მონაცემები მოგროვდა 12 ჯგუფის მიერ, რომელთაგან თითოეულში შედიოდა ხუთი ინტერვიუერი, ორი მძღოლი, ერთი რედაქტორი / მზომველი და ერთი ზედამხედველი. ზოგიერთ ადგილას რთული ტოპოგრაფიისა და ცუდი გზების გამო გამოყენებული იყო ჯიპის ტიპის მანქანები. საველე სამუშაო 2005 წლის ნოემბერში დაიწყო და იმავე წლის დეკემბერში დასრულდა.

¹ ჰემოგლობინის ტესტს უღებდნენ 15-49 წლის ქალებს ყველა კლასტერის ყოველ მესამე შინამეურნეობაში.

² ტერმინები „5 წლამდე ბავშვები“, „0-4 წლის ბავშვები“ და „0-59 თვის ბავშვები“ ანგარიშში ერთი და იგივე მნიშვნელობით გამოიყენება.

³ 2005 წელს საქართველოს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის კითხვარში რესპონდენტებს სთხოვდნენ, წარმოედგინათ 5 წლამდე ბავშვების იმუნიზაციის დამასტურებელი სამედიცინო ბარათები და თითოეული ანტიგენის შეყვანის თარიღი. თუ რესპონდენტს იმუნიზაციის ბარათი არ ჰქონდა, მაშინ მას ეკითხებოდნენ, ჩაუტარდა თუ არა ბავშვს იმუნიზაცია (პოლიომიელიტზე და დეც-ზე) და რამდენჯერ. სამედიცინო ბარათი საკმაოდ ცოტა ქალს აღმოაჩნდა სახლში; უმეტესობა ბარათებისა ინახებოდა კლინიკებში. იმუნიზაციის ჩატარების შესახებ ინფორმაციის მოძიება ეყრდნობოდა ძირითადად რესპონდენტების მიერ გახსენებას, რომლებმაც არაფერი იცოდნენ იმუნიზაციის დოზების შესახებ. ასეთი არაზუსტი ინფორმაციის მიღების გამო იმუნიზაციის შესახებ გამოკითხვა არ ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად.

⁴ მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის კითხვარის ნიმუში იხილეთ შემდეგ საიტზე: www.childinfo.org ან „იუნისეფი“, 2006

მონაცემთა დამუშავება

აღწერისა და კვლევის დამუშავების სისტემის (CSP) მეშვეობით სამმა ოპერატორმა და ორმა ზედამხედველმა მონაცემები სამ მიკროკომპიუტერში შეიტანა. ხარისხის კონტროლის მიზნით ყველა კითხვარი ორჯერ იქნა შეტანილი და შემოწმდა შიდა შესაბამისობა. ყველგან გლობალური MICS3 პროექტის შესაბამისად დამუშავებული და საქართველოს კითხვარებზე მორგებული პროცედურები და სტანდარტული პროგრამები იქნა გამოყენებული. მონაცემების შეგროვება და დამუშავება დაიწყო 2005 წლის ნოემბერში და დასრულდა 2006 წლის იანვარში. მონაცემები გაანალიზებული იქნა სოციალურ მეცნიერებათა სტატისტიკური პაკეტის პროგრამის (SPSS), მე-14 ვერსიის, და „იუნისეფის“ მიერ ამ მიზნით შემუშავებული სინტაქსის მოდელი და ცხრილების შედგენის გეგმების გამოყენებით.

III. შერჩევის მოცულობა და შინამეურნეობებისა და რესპონდენტების მახასიათებლები

შერჩევის მოცულობა

შერჩეული 14,250 შინამეურნეობიდან 12,268 დაკავებული აღმოჩნდა. მათ შორის 12,010 შინამეურნეობაში წარმატებით ჩატარებული ინტერვიუს პასუხების რაოდენობამ 97.9 პროცენტი შეადგინა. გამოკითხულ შინამეურნეობებში იდენტიფიცირებული იქნა 10,908 ქალი (15-49 წლის). 9,847 ქალს შორის წარმატებით ჩატარებული ინტერვიუს პასუხების რაოდენობამ 90.3 პროცენტი შეადგინა. გარდა ამისა, შინამეურნეობების კითხვარის სიაში იყო ხუთ წლამდე ასაკის 2,196 ბავშვი. კითხვარს პასუხები გაეცა 2,037 ბავშვის სახელით, რაც შეადგენს 92,8 პროცენტს. სულ პასუხების პროცენტულმა რაოდენობამ ქალებს შორის შეადგინა 88,4 და 5 წლამდე ასაკის ბავშვებს შორის - 90.8 (იხ. ცხრილი HH.1.).

საცხოვრებელ სახლებს შორს პასუხების პროცენტული რაოდენობა მსგავსი იყო, რეგიონებს შორის კი ოდნავ განსხვავებული. თბილისში შინამეურნეობების კითხვარის პასუხების პროცენტული მაჩვენებელი ყველაზე დაბალი იყო, ქალების კითხვარებისა კი - ყველაზე მაღალი. შინამეურნეობებისა და 5 წლამდე ასაკის ბავშვების კითხვარების პასუხების მიხედვით ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი იყო რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში, ხოლო 5 წლამდე ასაკის ბავშვების კითხვარების პასუხების ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი გურიაში აღინიშნა.

შინამეურნეობების მახასიათებლები

კვლევაში ჩართული მოსახლეობის განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით HH.2. ცხრილშია მოცემული. ამ განაწილების საფუძველზე შეიქმნა მოსახლეობის პირამიდა, რომელიც გამოსახულია HH.1 სქემაში. 12,010 შინამეურნეობას შორის წარმატებით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ჩამოთვლილი იქნა შინამეურნეობათა 43,731 წევრი. აქედან 20,988 მამაკაცი იყო, ხოლო 22,743 - ქალი. ამ მონაცემების თანახმად შინამეურნეობის საშუალო სიდიდე 3.64-ია.


საქართველოს მოსახლეობაში ასაკისა და სქესის მიხედვით განაწილების შესახებ მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის და 2005 წლის ოფიციალური მონაცემების (სტატისტიკის დეპარტამენტი, 2006) შედარების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის საფუძველზე 15-64 წლის ქალების (1.4 პროცენტი) და 15-64 წლის მამაკაცების (0.9 პროცენტი) თანაფარდობა უფრო დაბალია. მეორეს მხრივ, 65 ან მეტი წლის ასაკობრივი ჯგუფისთვის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მიხედვით მამაკაცების (1.3 პროცენტი) და ქალების (0.9 პროცენტი) თანაფარდობა უფრო მაღალია. 0-14 ასაკობრივი ჯგუფისთვის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მონაცემები ორივე სქესის შესახებ ძალიან ახლოს არის ოფიციალურ მონაცემებთან.

HH.3 ცხრილში მოცემულია ძირითადი ინფორმაცია შინამეურნეობების შესახებ. სქემაში ნაჩვენებია შინამეურნეობის უფროსის სქესი, რეგიონის, ქალაქის/სოფლის სტატუსი, შინამეურნეობების წევრების რაოდენობა და შინამეურნეობის უფროსის ეთნიკური წარმომავლობა⁵. ეს ძირითადი მახასიათებლები წინამდებარე ანგარიშში შემდგომში მოცემულ

⁵ განისაზღვრებოდა შინამეურნეობების კითხვარში დასმული შეკითხვით „რომელ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნება ამ შინამეურნეობის უფროსი?“

ცხრილებშიც არის გამოყენებული. ცხრილში მოცემული ციფრების მიზანია, ასახონ ანალიზის ძირითადი კატეგორიების მიხედვით ჩატარებული დაკვირვებების რაოდენობა.

დიაგრამა HH.1: ასაკისა და სქესის განაწილება შინამეურნეობების მაცხოვრებლებში, საქართველო, 2005



შინამეურნეობათა შენონილი და შეუწონელი რაოდენობები თანაბარია, ვინაიდან შერჩევის წონები ნორმალიზებული იქნა (იხ. დანართი A). ცხრილი აგრეთვე გვიჩვენებს ისეთი შინამეურნეობების პროპორციულ ოდენობას, რომლებშიც ერთი შვილი მაინც არის 18 წლამდე ასაკის, ერთი შვილი - 5 წლამდე ასაკის და თუნდაც ერთი 15-49 წლის ასაკის ქმედუნარიანი ქალია.

თითოეულ რეგიონში შინამეურნეობათა რაოდენობას თუ დავაკვირდებით, შევნიშნავთ მნიშვნელოვან განსხვავებებს შინამეურნეობების შენონილ და შეუწონელ რაოდენობებს შორის. ზოგიერთი რეგიონისათვის ხარისხობრივი შედეგების მიღწევის მიზნით აუცილებელი გახდა შერჩევის უფრო დიდი მოცულობის გამოყენება, მაშინ, როცა თბილისსა და იმერეთში – შინამეურნეობების ყველაზე მაღალი პროპორციული ოდენობის მქონე რეგიონებში, გადანყდა, გამოყენებული ყოფილიყო შერჩევის უფრო მცირე მოცულობა, ვინაიდან შესაძლებელია სარწმუნო შედეგების მოპოვება იმაზე ნაკლები რაოდენობის შინამეურნეობების მიხედვით, ვიდრე ამას მოითხოვს რეგიონის სიდიდის პროპორციული ალბათობა.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შინამეურნეობების განაწილებამ აჩვენა, რომ შინამეურნეობების ზუსტად ერთი ნახევარი ქალაქში ცხოვრობს, მეორე ნახევარი კი – სოფელში. შინამეურნეობათა უმეტესობის უფროსი მამაკაცი იყო (70 პროცენტი), ერთ მესამედზე მეტი შედგებოდა 4-5 წევრისგან, კიდევ ერთი მესამედი კი 2-3 წევრისგან. შინამეურნეობების 84.6 პროცენტში უფროსი ეროვნებით ქართველი იყო. გამოკითხულ შინამეურნეობათა 14.9 პროცენტს ერთი შვილი მაინც ჰყავდა 5 წლამდე ასაკის, ხოლო 64.2 პროცენტში ერთი ქალი მაინც იყო 15-49 წლის ასაკის.

რესპონდენტთა მახასიათებლები

HH.4 და HH.5 ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 15-49 ასაკის რესპონდენტი ქალებისა და 5 წლამდე ასაკის ბავშვების ძირითადი მახასიათებლების შესახებ. ორივე ცხრილში შენონილი და შეუწონელი დაკვირვებების საერთო რაოდენობები თანაბარია, ვინაიდან შერჩევის წონები ნორმალიზებული (სტანდარტიზებული) იქნა. ქალებისა და ბავშვების ძირითადი მახასიათებლების შესახებ სასარგებლო ინფორმაციის უზრუნველყოფის გარდა, ამ ცხრილების მიზანია, გვაჩვენოს დაკვირვებების რაოდენობაც თითოეული ძირითადი კატეგორიის მიხედვით. ეს კატეგორიები ანგარიშის მომდევნო ცხრილებშიც არის გამოყენებული.

HH.4 ცხრილში წარმოდგენილია 15-49 წლის ასაკის ქალი-რესპონდენტების ძირითადი მახასიათებლები, ინფორმაცია ქალების განაწილების შესახებ რეგიონის, ქალაქისა და სოფლის, ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, დედობის სტატუსის, განათლების⁶, ქონებრივი ინდექსის კვინტილებისა⁷ და ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით. 15-49 წლის ასაკის მთელი ქალების 61.7 პროცენტი ამჟამად დაქორწინებულია/ქორწინების გარეშე კავშირში იმყოფება, ხოლო 6.7 პროცენტი განქორწინებულია/უნინ იმყოფებოდა ქორწინების გარეშე კავშირში. დედობის სტატუსის მიხედვით განაწილება ანალოგიურია; ქალების 63.7 პროცენტს გაჩენილი ჰყავს შვილი. დაწყებითი განათლება საქართველოში თითქმის ყველა ქალს აქვს მიღებული, უმაღლესი განათლება კი ქალების 36 პროცენტს. მატერიალური მდგომარეობის ინდექსის კვინტილების მიხედვით ქალების განაწილება გულისხმობს, რომ მატერიალური მდგომარეობის ინდექსის კვინტილის ზრდასთან ერთად ოდნავ იზრდება იმ ქალების პროპორციული ოდენობებიც, რომლებიც ამ შინამეურნეობებში ცხოვრობენ.

HH.5 ცხრილში წარმოდგენილია 5 წლამდე ასაკის ბავშვების ძირითადი მახასიათებლები. ცხრილი მოიცავს ბავშვების განაწილებას შემდეგი კატეგორიების მიხედვით: სქესი, რეგიონი და საცხოვრებელი ადგილი, თვეებში გამოსახული ასაკი, დედის ან მზრუნველის განათლება, სიმდიდრე და ეთნიკური წარმომავლობა. ბავშვების თითქმის თანაბარი რაოდენობა ცხოვრობს ქალაქში და სოფელში. ბავშვების 58 პროცენტის დედებს მიღებული აქვთ საშუალო ან საშუალო სპეციალური/პროფესიულ-ტექნიკური განათლება, ხოლო ბავშვების 41.2 პროცენტის დედებს - უმაღლესი განათლება. ქონებრივი ინდექსის კვინტილების მიხედვით ბავშვების განაწილება გვიჩვენებს ოდნავ დაბალ პროპორციას ყველაზე ღარიბ კატეგორიაში და ოდნავ მაღალს ყველაზე მდიდარში. ბავშვების 81.2 პროცენტი ცხოვრობს შინამეურნეობაში, სადაც ოჯახის უფროსი ქართველია.

⁶ თუ სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული, „განათლება“ ანგარიშში გულისხმობს რესპონდენტების განათლების დონეს, როდესაც ის გამოიყენება როგორც ძირითადი ცვლადი სიდიდე.

⁷ მთავარი კომპონენტების ანალიზი შესრულდა შინამეურნეობების მფლობელობაში არსებული საქონლისა და ქონების შესახებ ინფორმაციის გამოყენებით, რათა შინამეურნეობის თითოეული აქტივისათვის მიენიჭებინათ წონა და მიეღოთ ქონების ქულა შერჩევაში შემავალი თითოეული შინამეურნეობისათვის (ამ გაანგარიშებაში გამოყენებული აქტივები იყო: შინამეურნეობის წევრთა რაოდენობა საძინებელ ოთახში, იატაკის, სახურავის, კედლის, საკვების დასამზადებლად გამოყენებული საწვავის ტიპი, ელექტროენერგია, რადიო, ტელევიზორი, მობილური და სტაციონარული ტელეფონები, მაცივარი, საათი, ველოსიპედი, მოტოციკლეტი ან სკუტერი, ურემი, მსუბუქი ან სატვირთო ავტომანქანა, ნავი ძრავით, სასმელი წყლის ტიპი და სანიტარული კვანძის ტიპი). თითოეული შინამეურნეობა აწონილი იქნა მასში გაერთიანებული წევრების რაოდენობის მიხედვით და შინამეურნეობის მაცხოვრებლები გაიყვნენ ხუთ თანაბარ ჯგუფად, ყველაზე ღარიბი კვინტილიდან ყველაზე მდიდარ კვინტილამდე, რაც ეფუძნებოდა იმ შინამეურნეობის ქონების ქულებს, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. მატერიალური მდგომარეობის ინდექსი აფიქსირებს შინამეურნეობების გრძელვადიან ქონებას შინამეურნეობის აქტივების შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით და გათვალისწინებულია შინამეურნეობათა კლასიფიკაციისათვის სიმდიდრის მიხედვით, ყველაზე ღარიბიდან ყველაზე მდიდრამდე. მატერიალური მდგომარეობის ინდექსი არ იძლევა ინფორმაციას აბსოლუტურ სიღარიბეზე, ამჟამინდელ შემოსავალზე თუ ხარჯების დონეებზე, ხოლო ქონების გამოთვლილი ქულები მხოლოდ იმ კონკრეტული მონაცემთა წყებისთვის არის გამოსადეგი, რომელსაც ისინი ეფუძნება. დამატებითი ინფორმაცია მატერიალური მდგომარეობის ინდექსის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ: Rutstein and Johnson, 2004, and Filmer and Pritchett, 2001.

IV. ბავშვთა სიკვდილიანობა

დოკუმენტებში „ათასწლეულის განვითარების მიზნები“ და „მსოფლიო ბავშვებისათვის“ დასახული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების სიკვდილიანობის შემცირება. კერძოდ, „ათასწლეულის განვითარების მიზნები“ მოუწოდებს სახელმწიფოებს, 1990-2015 წლებში ორი მესამედით შემცირდეს ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა. აღნიშნული მიზნის მიღწევის მხრივ არსებული მდგომარეობის მონიტორინგი მნიშვნელოვანი, მაგრამ რთული ამოცანაა. ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის დადგენა შეიძლება ერთი შეხედვით ადვილი ჩანდეს, მაგრამ კითხვას „გარდაიცვალა თუ არა ვინმე გასულ წელს ამ ოჯახში?“ - არაზუსტი პასუხი მოჰყვება. დაბადების მონომობების მიხედვით ბავშვთა სიკვდილიანობის პირდაპირი გაზომვის მეთოდით დადგენა ძალიან ბევრ დროს მოითხოვს და ძვირია. ამ დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ტრენინგს და კონტროლს. მეორე მხრივ, არაპირდაპირი გაზომვის მეთოდით ბავშვთა სიკვდილიანობის გაანგარიშება უფრო სარწმუნოა და ამ შედეგების შედარებაც შესაძლებელია სხვა წყაროდან მოპოვებულ მონაცემებთან. არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებისას ნაკლებია ის შეცდომები, რომლებიც დავიწყებით, გამოკითხვის დაუზენაღი ტექნიკით ან არაზუსტი, მცდარი განმარტებებით არის გამოწვეული.


ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი იმის ალბათობაა, რომ ბავშვი გარდაიცვლება, ვიდრე ერთი წელი შეუსრულდება, ხუთ წლამდე სიკვდილიანობა არის ალბათობა ხუთი წლის ასაკამდე სიკვდილისა. მრავალინდიკატორულ კლასტერულ კვლევაში ჩვილ და ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის გამოანგარიშება ხდება არაპირდაპირი გათვლის ტექნიკის გამოყენებით, რომელიც ცნობილია როგორც ბრასის მეთოდი (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1983; 1990ა; 1990ბ). ამ შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემები მოიცავს: ყველა იმ ხუთი წლის ასაკის ბავშვის საშუალო რაოდენობას, რომლებიც 15-49 წლის ქალებს შეეძინათ, და ამათ შორის გარდაცვლილ ბავშვთა პროპორციული წილს. ეს ტექნიკა გარდაქმნის აღნიშნულ მონაცემებს გარდაცვალების ალბათობაში, მხედველობაში იღებს რა როგორც სიკვდილის რისკს, რომლის წინაშეც ბავშვი დგას, ასევე ამ საფრთხის ხანგრძლივობასაც, ასაკობრივი სიკვდილიანობის გარკვეული მოდელის დაშვების ფარგლებში. საქართველოსთვის სიკვდილიანობის შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე ყველაზე კარგად შესაფერისად ჩაითვალა სიცოცხლის ხანგრძლივობის ცხრილის აღმოსავლური მოდელი.

CM.1 ცხრილში წარმოდგენილია ბავშვთა სიკვდილიანობის მონაცემები სხვადასხვა ძირითადი მახასიათებლების მიხედვით; CM.2 ცხრილში წარმოდგენილია ძირითადი მონაცემები, რომლებიც გამოყენებული იქნა მთლიან ეროვნულ დონეზე სიკვდილიანობის დონის დასადგენად. ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყოველ ათას ბავშვზე 31 ბავშვია, მაშინ, როცა ხუთ წლამდე ასაკში გარდაცვალების ალბათობა ყოველ ათას ბავშვზე 35 ბავშვია. ეს შეფასება გამოთვლილი იქნა 25-29 და 30-34 ასაკის ქალებისგან სიკვდილიანობის შესახებ მოპოვებული მონაცემების გასაშუალოებით. მონაცემები 2000 წლის პირველი კვარტლის ბოლოს ეხება. მდებარეობით და მამრობითი სქესის ბავშვებს შორის სიკვდილიანობის ალბათობა განსხვავებულია. მნიშვნელოვნად დაბალია ქალაქში ჩვილი და ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების სიკვდილიანობის მაჩვენებელი სოფელთან შედარებით. ასევე დიდი განსხვავებაა იმისდა მიხედვით, თუ როგორია დედის განათლების დონე. სიკვდილიანობის ალბათობა იმ ბავშვებში, რომელთა დედებს უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული, ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე საშუალო განათლების მქონე დედების ბავშვებში. თუმცა ოჯახის მატერიალური მდგომარეობის ინდექსის კვინტილი არ ქმნის დიდ განსხვავებას ბავშვების სიკვდილიანობასთან მიმართებაში, გაჭირვებულ ოჯახებში ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში სიკვდილიანობის მაჩვენებელი მაინც უფრო მაღალია. CM.1 დიაგრამაში წარმოდგენილია განსხვავებები ხუთ წლამდე ასაკში სიკვდილიანობის მაჩვენებლებში ძირითადი მახასიათებლების მიხედვით.

CM.2 დიაგრამაში წარმოდგენილია კვლევის შედეგად მიღებული ხუთ წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის შესახებ მონაცემები, რაც ემყარება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ქალების პასუხებს და ეხება სხვადასხვა დროს. ეს აჩვენებს ხუთ წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის

ტენდენციას კვლევაზე დაყრდნობით. მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მონაცემების მიხედვით ბოლო 15 წლის განმავლობაში სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ 1999 წელს ჩატარებული მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის დროს არ შეგროვილა ინფორმაცია ბავშვთა სუკვილიანობის შესახებ, არსებობს ორი უახლესი კვლევა, რომლებთანაც შეიძლება ამ მონაცემების შედარება.

დიაგრამა CM.1 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლები მთლიანად მასხისათებლების მიხედვით, საქართველო, 2005




ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ზოგადად ჯანმრთელობის კვლევის მიხედვით, რომელიც 1999-2000 წლებში ჩატარდა (GERHS-1999) (სერბანესკუ et.al. 2001), ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 40.7-ია (ათვის ნერტილად მიჩნეულია 1995 წ.) და ეს მაჩვენებელი შემცირების ტენდენციას ამჟღავნებს. უახლეს მონაცემთა კიდევ ერთი წყაროს - „საქართველოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა-2005“-ის (GERHS-2005) (სერბანესკუ et.al. 2007) მიხედვით ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი უდრის 29 ბავშვს ათასზე (ათვის ნერტილია 2000 წ.). განსხვავება 2005 წლის მრავალინდიკატორულ კლასტერულ კვლევასა და საქართველოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევას (2005) შორის შეიძლება მიენეროს ორივე კვლევის⁸ შერჩევის დროს დამკვეთულ შეცდომებს და გაანგარიშების მეთოდს (ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა იყენებს პირდაპირ გაანგარიშებას, ხოლო მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა ეყრდნობა არაპირდაპირ გაანგარიშებას). დაანგარიშებულ მაჩვენებლებთან დაკავშირებული სანდოობის დიდი ინტერვალები შედეგია იმ დაბადებული ბავშვების შედარებით მცირე რაოდენობისა, რომელთაც ემყარება დაანგარიშება.

ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ზოგადად ჯანმრთელობის კვლევის (GERHS-1999) მიხედვით ხუთ წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყოველ ათას ბავშვზე 44.8-ს შეადგენს (წყარო ეყრდნობა დაახლოებით 1995 მონაცემებს), ხოლო საქართველოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა (GERHS-2005) გვიჩვენებს, რომ სიკვდილიანობა საგრძნობლად შემცირდა და 32.7-ს მიაღწია ათას ბავშვზე (წყარო ეყრდნობა დაახლოებით

⁸ GERHS-2005-ისთვის დაანგარიშებული სანდოობის ინტერვალის მიხედვით ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი მერყეობს ათას ბავშვზე 22.9-35.1-ს შორის. 2005 წლის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის შესაბამისი სანდოობის ინტერვალი ილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლისთვის ჯერ არ გვაქვს ხელთ.

2000 წლის მონაცემებს). 2005 წლის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მიხედვით 2000 წლისთვის ეს მაჩვენებელი 35-ია ათას ბავშვზე. არსებული განსხვავებები შესაძლოა ახსნილი იქნეს შერჩევის შეცდომებით⁹ და გამოთვლის განსხვავებული მეთოდით. როგორც ეს ნაჩვენებია CM.2 დიაგრამაზე, ხუთ წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის ტენდენცია, რომელიც 2005 წლის მრავალინდიკატორულ კლასტერულ კვლევაში გამოვლინდა, შეესაბამება GERHS-1999-ისა და GERHS-2005-ის მონაცემებს. ამჟამად გამოვლენილი კლებისა და განსხვავებების, ისევე, როგორც მათი დეტერმინანტების შემდგომი გარკვევა უფრო დეტალურ და ცალკე ანალიზს მოითხოვს.

დიაგრამა CM.2: 5 წლამდე სიკვდილიანობის მაჩვენებლების ტენდენცია, საქართველო, 2005



ისევე, როგორც ბევრ სხვა ყოფილ საბჭოთა ქვეყანაში, სადაც სამთავრობო მონაცემები ჩვილ ბავშვთა და ბავშვთა სიკვდილიანობის შესახებ საკმაოდ შემცირებულია, 2005 წელს ჩატარებულმა მრავალინდიკატორულმა კლასტერულმა კვლევამ საქართველოშიც ჩვილთა და 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის გაცილებით მაღალი მაჩვენებლები დააფიქსირა ოფიციალურ მონაცემებთან შედარებით, რომლებიც სიკვდილის შემთხვევების რეგისტრაციას ეყრდნობა (CDC and ORC Macro, 2003; UNICEF, 2003).

⁹ GERHS-2005-ისთვის დაანგარიშებული სანდოობის ინტერვალის მიხედვით ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი მერყეობს ათას ბავშვზე 26.2-39.2-ს შორის. 2005 წლის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის შესაბამისი სანდოობის ინტერვალი ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლისთვის ჯერ არ გვაქვს ხელთ

V. კვება

კვების მხრივ არსებული მდგომარეობა

ბავშვების ჯანმრთელობა დამოკიდებულია მის კვებაზე. როდესაც ბავშვები ნორმალურად იკვებებიან, იშვიათად ხდებიან ავად; თუ მათზე კარგად ზრუნავენ, ზრდის პროცესი შესაბამისად მიმდინარეობს და ისინი კარგად ნაკვებ ბავშვებად მიიჩნევიან.

ბავშვების ნახევარზე მეტი მსოფლიოში ცუდი კვების გამო იღუპება. ჩვეულებრივ, არასაკმარისი/ცუდი კვება ბავშვების ორგანიზმის გამოფიტვას იწვევს და ისინი იღუპებიან. ის, ვინც გადარჩება, პერიოდულად ავადმყოფობს და ზრდის პროცესიც შეფერხებულია. იმ ბავშვების სამი მეოთხედი, რომლებიც კვებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო იღუპებიან, მხოლოდ მსუბუქად ან საშუალოდ უჭმელი იყო და სისუსტის მკვეთრად გამოხატული ნიშნებიც არ ჰქონდა.

ათასწლეულის განვითარების მიზანია, 1990-2015 წლებში განახევრდეს იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც შიმშილობენ, დოკუმენტში „მსოფლიო ბავშვებისათვის“ კი დასახულია მიზანი — 2000-2010 წლებში სულ მცირე ერთი მესამედით შემცირდეს ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში უჭმელობის შემთხვევები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ორ წლამდე ასაკის ბავშვებს. უჭმელობისა და ცუდი კვების აღმოფხვრა ხელს შეუწყობს ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას.

მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც კარგად იკვებება, განისაზღვრება ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში სიმაღლისა და წონის საკონტროლო (სტანდარტული) განაწილება. მოსახლეობაში არასაკმარისი კვება შესაძლოა გაიზომოს ბავშვების მონაცემების შედარებით ამგვარ საკონტროლო მონაცემებთან. საკონტროლო მოსახლეობის ჯგუფი, რომელიც გამოიყენებოდა წინამდებარე ანგარიშის შედგენისას, არის WHO/CDC/NCHS-ის საკონტროლო ჯგუფი, რომლის გამოყენებაც ამ კველვისთვის „იუნისეფისა“ და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იქნა რეკომენდირებული. კვებითი სტატუსის სამივე ინდიკატორი შესაძლებელია გამოხატული იქნეს საკონტროლო მოსახლეობის ჯგუფის მედიანური მნიშვნელობიდან სტანდარტული სტატისტიკური გადახრის ერთეულებში (ზ-კოეფიციენტი).

წონა-ასაკის თანაფარდობით შეიძლება გაიზომოს ქრონიკული და მწვავე უჭმელობა. ის ბავშვები, რომელთა წონა-ასაკის თანაფარდობა ორი სტანდარტული გადახრით/დევიაციით დაბალია საკონტროლო მოსახლეობის მედიანაზე, მიიჩნევიან *ზომიერად ან ძალზე წონანაკლებებად*, ხოლო ბავშვები, რომელთა წონა-ასაკის თანაფარდობა სამი სტანდარტული გადახრით/დევიაციით დაბალია მედიანაზე — *ძალზე წონანაკლებებად*.

სიმაღლე-ასაკის თანაფარდობა სიმაღლეში ზრდის საზომია. ის ბავშვები, რომელთა სიმაღლე-ასაკის თანაფარდობა ორი ან მეტი სტანდარტული გადახრით/დევიაციით დაბალია საკონტროლო მოსახლეობის მედიანაზე, მიიჩნევიან დაბლებად მათი ასაკისთვის და კლასიფიცირდებიან როგორც *სიმაღლეში ზომიერად ან ძალიან ჩამორჩენილი/დაბალი ბავშვები*, ხოლო ბავშვები, რომელთა სიმაღლე-ასაკზე თანაფარდობა სამი სტანდარტული გადახრით/დევიაციით დაბალია მედიანაზე, მიიჩნევიან სიმაღლეში *ძალიან ჩამორჩენილ/დაბალ ბავშვებად*. სიმაღლეში ჩამორჩენილობა ასახავს ქრონიკულ უჭმელობას. ეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადეკვატური საკვები პროდუქტების მიუღებლობისა და განმეორებადი ან ქრონიკული ავადმყოფობის შედეგია.

და ბოლოს, ის ბავშვები, ვისი წონა-სიმაღლეზე ფარდობა საკონტროლო მოსახლეობის მედიანის ქვემოთ არის ორმაგი სტანდარტული სტატისტიკური გადახრის ოდენობით, განისაზღვრებიან როგორც *ბავშვები, რომელთაც აღენიშნებათ ზრდა-განვითარების ზომიერი ან მწვავე შეფერხება*, ხოლო თუ სხეულის მასის ინდექსი მედიანის ქვემოთ სამმაგი სტანდარტული გადახრითა და მეტით დაბალია, ეს ბავშვები *ზრდა-განვითარების მწვავე შეფერხებას* განიცდიან. სიგამხდრე

ჩვეულებრივ, კვების ნაკლებობის შედეგია. ამ ინდიკატორმა შეიძლება გამოავლინოს მნიშვნელოვანი სეზონური ცვალებადობა, რაც უკავშირდება საკვების ხელმისაწვდომობის ან ავადობის სეზონურ გავრცელებას.


მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის პროცესში „იუნისეფის“ რეკომენდაციით („იუნისეფი“, 2006) ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების წონა და სიმაღლე გაიზომა ანტროპომეტრიული ხელსაწყოთა საშუალებით. ამ თავში წარმოდგენილი მონაცემები სწორედ ამ გაზომვების შედეგებს ეყრდნობა.

NU.1 ცხრილში ნაჩვენებია ზემოთ აღნიშნული კატეგორიებით კლასიფიცირებული ბავშვების პროცენტული რაოდენობა. კატეგორიები განისაზღვრა ველზე ჩატარებული ანტროპომეტრიული გაზომვების საფუძველზე. ამას გარდა, ცხრილში შეტანილია ჭარბწონიანი ბავშვების პროცენტული მაჩვენებლები, რაც ითვალისწინებს იმ ბავშვებს, რომელთა წონა სიმაღლესთან შედარებით ორი სტანდარტული გადახრით ზემოთ არის საკონტროლო მოსახლეობის საშუალოზე.

NU.1 ცხრილში არ არის მონაცემები იმ ბავშვების შესახებ, რომლებიც არ აუწონიათ და არ გაუზომიათ (ბავშვების 6.4 პროცენტი) და ვისი ზომებიც არ ექცევა რეალურ ჩარჩოებში (4.7 პროცენტი).

საქართველოში ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების მხოლოდ 2.1 პროცენტია საშუალოდ წონანაკლები და 0.3 პროცენტი - ძალზე წონანაკლები (ცხრილი NU.1). ბავშვების 10 პროცენტზე ოდნავ მეტი არის საშუალოდ დაბალი ან თავის ასაკთან შედარებით ძალიან დაბალი; თითქმის 5 პროცენტი განიცდის ზრდა-განვითარების ზომიერ შეფერხებას ან ძალიან გამხდარია თავის სიმაღლესთან შედარებით. 1999 წლის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მონაცემების მიხედვით ბავშვების 3.1 პროცენტი საშუალოზე მცირე წონისაა, 11.7 პროცენტი – დაბალი და 2.3 პროცენტი – ბავშვებისთვის, რომლებიც ზრდა-განვითარების შეფერხებას განიცდიან. 2005 წლის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მონაცემების მიხედვით ბავშვების 15.2 პროცენტი ჭარბი წონისაა.

სქემა NU.1: 5 წლამდე ბავშვების პროცენტული ცუდი კვების პირობებში, საქართველო, 2005



ვინაიდან საქართველოში მცირე წონის და გამხდარი ბავშვების პროცენტული რაოდენობა ზოგადად დაბალია, ძირითადი მახასიათებლების მიხედვით ამ მონაცემებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღინიშნება. სამივე მონაცემის მიხედვით მაჩვენებლებს შორის ინვერსიული კავშირი აღინიშნება მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე დედებთან. მეორე მხრივ, აშკარა განსხვავებებია სიმალლის მონაცემებში. ქვემო ქართლში ბავშვები უფრო დაბლები არიან, ვიდრე სხვა რეგიონებში (18.5 პროცენტი); თბილისში დაბალი ბავშვების პროცენტული რაოდენობა ყველაზე დაბალია. ბიჭები უფრო დაბლები არიან და ზრდა-განვითარების შეფერხებას განიცდიან, ვიდრე გოგონები. ასაკობრივი სქემებიდან ჩანს, რომ 12-23 თვის ბავშვებში მცირე წონის და დაბალი ბავშვების პროცენტული რაოდენობა უფრო მაღალია, ვიდრე აღნიშნულ ასაკზე ნაკლები ან მეტი ასაკის ბავშვებში (დიაგრამა NU.1). ეს სქემა ეხება იმ ასაკობრივ კატეგორიას, როდესაც ბავშვები წყვეტენ ძუძუთი კვებას და აღარ არიან დაცულები გარემოს, საკვები პროდუქტების და წყლის დაბინძურებით გამონეული ზეგავლენისგან. შინამეურნეობის ქონებრივი სტატუსი და შინამეურნეობის უფროსის ეთნიკური წარმომავლობა ბავშვების სიმალლის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ.

ძუძუთი კვება

პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში ძუძუთი კვება უზრუნველყოფს ბავშვების დაცვას სხვადასხვა ინფექციისაგან და წარმოადგენს ბავშვისთვის საკვები ნივთიერებების მიწოდების იდეალურ, ეკონომიურ და უსაფრთხო საშუალებას. მიუხედავად ამისა, ბევრი დედა ძალიან მალე წყვეტს ბავშვის ძუძუთი კვებას და გადაჰყავს ბავშვი ხელოვნურ კვებაზე, რაც შეიძლება ზრდის შეფერხების და ორგანიზმში საკვები მიკროელემენტების ნაკლებობის მიზეზი გახდეს; ხელოვნური კვება სახიფათოა იმ შემთხვევაშიც, თუ წყალი არ არის სათანადოდ გაწმენდილი. დოკუმენტში „მსოფლიო ბავშვებისათვის“ დასახული ერთ-ერთი მიზანია, რომ 6 თვის განმავლობაში ყველა ბავშვი მხოლოდ ძუძუთი იკვებებოდეს, 6 თვიდან კი, ძუძუთი კვების პარალელურად, ბავშვებმა მიიღონ უსაფრთხო და ადეკვატური დამატებითი კვება 2 წლამდე და 2 წლის შემდეგ.

კვებასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია/„იუნისეფი“ შემდეგ რეკომენდაციებს გვთავაზობენ:

- პირველი ექვსი თვის განმავლობაში მხოლოდ ძუძუთი კვება;
- ძუძუთი კვების გაგრძელება 2 წლამდე ან მეტხანს;
- უსაფრთხო და ადეკვატური დამატებითი კვება 6 თვიდან;
- დამატებითი კვების სიხშირე: 6-8 თვის ასაკში — დღეში 2-ჯერ; 9-11 თვის ასაკში — დღეში 3-ჯერ.


არსებობს ასევე რეკომენდაცია - ძუძუთი კვება დაიწყოს ბავშვის დაბადებიდან ერთ საათში. ბავშვის კვების რეკომენდებული ქმედებების ინდიკატორებია:

- მხოლოდ ძუძუთი კვება (<6 თვე & < 4 თვე)
- დროული დამატებითი კვება (6-9 თვე)
- ძუძუთი კვების გაგრძელება (12-15 & 20-23 თვე)
- ძუძუთი კვების დროულად დანყება (დაბადებიდან ერთ საათში)
- დამატებითი კვების სიხშირე (6-11 თვე)
- ადეკვატურად გამოკვებილი ჩვილები (0-11 თვე)

NU.2 ცხრილში მოცემულია იმ ქალების პროპორციული რაოდენობა, რომლებმაც დაიწყეს ბავშვის ძუძუთი კვება ბავშვის დაბადებიდან ერთ საათში, და იმ ქალებისა, რომლებმაც დაიწყეს ბავშვის ძუძუთი კვება ბავშვის დაბადებიდან ერთ დღეში (ეს ციფრი მოიცავს იმ ქალებსაც, რომლებმაც ბავშვის ძუძუთი კვება ბავშვის დაბადებიდან ერთ საათში დაიწყეს). კვლევის ჩატარებამდე ორი წლის განმავლობაში ძუძუთი კვება ბავშვის დაბადებიდან ერთ საათში კვლევის ჩატარებამდე ორი წლის განმავლობაში დაიწყო ქალების ერთ მესამედზე მეტმა (36.6 პროცენტი), ბავშვის დაბადების დღის ბოლოდა კი ქალების დაახლოებით ორმა მესამედმა (65.1 პროცენტი). ქალების განათლების დონის მომატებასთან ერთად ოდნავ კლებულობს იმ ქალების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც დაიწყეს ბავშვის ძუძუთი კვება.

არსებობს ასევე განსხვავებები რეგიონების მიხედვით: 30%-ზე ნაკლებიდან თბილისში, აჭარასა და კახეთში 48.1 პროცენტამდე სამეგრელოსა და ზემო სვანეთში. განსხვავებები ძირითადი მახასიათებლების მიხედვით იმ ქალებს შორის, რომლებმაც ბავშვის დაბადებიდან ერთ დღეში დაიწყეს ბავშვის ძუძუთი კვება, ნაკლებად შესამჩნევია, გარდა იმ რეგიონებისა, სადაც პროცენტული რაოდენობა შემდეგნაირად მერყეობს: 56% - აჭარაში, 73.8% - შიდა ქართლში და 83.9% - მცხეთა-მთიანეთში (დიაგრამა NU.2).

დიაგრამა NU.2 დედების პროცენტული რაოდენობა, ვინც დაიწყო ბავშვის ძუძუთი კვება დაბადებიდან ერთ საათში და ერთ დღეში, საქართველო, 2005




ძუძუთი კვების შესახებ NU.3 ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება ინტერვიუმდე 24 საათით ადრე ბავშვების მიერ საკვებისა და სითხის მიღებასთან დაკავშირებით დედების/ მზრუნველების მიერ მონოდეზულ ინფორმაციას. მხოლოდ ძუძუთი კვება ეხება ჩვილ ბავშვებს, რომლებმაც მხოლოდ დედის რძე მიიღეს (და ვიტამინები, მინერალური დანამატები ან წამლები). ცხრილში მოცემულია პირველი ექვსი თვის განმავლობაში ჩვილი ბავშვების მხოლოდ ძუძუთი კვების მონაცემები (ცალ-ცალკე 0-3 თვის და 0-5 თვის ჩვილი ბავშვებისთვის) და ასევე 6-9 თვის ჩვილი ბავშვების დამატებითი კვებისა და 12-15 და 20-23 თვის ჩვილი ბავშვების ძუძუთი კვების გაგრძელების შესახებ ინფორმაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ახალშობილების ძუძუთი კვება საკმაოდ გავრცელებულია საქართველოში, მხოლოდ ძუძუთი კვება 6 თვემდე არც თუ ისე ხშირია. 6 თვეზე ნაკლები ასაკის ბავშვების დაახლოებით 11% იკვებება მხოლოდ ძუძუთი, რაც რეკომენდებულ დონეზე გაცილებით დაბალია. 6-9 თვის ასაკში ბავშვების 34.8 პროცენტი იკვებება დედის რძით და მკვრივი ან ნახევრად მკვრივი საკვებით. 12-15 თვის ასაკში ძუძუთი იკვებება ბავშვების 40% და 20-23 თვის ასაკში ბავშვების 19.6%. მხოლოდ ძუძუთი გოგონები უფრო იკვებებიან, ვიდრე ბიჭები. სოფლებში მცხოვრები მეძუძური ქალების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში ძუძუთი კვებავენ ბავშვებს, უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქში. მცირე რაოდენობით ჩატარებული დაკვირვებების გამო უფრო მეტი დიფერენციაციის დადგენა არ მოხერხდა.

NU.3 დიაგრამაზე წარმოდგენილია ბავშვის ძუძუთი კვების დეტალური მონაცემები თვეების მიხედვით. ადრეულ ასაკშიც კი ბავშვების უმრავლესობა დედის რძის გარდა სითხეს და სხვა

საკვებს იღებს. მესამე თვის ბოლოს მხოლოდ ძუძუზე მყოფი ბავშვების რაოდენობა 10%-ზე დაბალია. 2 წლის შემდეგ დედის რძეს ბავშვების მხოლოდ 10% ღებულობს.

**დიაგრამა NU.3 ჩვილთა კვება ასაკის მიხედვით:
3 წლამდე ბავშვთა კვების პროცენტული განაწილება
ჯგუფის მიხედვით, საქართველო, 2005**



NU.4 ცხრილში წარმოდგენილია 12 თვემდე ბავშვების კვების ადეკვატურობა. ბავშვის ასაკის მიხედვით გამოიყენება კვების ადეკვატურობის სხვადასხვა კრიტერიუმი. 0-5 თვის ჩვილი ბავშვებისათვის ადეკვატურ კვებად მხოლოდ ძუძუთი კვება ითვლება. 6-8 თვის ჩვილი ბავშვების კვება ითვლება ადეკვატურად, თუ ისინი ღებულობენ დედის რძეს და დამატებით საკვებს დღეში ორჯერ მაინც, ხოლო 9-11 თვის ჩვილი ბავშვებისა — თუ ისინი ღებულობენ დედის რძეს და დამატებით საკვებს დღეში, სულ მცირე, სამჯერ.

0-5 თვის ჩვილ ბავშვებს შორის მხოლოდ ძუძუთი იკვებება ბავშვების 10.9%, და 6-8 თვის ჩვილ ბავშვებს შორის ადეკვატურად იკვებება 28%. 9-11 თვის ასაკში ამ მხრივ გაუმჯობესება არ შეიმჩნევა (28.2%). კვების ამგვარი პრაქტიკის შედეგად 6-11 თვის ბავშვების მხოლოდ 28.1% იკვებება ადეკვატურად. ადეკვატური კვება მთელ ჩვილ ბავშვებს (0-11 თვის) შორის 19.8%-ია. მიუხედავად იმისა, რომ პირველი თვეების განმავლობაში გოგონები უკეთ იკვებებიან, ვიდრე ბიჭები, 0-11 თვის ასაკში საერთო პროპორციები თითქმის ერთნაირია. ყველა შესწავლილი ასაკობრივი ჯგუფის სოფელში მცხოვრები ჩვილი ბავშვები უფრო ადეკვატურად იკვებებიან ვიდრე ქალაქში მაცხოვრებელი ბავშვები და საერთო შეფარდებაც სოფელში ორჯერ უფრო მაღალია (26.8 და 14.4% შესაბამად). ჩატარებული დაკვირვებების სიმცირის გამო განსხვავებები სხვა ძირითადი მახასიათებლების მიხედვით ბუნდოვანია.


მარილის გამდიდრება იოდით

მსოფლიო მასშტაბით იოდის დეფიციტით გამოწვეული დაავადებები მცირეწლოვანი ბავშვების გონებრივი ჩამორჩენილობისა და ფსიქომოტორული განვითარების შეფერხების ძირითადი მიზეზია. იოდის დეფიციტის ყველაზე მძიმე ფორმა ინვევს კრეტინიზმს. ის ზრდის, აგრეთვე, მკვდარი ნაყოფის დაბადების და ბუნებრივი აბორტის რისკს ორსული ქალებისათვის. იოდის დეფიციტი უმეტესად დაკავშირებულია ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევასთან. იოდის დეფიციტით გამოწვეული დაავადებები ყველაზე მეტად მოქმედებს გონებრივ და ფსიქომოტორულ განვითარებაზე, რაც ინვევს გონებრივი განვითარების შეზღუდვას, შრომისუნარიანობის გაუარესებას, სკოლაში სწავლის უნარის დაქვეითებას. საერთაშორისო მიზანია, 2005 წლისთვის მიღწეული იქნეს იოდის დეფიციტის მდგრადი აღმოფხვრა. ინდიკატორს წარმოადგენს იმ შინამეურნეობების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც მოიხმარენ იოდით ადეკვატურად გამდიდრებულ მარილს (≥ 15 ნაწილი მილიონზე).

„იუნისეფის“ / აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ხანგრძლივი პროპაგანდისა და ტექნიკური დახმარებით შედეგად 2005 წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „იოდისა და სხვა მიკროელემენტების და ვიტამინების დეფიციტის აღმოფხვრის“ შესახებ. კანონი კრძალავს არაიოდიზირებული მარილის იმპორტს და რეალიზაციას და ნიადაგს ამზადებს ქვეყანაში საკვები ნივთიერებებით და ვიტამინებით საკვები პროდუქტების გამდიდრების პოლიტიკის გატარებისათვის. საქართველო 100%-ით არის დამოკიდებული იმპორტირებულ მარილზე; იმედა, რომ ამ კანონის შესრულება შესაძლებელს გახდის, მიღწეული იქნეს მარილის საყოველთაო გამდიდრება იოდით. 2003 წელს „იუნისეფმა“ და საქართველოს მთავრობამ ერთობლივად შეისწავლეს მარილის მოხმარების საკითხი საქართველოში. ანალიზის შედეგებმა ცხადყო, რომ შინამეურნეობების მიერ სათანადოდ იოდიზირებული მარილის მოხმარების დონე გაიზარდა 1999 წელს 8.1%-დან (მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა-1999) 2003 წელს 67%-მდე („იუნისეფი“, 2007).

შინამეურნეობების დაახლოებით 98%-ის მიერ გამოყენებულ საკვებ მარილში იოდის შემცველობის დასადგენად საცდელი კომპლექტის გამოყენებით ჩატარდა ტესტი და შემომნდა პოტასიუმის იოდიდის ან პოტასიუმის იოდატის არსებობა. NU.5 ცხრილიდან ჩანს, რომ იმ ოჯახების რაოდენობა, სადაც მარილი საერთოდ არ ჰქონდათ, ცოტა იყო (0.6%). ოჯახების 87.2%-ის მიერ გამოყენებული საკვები მარილი შეიცავდა ერთ მილიონზე 15 ან მეტ ნიღ იოდინს. სათანადოდ იოდიზირებული მარილის ყველაზე დაბალი პროცენტული რაოდენობა დაფიქსირდა შიდა ქართლში (74.8%), ხოლო ყველაზე მაღალი – სამეგრელოსა და ზემო სვანეთში (93.6%) (დიაგრამა NU.4). განსხვავებები ქალაქისა და სოფლის, ოჯახის უფროსის განათლებისა და ქონებრივი სტატუსის კინტილების მიხედვით ძალიან უმნიშვნელო იყო.

დიაგრამა NU.4 პროცენტული რაოდენობა შინამეურნეობებისა, ვინც მოიხმარს სათანადოდ იოდიზირებულ მარილს, საქართველო, 2005



მშობიარობის შემდეგ დედებისათვის ვიტამინი A-ს დამატება

ვიტამინი A ძალიან მნიშვნელოვანია მხედველობისთვის და იმუნური სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისთვის. ვიტამინი A არის ისეთ საკვებ პროდუქტებში, როგორცაა: რძე, ღვიძლი, კვერცხი, ნითელი და ნარინჯისფერი ხილი, ნითელი პალმის ზეთი და მწვანე ფოთლოვანი ბოსტნეული; თუმცა ამ პროდუქტებიდან მიღებული და ორგანიზმისათვის მზა სახით მიწოდებულ

ვიტამინი A-ს რაოდენობა საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ვიტამინი A-ს შემცველი ხილი და ბოსტნეული ფართოდ მოიხმარება, ამ სახით მიღებული ვიტამინი A-ს რაოდენობა ხშირად არ შეესაბამება ერთ სულზე გათვლილ დღიურ ნორმას და ვერ აკმაყოფილებს კვების რეჟიმის მოთხოვნილებებს. წელიწადში ერთხელ პატარა ბავშვებისთვის ვიტამინი A-ს მაღალდოზირებული ორი აბის მიცემა ვიტამინი A-ს დეფიციტის აღმოფხვრისა და ბავშვის სიცოცხლისუნარიანობის გაუმჯობესების უსაფრთხო, ეკონომიურ და ეფექტური მეთოდს წარმოადგენს.

მეძუძურ დედებს ვიტამინი A-ს მიღება მშობიარობის შემდეგ ეხმარება დაიცვან თავიანთი შვილები სიცოცხლის პირველ თვეებში, თვითონ კი აღიდგინონ ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში დაცლილი ვიტამინი A-ს მარაგი.

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის ჩატარებამდე ორი წლის განმავლობაში დედების მხოლოდ 15.8% იღებდა ვიტამინ A-ს მშობიარობის შემდეგ რვა კვირის მანძილზე (ცხრილი NU.6) ყველაზე მაღალი პროცენტული რაოდენობით - კახეთში (20.5%) და ყველაზე დაბალით - შიდა ქართლში (6.9%). თუ ოჯახის უფროსი ეროვნებით ქართველია, ვიტამინი A-ს მიღება ორსულ ქალებში 17.7%-ს აღწევს. 1999 წელს ჩატარებული მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის შედეგებთან (8.6%) შედარებით ოდნავ გაზრდილია იმ ქალების პროცენტული რაოდენობა, ვინც იღებდა ვიტამინ A-ს.

წონანაკლული ახალშობილები

ახალშობილის წონა არა მარტო დედის ჯანმრთელობისა და ნუტრიციოლოგიური სტატუსის კარგი ინდიკატორია, არამედ ახალშობილის სიცოცხლისუნარიანობის, ზრდის, ხანგრძლივი ჯანმრთელობისა და ფიზიოლოგიური განვითარების მიმანიშნებელია. ახალშობილის არასაკმარისი წონა (2,500 გრამზე ნაკლები) სერიოზულ საფრთხეს უქმნის ბავშვის სიცოცხლეს. იმ ბავშვებს, რომლებმაც დედის მუცელში ყოფნის დროს საკმარისი რაოდენობით საკვები ნივთიერებები არ მიიღეს, ადრეულ თვეებში და წლებში დალუპვის გაცილებით დიდი საფრთხე ემუქრებათ, ხოლო მათ, ვინც გადარჩება, სუსტი იმუნური სისტემა აქვთ, ხშირად ავადმყოფობენ და ალბათ მთელი ცხოვრების მანძილზე გააწყვებათ კვების უკმარისობა მისთვის დამახასიათებელი სისუსტით კუნთებში, მოგვიანებით კი ეს ბავშვები დიაბეტისა და გულის დაავადებების მსხვერპლნიც უფრო ხშირად ხდებიან. ამას გარდა, მცირეწონიან ბავშვებში ინტელექტის დაბალი კოეფიციენტის ალბათობა მეტია, რაც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს სწავლაზე, შემდეგ კი სამუშაოს შოვნის შესაძლებლობაზე.

განვითარებად ქვეყნებში, ახალშობილის არასაკმარისი წონა უპირველეს ყოვლისა დედის სუსტი ჯანმრთელობისა და ცუდი კვების შედეგია. ახალშობილის არასაკმარისი წონაზე ყველაზე მეტ ზეგავლენას სამი ფაქტორი ახდენს: დედის ცუდი კვება ბავშვის ჩასახვამდე, დედის სხეულის პატარა ზომა (რაც უმეტესად გამოწვეულია დედის ცუდი კვებით და ბავშვობაში გადატანილი ინფექციური დაავადებებით) და დედის ცუდი კვება ორსულობის პერიოდში. ორსულობის დროს დედის არაადეკვატურად მომატებული წონა მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვინაიდან ეს ძალზე აფერხებს ემბრიონის ზრდას. გარდა ამისა, განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელმა დაავადებებმა, როგორიცაა დიარეა და მალარია, შეიძლება მნიშვნელოვნად შეაფერხოს ემბრიონის ზრდა, თუ დედა ორსულობის პერიოდში დაავადდა.

განვითარებულ ქვეყნებში ახალშობილის არასაკმარისი წონის მთავარი მიზეზია ორსულობის პერიოდში თამბაქოს მოწევა. მოზარდების მიერ წონანაკლული ჩვილების გაჩენის რისკი ერთნაირად დიდია განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ თვით მოზარდების სხეულის ზრდა არ არის დასრულებული.


წონანაკლული ახალშობილების რაოდენობის დადგენის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ განვითარებად ქვეყნებში ბავშვების ნახევარზე მეტს არ წონიან. წარსულში განვითარებად ქვეყნებში მცირეწონიანი ახალშობილების რაოდენობის შეფასება ხდებოდა ჯანმრთელობის დაცვის დანესებულებების მიერ მონოდედული მონაცემების საფუძველზე. მაგრამ ეს მონაცემები არ იყო ზუსტი არც ერთი განვითარებადი ქვეყნისთვის, რადგან უმეტესობა

ახალშობილებისა სამშობიაროებში არ იბადება, ხოლო ის, ვინც სამშობიაროში იბადება, ბავშვის დაბადების ყველა შემთხვევის მხოლოდ შერჩეულ ნიმუშს წარმოადგენს.

გამომდინარე იქიდან, რომ დაბადების დროს ყველა ბავშვს არ წონიდნენ, ხოლო ვისაც წონიდნენ, გამორიცხული არ არის, რომ დაბადების ყველა შემთხვევის არაობიექტური შერჩევის ნიმუში იყო, ინფორმაცია ახალშობილთა წონებზე არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ყველა ბავშვს შორის წონანაკლებობის გავრცელების გასაზომად. შესაბამისად, 2500 გრამზე ნაკლები წონის ბავშვების პროცენტული რაოდენობის დადგენა ხდება კითხვარში მოცემული ორი პუნქტის მეშვეობით: დედის მიერ დაბადებისას ბავშვის **ზომის** შეფასება (ე.ი. ძალიან პატარა, საშუალოზე პატარა, საშუალო, საშუალოზე მეტი, ძალიან დიდი) და დედის მიერ ბავშვის **წონის** გახსენება ან ბავშვის ჯანმრთელობის ისტორიაში დაფიქსირებული წონა, თუ ბავშვი აწონეს დაბადების დროს.¹⁰

სულ დაბადების დროს აიწონა ბავშვების 95.7 პროცენტი და დაახლოებით 5 პროცენტი იწონიდა 2500 გრამზე ნაკლებს (ცხრილი NU.7). რეგიონის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებები არ ყოფილა (დიაგრამა NU.5). არასაკმარისი წონით დაბადებული ბავშვების პროცენტული რაოდენობა სხვა ძირითადი მახასიათებლების მიხედვითაც არ განსხვავდება. 1999 წელს ჩატარებული მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მიხედვით შესაბამისი პროცენტული რაოდენობა შეადგენს 4.2 პროცენტს.

დიაგრამა NU.5 იმ ჩველების პროცენტული ოდენობა, ვინც დაბადებისას 2500 გრამზე ნაკლებს იწონიდა, საქართველო, 2005



¹⁰ უფრო დეტალური აღწერა მოცემულია შემდეგ ნყაროებში: ბოერმა, ვაინსთაინი, რუთსთაინი და სომერფელტი, 1996.

VI. ბავშვის ჯანმრთელობა

რეჰიდრაციული მკურნალობა

მეორე მთავარი მიზეზი ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობაში მთელს მსოფლიოში დიარეაა. უმეტეს შემთხვევებში ეს მოჰყვება დიდი რაოდენობის სითხისა და ელექტროლიტების დაკარგვას ორგანიზმიდან თხევადი განავლის სახით. ფატალური შედეგების თავიდან აცილება შესაძლებელია სითხის აღმდგენი მარილების (ORS) ან შინ დამზადებული რეკომენდებული სითხის მიღებით. დიარეის მკურნალობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს დეჰიდრაციისა და არასაკმარისი კვების პრევენციას, რისი მიღწევაც ბავშვის კვების შეუნწყვეტლობითა და სითხის მიღების გაზრდით არის შესაძლებელი.

მიზნები: 1) ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში დიარეით გამოწვეული სიკვდილიანობის განახევრება 2010 წლისთვის 2000 წელთან შედარებით („მსოფლიო ბავშვებისთვის“); და 2) ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების სიკვდილიანობის დონის შემცირება ორი მესამედით 2015 წლისთვის 1990 წელთან შედარებით („ათასწლეულის განვითარების მიზნები“). ამას გარდა, „მსოფლიო ბავშვებისთვის“ მიზნად ისახავს დიარეის შემთხვევათა რაოდენობის შემცირებას 25%-ით.

ინდიკატორები:


- დიარეის შემთხვევათა რაოდენობა;
- პერორალური რეჰიდრაციით მკურნალობა;
- დიარეის მკურნალობა სახლის პირობებში;
- (პერორალური რეჰიდრაციით მკურნალობა ან სითხის მიღების გაზრდა) და ბავშვის კვება.

მრავალინდიკატორულ კლასტერულ კვლევის დროს დედებს (ან მომვლელებს) სთხოვეს, მოეყოლათ, ჰქონდა თუ არა მათ ბავშვს დიარეა კვლევის ჩატარებამდე ორი კვირის განმავლობაში. თუ ჰქონდა, დედას უსვამდნენ რიგს კითხვებისა იმის შესახებ, თუ რას სვამდა და ჭამდა ბავშვი ავადმყოფობის დროს და რა რაოდენობით — ჩვეულებრივზე მეტს თუ ნაკლებს.

მთლიანობაში აღმოჩნდა, რომ გამოკვლევის ჩატარებამდე ორი კვირის განმავლობაში ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების 10.4%-ს ჰქონდა დიარეა (იხ. ცხრილი CH.1). დაავადების გავრცელებაში განსხვავებები აღინიშნა რეგიონების მიხედვით (ქვემო ქართლის 5.9%-დან მცხეთა-მთიანეთის 15.8%-მდე). დიარეის შემთხვევები ორ წლამდე ასაკის ბავშვებში მაქსიმალურ რაოდენობას აღწევს იმ პერიოდში, როცა ისინი ძუძუს ანებებენ თავს.

ცხრილი CH.1 გვიჩვენებს, აგრეთვე, თუ ბავშვების რამდენი პროცენტი იღებდა სხვადასხვა სახის რეკომენდებულ სითხეებს დიარეის დროს. ვინაიდან დედებმა ერთზე მეტი სახეობის სითხე დაასახელეს, ამიტომ პროცენტული მაჩვენებელი აუცილებლად 100%-დან არ აითვლება. ბავშვების დაახლოებით 40% სითხეს იღებდა პერორალური რეჰიდრაციის პაკეტებიდან, ხოლო 13.6% რეკომენდებულ, შინ დამზადებულ სითხეებს ღებულობდა. დიარეიანი ბავშვების თითქმის ნახევარს საერთოდ არ მიუღია არავითარი მკურნალობა. განსხვავებები ნაკლები აღმოჩნდა ბავშვის სქესისა და სახცოვრებელი ადგილის (ქალაქი-სოფელი) ჭრილში (იხ. დიაგრამა CH.3). განსხვავებების დადგენა სხვა ძირითადი მახასიათებლებისთვის გაგვიჭირდა, რადგან დიარეის შემთხვევების რაოდენობა მცირე იყო. საერთო ჯამში, სახლში მკურნალობის რეკომენდებული კურსი დიარეით დაავადებულ ბავშვთა ნახევარზე ოდნავ მეტმა გაიარა.


დიაგრამა CH.3 0-59 თვის ასაკის დიარეიან ბავშვთა პროცენტული ოდენობა, ვისაც ჩაუტარდა ორალური რეჰიდრატაციით მკურნალობა საქართველო, 2005



ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების ერთ მესამედზე მეტმა (36.2%) ჩვეულებრივზე მეტი სითხე მიიღო, ხოლო 52.7%-მა იმავე რაოდენობისა, რასაც ჯანმრთელ მდგომარეობაში სვამდა, ან ნაკლები (იხ. ცხრილი CH.2). ბავშვების დაახლოებით 60%-მა უფრო ნაკლები, იმდენივე ან მეტი საკვები მიიღო (ანუ ეს ბავშვები აგრძელებდნენ კვებას), მაგრამ 37.8%-მა გაცილებით ნაკლები ჭამა ან საერთოდ არავითარი საკვები არ მიუღია. ამ მონაცემების მიხედვით, ბავშვების დაახლოებით ერთი მეხუთედი აგრძელებდა კვებას და სითხესაც გაზრდილი რაოდენობით იღებდა. CH.2 ცხრილში მოცემული ინფორმაცია რომ გავაერთიანოთ CH.2 ცხრილის მონაცემებთან პერორალური რეჰიდრატაციის თერაპიაზე, მივიღებთ, რომ ბავშვების 36.5%-მა ან პერორალური რეჰიდრატაციის მკურნალობის კურსი გაიარა, ან მის მიერ სითხის მიღება გაიზარდა და, ამავე დროს, რეკომენდაციის თანახმად, გრძელდებოდა ამ ბავშვების კვება.

დიარეის სახლში მკურნალობისას მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღმოჩნდა ბავშვების სქესის მიხედვით, ხოლო სახცოვრებელი ადგილის ჭრილში ქალაქელი ბავშვების უფრო დიდმა რაოდენობამ (40.6%) გაიარა პერორალური რეჰიდრატაციის მკურნალობის კურსი, უფრო მეტი რაოდენობის სითხე მიიღო ღა თანაც შეუწყვეტილვ იკვებებოდა, ვიდრე სოფლელმა ბავშვებმა, რომელთა რაოდენობამ 32.3% შეადგინა (იხ. ცხრილი CH.4). მწირი მონაცემების გამო ჩვენ საშუალება არა გვაქვს, დავადგინოთ განსხვავებები სხვა ძირითადი მახასიათებლების მიხედვით.

დიაგრამა CH.4 0-59 თვის ასაკის დიარეიან ბავშვთა პროცენტული ოდენობა, ვისაც ჩაუტარდა ორალური რეჰიდრატაციით მკურნალობა ან ვინც იღებდა სითხეებს და აგრძელებდა კვებას, საქართველო, 2005



პნევმონიისას ექიმისთვის მიმართვა და მკურნალობა ანტიბიოტიკებით

პნევმონია ბავშვთა სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. მას ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში ძირითადად ანტიბიოტიკებით მკურნალობენ. დოკუმენტის „მსოფლიო ბავშვებისთვის“ მიზანია, ერთი მესამედით შემცირდეს მწვავე რესპირატორული ინფექციებით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევები.

ბავშვებს, რომლებსაც სავარაუდოდ ფილტვების ანთება ჰქონდათ, აღენიშნებოდათ ხველა და ჩქარი ან გაძნელებული სუნთქვა და ეს სიმპტომები არ იყო დაკავშირებული პრობლემასთან მკერდში ან გაგუდულ ცხვირთან. ინდიკატორებია:

- სავარაუდო პნევმონიის შემთხვევათა რაოდენობა;
- ექიმისთვის მიმართვა პნევმონიაზე ეჭვის შემთხვევაში;
- სავარაუდო პნევმონიის ანტიბიოტიკებით მკურნალობა;
- პნევმონიის საფრთხის ნიშნების ცოდნა.

CH.3 ცხრილი გვიჩვენებს სავარაუდო პნევმონიის გავრცელებას და, თუ ავადმყოფი ბავშვის მშობლებმა ექიმს მიმართეს, სამკურნალო დანესებულებას. კვლევის ჩატარებამდე ორი კვირის განმავლობაში დაფიქსირებულია, რომ 0-59 თვის ბავშვების მხოლოდ 2.7%-თან დაკავშირებით მიმართეს ექიმს ფილტვების ანთების სიმპტომებით. მათგან 73.6% წაიყვანეს სათანადო სამკურნალო დანესებულებაში. უმეტეს შემთხვევებში ბავშვები სავარაუდო პნევმონიით სამკურნალოდ სახელმწიფო სამედიცინო დანესებულებაში წაიყვანეს. ბავშვების 5.5% საერთოდ არ მიუყვანიათ სამკურნალო დანესებულებაში და არ გამოუძახიათ ექიმი. სავარაუდო პნევმონიის შემთხვევათა მცირე რაოდენობა საშუალებას არ გვაძლევს, გავაანალიზოთ განსხვავებები სხვა მახასიათებლების მიხედვით.

CH.4 ცხრილი გვიჩვენებს ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების ანტიბიოტიკებით მკურნალობას სავარაუდო პნევმონიის შემთხვევაში სქესის, საცხოვრებელი ადგილისა და სიმდიდრის მაჩვენებლების კვინტილების მიხედვით, გაერთიანებულს ორ კატეგორიად. საქართველოში ხუთ

წლამდე ასაკის ბავშვების 55.5%-მა გაიარა ანტიბიოტიკებით მკურნალობის კურსი სავარაუდო პნევმონიის დროს კვლევის ჩატარებამდე ორი კვირის განმავლობაში. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ შემთხვევების სიმცირის გამო ვერ ვაანალიზებთ განსხვავებებს ანტიბიოტიკების გამოყენებაში სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით.

CH.5 ცხრილი გვიჩვენებს პნევმონიის საფრთხის ნიშნების ცოდნის დონეს. ცხადია, რომ თუ როგორ მოიქცევა დედა, ანუ მიმართავს თუ არა იგი ექიმს შვილის ავადმყოფობისას საფრთხის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, დამოკიდებულია ამ ნიშნების ცოდნაზე. სულ ქალების 21.1%-მა იცის პნევმონიის საფრთხის ისეთი ორი ნიშნის შესახებ, როგორცაა ჩქარი და გაძნელებული სუნთქვა. ყველაზე ხშირად სამკურნალო დაწესებულებას მიმართავენ მაშინ, როცა ბავშვს მაღალი სიცხე აქვს (61.8%). დედების ერთ მესამედზე მეტმა (34.8%) აჩქარებული სუნთქვა დაასახელა პნევმონიის იმ სიმპტომად, რომლის არსებობის შემთხვევაში მას ბავშვი ექიმთან მიჰყავს, ხოლო 39.7%-მა გაძნელებული სუნთქვა აღნიშნა. მნიშვნელოვანი განსხვავება აღმოჩნდა იმ დედების/ მომვლელების პროცენტულ მაჩვენებლებს შორის, რომლებმაც იციან პნევმონიის საფრთხის ორი ნიშნის შესახებ რეგიონების მიხედვით. მაშინ, როცა რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში ამ საკითხის მცოდნე დედების/ბავშვის მომვლელების რაოდენობა მხოლოდ 7.1%-ს აღწევს, აჭარაში დედების ერთ მესამედზე მეტმა იცოდა პნევმონიის ნიშნების შესახებ.

მყარი საწვავის გამოყენება

დღეს მსოფლიოში სამ მილიარდზე მეტი ადამიანი იყენებს მყარ საწვავს (ბიომასას და ქვანახშირს) ენერჯის წყაროზე ძირითადი საჭიროებებისთვის, მათ შორის საჭმლის მოსამზადებლად და გასათბობად. მაგრამ საჭმლის მოსამზადებლად და გასათბობად გამოყენებისას მყარი საწვავი ჯანმრთელობისთვის საშიში დამაბინძურებლების შემცველ გამონაბოლქვს გამოყოფს. განსაკუთრებით საშიშია მისი არასრული წვის დროს წარმოქმნილი CO, პოლიარომატული ნახშირწყალბადები, SO₂ და სხვა ტოქსიკური ელემენტები. ამ საწვავის გამოყენება ზრდის მწვავე რესპირატორული დაავადებების, პნევმონიის, ფილტვების ქრონიკული დაავადების, სიმსივნის და, სავარაუდოდ, ტუბერკულოზის, ნონანაკლული ბავშვების დაბადების, კატარაქტისა და ასთმის რისკს. ძირითადი ინდიკატორია მოსახლეობის ის რაოდენობა, რომელიც მყარ საწვავს საყოფაცხოვრებო ენერჯის მთავარ წყაროდ იყენებს საჭმლის მომზადებისთვის.

როგორც CH.6 ცხრილი გვიჩვენებს, მთლიანობაში საქართველოს შინამეურნეობათა ნახევარზე მეტი (53.6%) საჭმლის მომზადებისთვის მყარ საწვავს იყენებს. ქალაქში ის ნაკლებად გამოიყენება (17.8%), მაგრამ სოფლად მისი მაჩვენებელი 90%-ს აღწევს. ასევე მნიშვნელოვანია განსხვავებები შინამეურნეობის სიმდიდრისა და ოჯახის უფროსის განათლების დონის თვალსაზრისით. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მყარ საწვავს ძალზე იშვიათად იყენებენ თბილისში და მდიდარ შინამეურნეობებში. ცხრილში ნათლად ჩანს, რომ საერთო პროცენტული მაჩვენებელი მაღალია მოსახლეობის მიერ საკვების მოსამზადებლად შეშის ხშირი გამოყენების მიზეზით.

მაგრამ მხოლოდ მყარი საწვავის გამოყენება ვერ გამოდგება სათავსოში ჰაერის დაბინძურების მიზეზად, ვინაიდან დამაბინძურებლების კონცენტრაცია განსხვავებულია, როდესაც ერთი და იგივე საწვავი სხვადასხვა ლუმელებში ან ქურებში იწვის. მაგალითად, დახურული ქურები, რომლებსაც გამწოვი მილებიც აქვთ, ამცირებს დაბინძურების დონეს, ღია ქურა კი, ან ცეცხლი, რომელსაც საკვამური არა აქვს, უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ ოჯახი სრულიად დაუცველია ჯანმრთელობისთვის საშიში ზემოქმედებისგან. CH.7 ცხრილში ნაჩვენებია მონაცემები იმ ქურების სახეობებზე, რომლებისთვისაც მყარი საწვავი გამოიყენება. საქართველოში იმ შინამეურნეობების უმეტესობა, რომლებიც საკვების მოსამზადებლად მყარ საწვავს მოიხმარს, დახურულ ქურებს იყენებს, რომლებსაც გამწოვი მილები აქვთ (92.2%). ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იმერეთშია (85.1%), ხოლო ყველაზე მაღალი — აჭარაში.

VII. ბარემო

წყალი და სანიტარული პირობები

სუფთა სასმელი წყალი აუცილებელია კარგი ჯანმრთელობისთვის. დაბინძურებული სასმელი წყალი შეიძლება ისეთი მძიმე დაავადებების მატარებელი გახდეს, როგორცაა ტრახომა, ქოლერა, ტიფი და შისტოსომოზი. სასმელ წყალში შეიძლება აგრეთვე მოხვდეს ადამიანის ჯანმრთელობისთვის საზიანო ქიმიური, ფიზიკური თუ რადიოლოგიური ნივთიერებები. იმის გარდა, რომ სასმელ წყალს დაავადებების გავრცელება შეუძლია, მისი ხელმისაწვდომობა ძალზე მნიშვნელოვანია ქალებისა და ბავშვებისათვის, განსაკუთრებით სოფლად მაცხოვრებელთათვის, რომლებსაც ევალებათ მისი მოტანა, ხშირად, შორი მანძილიდან.

ათასწლეულის განვითარების ერთ-ერთი მიზანია, 1999 წლიდან 2015 წლამდე განახევრდეს იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც არ მიუწვდებათ ხელი უსაფრთხო სასმელ წყალზე და ელემენტარულ სანიტარულ პირობებზე. დოკუმენტი „მსოფლიო ბავშვებისათვის“ კი მიზნად ისახავს, სულ მცირე, ერთი მესამედით შემცირდეს იმ შინამეურნეობების რაოდენობა, რომლებსაც არ გააჩნიათ ჰიგიენურ-სანიტარული კვანძები და ხელმისაწვდომი და უსაფრთხო სასმელი წყალი.

ქვემოთ მოცემულია მრავალინდიკატორულ კლასტერულ კვლევაში გამოყენებული ინდიკატორების ჩამონათვალი:

წყალი


- გაუმჯობესებული სასმელი წყლის წყაროების გამოყენება;
- წყლის სათანადო განმენდის მეთოდების გამოყენება;
- დრო, რომელიც საჭიროა სასმელი წყლის წყაროსთან მისასვლელად;
- პირი, რომელსაც მოაქვს სასმელი წყალი.

სანიტარული კვანძები

- გაუმჯობესებული სანიტარული კვანძების გამოყენება;
- ბავშვის განავლის გატანა ჰიგიენის პირობების დაცვით.

მოსახლეობის განაწილება სასმელი წყლის წყაროს მიხედვით მოცემულია EN.1 ცხრილში და EN.1 დიაგრამაზე. სასმელი წყლის გაუმჯობესებული წყაროთი სარგებლობს მოსახლეობა, რომელიც იყენებს რომელიმეს ქვემოთ ჩამოთვლილ წყაროთაგან: სახლში, ეზოში ან მიწის ნაკვეთზე წყალსაქაჩით გადმოტუმბული წყალი, საერთო სარგებლობის ონკანი/მილი, მილისებრი ჭა/ჭაბურღილი, დაცული ჭა, დაცული წყარო, წვიმის კოლექტორი. ბოთლის წყალი გაუმჯობესებულ წყაროდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა, თუკი ოჯახი გაუმჯობესებულ წყაროს სხვა მიზნებისთვის, მაგალითად, ხელების დასაბანად ან საკვების მოსამზადებლად იყენებს.

დიაგრამა EN.1 შინამეურნეობის წევრთა პროცენტული განაწილება სასმელი წყლის წყაროს მიხედვით, საქართველო, 2005



მთლიანობაში, მოსახლეობის 94.2% იყენებს გაუმჯობესებულ წყაროს სასმელი წყლისთვის, ქალაქში მათი რაოდენობა 98.7%-ს აღწევს, ხოლო სოფელში - 90%-ს. იმ რეგიონშიც კი, სადაც პროცენტული რაოდენობა ყველაზე დაბალია, გაუმჯობესებულ წყალს მოიხმარს მოსახლეობის 88.7% (ქვემო ქართლში). ეს ციფრი ასევე მაღალი ღარიბ შინამეურნეობებშიც - 89.3%. ძირითადი მახასიათებლების მიხედვით განსხვავებები ძალზე მცირეა.

სასმელი წყლის წყარო მკვეთრად ცვალებადია რეგიონების მიხედვით (იხ. ცხრილი EN.1). თბილისში მოსახლეობის 96.7% მოიხმარს იმ წყალს, რომელიც მას საცხოვრებელ ბინაში მიეწოდება, ხოლო გურიაში და კახეთში, შესაბამისად, 11.5% და 15.1% მოიხმარს გადმოქარულ წყალს. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა უმეტესად ეზოში/ნაკვეთზე შემოყვანილ წყალს იყენებს (შესაბამისად, 59.1% და 47.9%). გურიაში, ზემო სვანეთსა და შიდა ქართლში კი დაცული ჭები გამოიყენება. ქალაქებში სასმელი წყლის ძირითადი წყარო სახლში შემოყვანილი წყალია (80%), ხოლო სოფლებში - ეზოებში და მიწის ნაკვეთებში შემოყვანილი (35.4%).

სახლში შემოყვანილი წყლის განმეორება ნაჩვენებია EN.2 ცხრილში. გამოკითხულებს დაუსვენს კითხვა იმის შესახებ, თუ რა მეთოდებით ასუფთავებენ წყალს, რომ ის უფრო უსაფრთხო იყოს დასალევად. სათანადო დამუშავებად მიჩნეული იქნა წყლის ადუღება, ქლორისა და მათეთრებლის დამატება, წყლის ფილტრის გამოყენება და მზეზე დეზინფექცია. ცხრილში მოცემულია ოჯახების წევრთა პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც იყენებენ წყლის გასუფთავების სათანადო მეთოდებს. ცალ-ცალკეა მოცემული ყველა შინამეურნეობა, ის შინამეურნეობები, სადაც გაუმჯობესებული წყლის წყარო გამოიყენება, და ისინი, სადაც არ გამოიყენება. როგორც ცხრილი გვიჩვენებს (და ეს ასახავს იმ შინამეურნეობათა გაზრდილ რაოდენობას, რომლებიც უკვე იყენებენ სასმელი წყლის გაუმჯობესებულ წყაროს), იმ შინამეურნეობების უმეტესობა (94%), რომლებიც გაუმჯობესებულ წყაროს იყენებენ, არ ასუფთავებს წყალს, ხოლო დარჩენილ 6%-ში უმეტესობა (4.6%) ასუფთავებს. იმ მოსახლეობაში კი, რომელიც არ მოიხმარს გაუმჯობესებულ წყაროს სასმელი წყლისთვის, წყლის დამუშავების მაჩვენებელი უფრო დაბალია (2.8%).

ცხრილი EN.3 გვიჩვენებს დროს, რომელიც საჭიროა წყლის მოსაპოვებლად, ანუ მოსატანად, ხოლო ცხრილი EN.4 - იმ პირებს, რომლებსაც, ჩვეულებრივ, მოაქვთ წყალი. მიაქციეთ ყურადღება, რომ ეს მონაცემები ასახავს მხოლოდ ერთ გზას სახლიდან წყლის წყარომდე და უკან. მაგრამ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ დღეში რამდენჯერ მიდის ადამიანი წყლის მოსატანად, არ მოგვიპოვებია.

ცხრილი EN.3 გვიჩვენებს, რომ შინამეურნეობების 78.9%-ს სასმელი წყლის წყარო საცხოვრებელ ადგილას აქვს. შინამეურნეობათა 17.3%-ს 30 წუთზე ნაკლები სჭირდება წყარომდე მისასვლელად

და წყლის მოსატანად და მხოლოდ 1%-ს — 1 საათზე მეტი. კახეთის, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის რეგიონებში წყალი საცხოვრებელ ადგილას შინამეურნეობების 60%-ზე ნაკლებს აქვს, ხოლო თბილისში - თითქმის ყველას. უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ქალაქში მაცხოვრებელ ოჯახებს, ოჯახებს, სადაც ოჯახის სწავლა-განთლების დონე მაღალია, და, ასევე, მაღალი სოციალ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებს წყალი საცხოვრებელ ბინაში ჰქონდეთ. გარდა იმ შინამეურნეობებისა, რომელთაც წყალი საცხოვრებელ ადგილას აქვთ, საშუალო დრო სასმელი წყლის მოსატანად წყლის წყაროდან 16.3 წუთია. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ეს დრო 39.3 წუთს აღწევს.

ცხრილი EN.4 გვიჩვენებს, რომ შინამეურნეობების უმეტესობაში, თუ წყლის წყარო არ არის საცხოვრებელ ადგილას, წყლის მოტანა ზრდასრულ ქალს ან მამაკაცს ევალება. როგორც წესი, ეს ქალის მოვალეობაა (61.8%), ხოლო მამაკაცებს წყალი შემთხვევათა 35.7%-ში მოაქვთ.

ადამიანების ექსპერტების სათანადოდ გატანისა და პირადი ჰიგიენის დაცვის შეუძლებლობა იწვევს რიგ დაავადებებს, მათ შორის დიარეასა და პოლიომიელიტს. გაუმჯობესებული საკანალიზაციო კვანძებია ჩასარეცხი ტუალეტი ან ტუალეტი, რომელიც მიერთებულია საკანალიზაციო მილთან და მასში შესაძლებელია წყლის ჩასხმა, სეპტიკური ავზი ან ფეხსადგილი, მინაში ამოთხრილი გაუმჯობესებული ორმო, რომელიც ნიავედა, მინაში ამოთხრილი ორმო, რომელზეც ფიცრების ან ქვის ფილები არის დაგებული, და მაკომპოსტირებელი ტუალეტი.

მსგავსად 1999 წლის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის შედეგებისა (99.5%), საქართველოს მოსახლეობის ძალზე დიდი ნაწილი (96.8%) ცხოვრობს იმ შინამეურნეობებში, სადაც გაუმჯობესებულ სანიტარულ კვანძებს იყენებენ (იხ. ცხრილი EN.5) ძირითადი მახასიათებლების მიხედვით მხოლოდ მცირედი განსხვავებები შეინიშნება. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობა ოდნავ ნაკლებად იყენებს გაუმჯობესებულ სანიტარულ კვანძებს (92%). სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობა უმეტესად ისეთ ფეხსადგილებს მოიხმარს, რომელზეც ფიცრები ან ქვის ფილებია დაგებული (81.2%). ამის საპირისპიროდ, ქალაქებში უმეტესად იყენებენ ჩასარეცხ ტუალეტს, რომელიც მიერთებულია საკანალიზაციო სისტემასთან (80.4%). ჩასარეცხ ტუალეტებსა და მინაში ამოთხრილ ფეხსადგილებს უფრო მეტად ვხვდებით ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (19.2%), გურიაში და კახეთში კი ჩვეულებრივია მინაში გათხრილი ფეხსადგილი, რომელზეც ხე ან ქვის ფილებია დაგებული (შესაბამისად, 85% და 80.2%). არსებობს ძლიერი და პოზიტიური კორელაცია შინამეურნეობის სიმდიდრის ინდექსის კვინტილსა და საკანალიზაციო სისტემის გამოყენებას შორის, ხოლო სიმდიდრის ინდექსის კვინტილსა და მინაში გათხრილი ფეხსადგილის გამოყენებას შორის ნეგატიური კორელაცია აღინიშნება.

ბავშვის განავლის სანიტარული ნორმებით გატანა ნიშნავს ბავშვის მიერ ტუალეტის გამოყენებას ან მისი განავლის ტუალეტში ან ფეხსადგილში ჩარეცხვას. მონაცემები ორ წლამდე ასაკის ბავშვების განავლის გატანის შესახებ მოცემულია EN.6 ცხრილში. სულ ამ ასაკის ბავშვთა 56.3%-ის განავალი გააქვთ სანიტარული ნორმების დაცვით. კვლევის ჩატარებისთვის მთელი ბავშვების ნახევარზე მეტის ბოლო განავალი ტუალეტში ან ფეხსადგილში იყო ჩარეცხილი (54.6%). 10.3% შემთხვევაში განავალი ჩაადგეს/ჩარეცხეს საკანალიზაციო არხში ან ორმოში, ხოლო 12.3%-მა განავალი ნაგავში გადაადგო. ბავშვის განავლის სანიტარული ნორმების დაცვით გატანის პროცენტული მაჩვენებელი ოდნავ მაღალია ურბანულ რაიონებში, სადაც ის 61.7%-ს აღწევს, სოფელთან შედარებით (50.3%). რეგიონებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთში დაფიქსირდა.

გაუმჯობესებული სასმელი წყლის მოხმარებელი და ბავშვის განავლის სანიტარული ნორმებით გამტანი შინამეურნეობების წევრთა პროცენტული მაჩვენებლები მოცემულია EN.7 ცხრილში. საერთოდ, სუფთა სასმელი წყლის მოხმარებისა და, ამავე დროს, ბავშვის განავლის სანიტარული ნორმებით გატანის დონე საქართველოში ძალზე მაღალია (91.9%). არსებობს განსხვავებები ძირითადი მახასიათებლების მიხედვით. მაგალითად, სოფლად მაცხოვრებელი და შედარებით დაბალი სოციალ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებისა და იმ ოჯახების მიერ, სადაც ოჯახის უფროსის სწავლა-განთლების დონე დაბალია, სუფთა სასმელი წყლის მოხმარებისა და ამავე დროს, ბავშვის განავლის სანიტარული ნორმებით გატანის პროცენტული მაჩვენებლები ოდნავ დაბალია.

VIII. რეპროდუქციული ჯანმრთელობა

ჩასახვის სანინალმდეგო მეთოდები

ქალებისა და ბავშვების ჯანმრთელობის უზრუნველყოფისთვის ოჯახის სათანადო დაგეგმვა მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეს: 1) თავიდან აცილებს ქალს ნაადრევ ან, პირიქით, ვადაგადაცილებულ ორსულობას; 2) ზრდის პერიოდს მშობიარობებს შორის; და 3) შესაძლებლობას იძლევა, გაკონტროლდეს ბავშვების რაოდენობა. დოკუმენტში „მსოფლიო ბავშვებისათვის“ დასახულია მიზანი, წყვილებისთვის იოლად მოსაპოვებელი გახდეს ინფორმაცია ნაადრევი, გვიანი და მრავალჯერადი ორსულობის შესახებ და მცირე დროით დაშორებულ ორსულობების თავიდან აცილების შესაძლებლობათა შესახებ, ასევე წყვილებს გაეჩინოთ სხვადასხვა სახის მომსახურება.

დაქორწინებულ ან სხვაგვარი კავშირის მქონე ქალთა 31.5%-მა მიუთითა ჩასახვის სანინალმდეგო მეთოდების გამოყენებაზე (იხ. ცხრილი RH.1)¹¹. ყველაზე ხშირია საშვილოსნოსშიგა საშუალებების გამოყენება, რითაც გათხოვილი ქართველი ქალების 8.2% სარგებლობს. მეორე გავრცელებული ფორმაა პერიოდული თავშეკავება სექსუალური კავშირისგან, რაზეც გათხოვილ ქალთა 6.7% მიუთითებს, ხოლო კონდომის გამოყენებას 5.9% აღნიშნავს. გამოკითხულ ქალთა 5%-ზე ნაკლები კონტრაცეფციის სხვა სახის საშუალებებს იყენებს. სულ გათხოვილ ქალთა 11.8% ტრადიციულ მეთოდებს მიმართავს ორსულობის თავიდან ასაცილებლად, ხოლო თანამედროვე საშუალებებს თითქმის 20% იყენებს.

ჩასახვის სანინალმდეგო საშუალებების გამოყენების ყველაზე მაღალი დონე - 38% - თბილისში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი - ქვემო ქართლში (21.4%). კონტრაცეფციის მიმართავს ქალაქში მაცხოვრებელ გათხოვილ ქალთა 35% და სოფლად მაცხოვრებელ ქალთა 28%. მოზარდები გაცილებით ნაკლებად იყენებენ კონტრაცეფციის საშუალებებს. კონტრაცეფციის საშუალებებს გათხოვილი ან პარტნიორთან მცხოვრები ახალგაზრდა, 15-19 წლის ქალების მხოლოდ 17.1 იყენებს, 20-24 წლამდე ასაკის ქალების 34.6% და 25-29 წლის ქალების 39.8%. ჩასახვის სანინალმდეგო საშუალებების გამოყენების პიკი დგება 30 წლიდან 34 წლამდე ასაკის ქალებში, შემდეგ კი ისევ კლებულობს.

ქალების განათლების დონე მჭიდრო კავშირშია ჩასახვის სანინალმდეგო საშუალებების გამოყენების დონესთან. ჩასახვის სანინალმდეგო ერთ-ერთ მეთოდს მაინც იყენებს დაწყებითი განათლების მქონე ქალების 15%, საშუალო განათლების მქონე 26.4% და უმაღლესი განათლების მქონე 39%. ანალოგიურად, ყველაზე ღარიბ შინამეურნეობებში მცხოვრებ ქალებს შორის ამ მეთოდების გამოყენება 24.3%-ია, ხოლო ყველაზე შეძლებულ ქალებში ეს მაჩვენებელი 38.8%-ს აღწევს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ კონტრაცეფციის საშუალებების გამოყენების დონე საგრძნობლად დაბალია იმ ოჯახებში, სადაც ოჯახის უფროსი ეროვნებით აზერბაიჯანელია.

ანტენატალური მეთვალყურეობა

ანტენატალურ პერიოდში მნიშვნელოვანი შესაძლებლობები არსებობს ორსულ ქალებზე მეთვალყურეობისთვის და სხვადასხვა სახის ჩარევისათვის, რაც ქალებისა და მათი ახალშობილების ჯანმრთელობისთვის შეიძლება ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. უკეთესმა ცოდნამ იმის შესახებ, თუ როგორ იზრდება და ვითარდება ნაყოფი და რა კავშირები არსებობს ნაყოფსა და დედის ჯანმრთელობას შორის, ყურადღება გაამახვილა ანტენატალურ მეთვალყურეობაზე, რაც შესაძლებლობას იძლევა, აქტიურად ჩავერთოთ ორივე მათგანის -

¹¹ ეს საგრძნობი დაცემაა თუ შევადარებთ 1999 წელს ჩატარებული მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის შედეგებს (40.5%). შესაბამისი მონაცემები 2005 წლის GERHS-ში 47.3%-ია. როგორც ეს წარმოდგენილია დანართ C-ში, 2005 წელს ჩატარებული მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის შედეგების სანდოობის ზღვარი მერყეობს 29.8 და 33.3 პროცენტს შორის. ამ შედეგების ახსნისთვის საჭიროა კიდევ ერთი ანალიზის ჩატარება, ვინაიდან შეუსაბამობა წინა მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევისა და გარე წყაროებთან.

დედისა და ახალშობილის — ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაში. მაგალითად, თუ ამ პერიოდს გამოვიყენებთ იმისათვის, რომ ორსულ ქალებსა და მათ ოჯახებს მივანოდოთ ინფორმაცია საფრთხის ნიშნებისა და სიმპტომების, ასევე მშობიარობის პროცესთან დაკავშირებული რისკების შესახებ, ამან შეიძლება მოამზადოს ქალები და მათი ოჯახები იმ აზრისთვის, რომ ქალი აუცილებლად კვალიფიციურმა სამკურნალო პერსონალმა უნდა ამშობიაროს. ანტენატალურ პერიოდში შესაძლებელია, აგრეთვე, ქალებს მივანოდოთ ინფორმაცია მშობიარობებს შორის პერიოდზე, რასაც, უკვე აღიარებულია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალშობილის სიცოცხლის შენარჩუნებისთვის. ორსულობის პერიოდში ტეტანუსზე აცრა შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს დედისა და ახალშობილის სიცოცხლის გადარჩენისთვის. ასეთივე მნიშვნელობა აქვს ანემიისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მკურნალობას ამ პერიოდში. ეს საგრძნობლად უწყობს ხელს ნაყოფის განვითარებას და დედის ჯანმრთელობას. ორსული ქალის კვების სწორად წარმართვა და მისი დაცვა ინფექციური დაავადებებისგან (მაგ. მალარია და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები) წინაპირობაა ისეთი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად, როგორცაა წონანაკლები ახალშობილის დაბადება. ამ ბოლო დროს კი კიდევ უფრო კარგად გამოჩნდა ანტენატალური მეთვალყურეობის პოტენციური ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის პრევენციისა და მკურნალობის საქმეში, განსაკუთრებით, როცა საქმე ამ ვირუსის დედისგან ბავშვისთვის გადადებას ეხება. ამის გამო მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი ანტენატალური მომსახურებისადმი და სულ უფრო მეტი ადამიანი ცდილობს მის გამოყენებას.

ანტენატალური მეთვალყურეობის სხვადასხვა მოდელების ეფექტიანობის განხილვის საფუძველზე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია რეკომენდაციას იძლევა, რომ ქალმა, სულ მცირე, ოთხი ანტენატალური კონსულტაცია გაიაროს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებები დეტალურად ეხება ანტენატალური ვიზიტების შინაარსს. ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე მითითებას:

- არტერიული წნევის გაზომვა;
- შარდის ანალიზი - ბაქტერიურია და პროტეინურია;
- სისხლის ანალიზი სიფილისისა და მწვავე ანემიის დასადგენად;
- წონის/სიმაღლის გაზომვა (სურვილის მიხედვით).

ანტენატალურ კონსულტაციას ექიმთან, ექთანთან თუ ბებიაქალთან ქალების 96.3% გადის სულ მცირე ერთხელ მაინც ორსულობის პერიოდში. ასეთივე მაღალი შედეგები აღინიშნებოდა 1999 წლის მრავალნიშნულ კლასტერულ კვლევაში (95.3%). ქალების მცირე რაოდენობას (2.6%) არ მიუღია არანაირი ანტენატალური მეთვალყურეობა. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთში იყო (88.5%). განსხვავებები ძირითადი მახასიათებლების მიხედვით ძალზე მცირეა. მონაცემები იმ პერსონალის ტიპების შესახებ, რომელიც 15-49 წლის ასაკის ორსულ ქალებზე ანტენატალურ მეთვალყურეობას ახორციელებდა კვლევის ჩატარებამდე ორი წლის განმავლობაში, RH.2 ცხრილშია მოცემული. 15-49 წლის ასაკის იმ ქალების დიდმა უმრავლესობამ, ვინც კვლევის ჩატარებამდე ორი წლის განმავლობაში იმშობიარა, მკურნალობა და კონსულტაციები გაიარა ექიმთან (94.8%). ექიმის მხრიდან ანტენატალურ მეთვალყურეობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მივიღეთ იმ შინამეურნეობებში, რომელთა უფროსები ეროვნებით აზერბაიჯანლები არიან (79.1%). ამავე დროს, დადებითი კორელაცია აღინიშნა სიმდიდრის ინდექსის კვინტილსა და ექიმის მიერ განეულ ანტენატალურ მომსახურებას შორის.

ცხრილი RH.3. გვიჩვენებს ორსული ქალების მიერ მიღებული მომსახურების ტიპებს. თითქმის ყველა ქალმა ერთხელ ან რამდენჯერმე გაიარა ანტენატალური კონსულტაცია ორსულობის დროს (97.4%). მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი ქალების განათლების დონისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის ზრდასთან ერთად 100%-ს აღწევს, მნიშვნელოვანი განსხვავებები ძირითადი მახასიათებლების მიხედვით მაინც არ აღინიშნა. ექიმთან ვიზიტისას თითქმის ყველა ქალმა გაიკეთა სისხლის (95.4%) და შარდის ანალიზი (95.6%), გაიზომა წნევა (94.7%) და აინონა (94.7%). ალბათობა იმისა, რომ ქალები ამ სახის მომსახურებას მიიღებენ, იზრდება მათი განათლების დონის მიხედვით და მაშინ, როცა ოჯახის უფროსი ქართველია.

საქართველოში ჩატარებული მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა რკინის ნაკლებობით გამოწვეული ანემიის დასადგენად ქალი რესპონდენტების ჰემოგლობინის მონაცემებს შეიცავდა. ამას გარდა, იმ ქალებს, რომლებსაც რკინის შემცველობა შეუმომნმეს, დამატებითი შეკითხვაც დაუსვეს იმის შესახებ, ენეოდნენ თუ არა თამბაქოს, ვინაიდან თამბაქო შეიძლება ანემიის დონეზე მოქმედებდეს. ჰემოგლობინი უნდა გაეზომათ გამოკითხული ქალების ერთი მესამედისთვის. ამისთვის შეირჩა ყველა ქალი ყოველ მესამე ოჯახში ყველა კლასტერიდან.¹²

ცხრილი RH.4. გვიჩვენებს კვლევის შედეგებს ქალებში ანემიის გავრცელებასთან დაკავშირებით. ქალების ერთ მეოთხედზე მეტს ანემია აღმოაჩნდა, მიუხედავად ამ დაავადების სტატუსისა (27.7%). მათგან 22.7%-ს ზომიერი ანემია დაუდგინდა და მხოლოდ 5%-ს ზომიერიდან მწვავე სტატუსი აღენიშნა. ანემიის ყველაზე დაბალი დონე მცხეთა-მთიანეთში დაფიქსირდა (13.9%), ხოლო ყველაზე მაღალი — რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (32.6%). ახალგაზრდა და უშვილო ქალებში ანემიის შემთხვევები ნაკლები იყო.

იმისთვის, რომ გარკვეულიყო, თუ როგორ მოქმედებს თამბაქო ანემიის დონეზე, საქართველოში 2005 წლის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის ინტერვიუებს მისცეს მითითება, ეკითხათ ჰემოგლობინის ანალიზისთვის შერჩეული ქალებისთვის, ენეოდნენ თუ არა ისინი თამბაქოს, რა რაოდენობით, და ა.შ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მწველის სტატუსის მიხედვით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მიგვიღია.

ანემიის დონის სწორად შეფასებისთვის, ჩვეულებრივ, ჰემოგლობინის შემცველობის დონეს ასწორებენ ზღვის დონიდან საცხოვრებელი ადგილის სიმაღლის მიხედვით. ეს კი მოითხოვს 2005 წლის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევისთვის შერჩეული ყოველი კლასტერის მონაცემებს სიმაღლის მიხედვით. მაგრამ ვინაიდან სავალე სამუშაოს დასრულების შემდეგ კლასტერების ადგილმდებარეობათა სახელწოდებების ზუსტი სია არ არსებობდა, ვერ მოხერხდა კლასტერების სათანადოდ იდენტიფიცირება და თითოეული კლასტერისათვის სიმაღლის დადგენა. შედეგად, ვერ მოხერხდა ანემიასთან დაკავშირებით წარმოდგენილი მონაცემების კორექტირება სიმაღლეების დონეების მიხედვით და, აქედან გამომდინარე, რეალური ციფრები ალბათ უფრო მაღალია.

დახმარება მშობიარობის დროს

დედების სიკვდილიანობის შემთხვევების სამი მეოთხედი მშობიარობის და ლოგინობის დროს ხდება. მელოგინე ქალის ჯანმრთელობის და სიცოცხლის უზრუნველსაყოფად ყველაზე მნიშვნელოვანია მშობიარობის დროს მეანის კვალიფიკაციის პროფესიონალი მედიცინის მუშაკის მომსახურება და ტრანსპორტის მისაწვდომობა ორსული ქალის გადასაყვანად სამშობიარო სახლში, თუკი მას სასწრაფო სამედიცინო ჩარევა დასჭირდება. დოკუმენტში „მსოფლიო ბავშვებისათვის“ დასახულია მიზანი - მშობიარე ქალებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს პროფესიონალი მეანების სწრაფი და იაფი მომსახურება. ინდიკატორებია: პროფესიონალი მეანის დახმარებით გაჩენილი ბავშვების რაოდენობა და სამედიცინო დაწესებულებებში მიღებულ მშობიარობათა რაოდენობა. პროფესიონალი მეანის ინდიკატორი გამოყენებულია აგრეთვე იმის გასაკონტროლებლად, თუ როგორ სრულდება ათასწლეულის განვითარების ერთ-ერთი მიზანი, კერძოდ, 1990-2015 წლებში დედების სიკვდილიანობის სამი მეოთხედით შემცირება.

პროფესიონალი მეანის თანდასწრებით მიღებული მშობიარობების წილის დასადგენად მრავალინდიკატორულ კლასტერულ კვლევაში შეტანილი იქნა კითხვების მთელი წყება. პროფესიონალი მეანის ცნება მოიცავს ექიმს, ექთანს, მეანს ამ ბეზიაქალს.

¹² სამწუხაროდ, შინამეურნეობისთვის განკუთვნილ კითხვარში არ იყო ის ცვლადი ან კოდი, რაც მოგვცემდა ინფორმაციას იმის შესახებ, შერჩეული იყო თუ არა შინამეურნეობა ჰემოგლობინის ანალიზის გასაკეთებლად. შედეგად, სწორად ვერ შეფასდა ანემიაზე მოპოვებული მონაცემების სისრულე და ვერც შეწონვის სქემა იქნა კორექტირებული პასუხების არარსებობაზე. მაგრამ, სისრულის შეფასების მიახლოებითი მეთოდის გამოყენებით, და თუ დავუშვებთ, რომ შეირჩა სამი შინამეურნეობიდან ერთი, პასუხების დონე ანემიის ანალიზზე, როგორც ჩანს, დაახლოებით 80% უნდა იყოს.

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის ჩატარებამდე ერთი წლის განმავლობაში თითქმის ყველა მელოგინე ქალი (98.3%) ამშობიარა პროფესიონალმა მედპერსონალმა (იხ. ცხრილი RH.5.) ეს ციფრი 1999 წელს ჩატარებული კვლევის შედეგადაც უკვე მაღალი იყო (96.4%). კვლევის ჩატარებამდე ერთი წლის განმავლობაში მელოგინეთა დიდი უმრავლესობა (93.8%) ამშობიარა პროფესიონალმა ექიმმა, ხოლო მშობიარობის 4.5% მიღებული იქნა მეანებისა თუ ბებიაქალების დახმარებით. მთლიანობაში, მელოგინეების 95.5%-მა სამედიცინო დაწესებულებაში იმშობიარა. იმის შედეგად, რომ ქალების უმრავლესობა პროფესიონალმა მედპერსონალმა სამედიცინო დაწესებულებაში ამშობიარა, განსხვავებები ძირითადი მახასიათებლების მიხედვით ძალზე უმნიშვნელოა.

IX. ბავშვის განვითარება

აღიარებულია, რომ ბავშვის სიცოცხლის პირველი 3-4 წლის განმავლობაში ტვინის სწრაფი განვითარება მიმდინარეობს. ამ პერიოდში ბავშვის განვითარებისთვის ყველაზე მთავარია, თუ როგორ, ანუ რა ხარისხით, ზრუნავენ მასზე ოჯახში. ამ კონტექსტში ბავშვზე ზრუნვის ხარისხის მნიშვნელოვანი ინდიკატორებია უფროსების ურთიერთობა ბავშვებთან, სახლში საბავშვო ნიგნების არსებობა და პირობები ოჯახში. დოკუმენტში „მსოფლიო ბავშვებისათვის“ დასახულია მიზანი, რომ „ბავშვები ფიზიკურად ჯანმრთელი და გონებრივად სხარტები იყვნენ, ემოციურად თავს დაცულად გრძნობდნენ, სოციალურად კომპეტენტურები იყვნენ და მზად იყვნენ სწავლისთვის.“

კვლევაში შეიკრიბა ინფორმაცია იმ საქმიანობებზე, რომლებიც ხელს უწყობს ადრეულ ასაკში სწავლას. ეს მოიცავს უფროსების ისეთ ურთიერთობას ბავშვებთან, როგორცაა, მაგალითად, ერთად კითხვა ან სურათებიანი ნიგნის დათვალიერება, ბავშვისთვის საინტერესო ამბების მოყოლა, სიმღერა, ბავშვის გაყვანა სასეირნოდ ან მასთან ერთად თამაში, საგენების დასახელება, დათვლა ან ხატვა.

კვლევის ჩატარებამდე სამი დღის განმავლობაში ხუთ წლამდე ბავშვების 84%-ს უფროსებთან ერთად ჰქონდა დრო გატარებული. აღინიშნა ოთხზე მეტი საქმიანობა, რომლებიც ხელს უწყობს სწავლას და სკოლისთვის მზაობას (ცხრილი CD.1). საშუალო რაოდენობა იმ საქმიანობებისა, რომლებსაც უფროსები ბავშვებთან ერთად ასრულებენ, ხუთი იყო. ცხრილი გვიჩვენებს, აგრეთვე, მამის ჩართულობას ბავშვებთან ურთიერთობაში და ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობაში (ბავშვების 56.3%). ბავშვების დაახლოებით 7% შინამეურნეობებში უმამოდ ცხოვრობდა.

ბავშვებთან ურთიერთობის თვალსაზრისით განსხვავებები სქესის მიხედვით არ აღინიშნა, თუმცა იმ მამების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ბიჭუნებთან ურთიერთობენ (58.6) ოდნავ უფრო მაღალია, ვიდრე იმ მამებისა, რომლებიც გოგონებთან ერთად ატარებენ დროს (53.5%). იმ უფროსების რაოდენობა, რომლებიც ურთიერთობენ ბავშვებთან და ჩართულნი არიან ისეთ საქმიანობაში, რაც ხელს უწყობს ბავშვების სწავლას და მომზადებას სკოლისთვის, ქალაქში უფრო მეტია (86.5%), ვიდრე სოფელში (81.4%). ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (95.5%), ხოლო ყველაზე დაბალი სამცხე-ჯავახეთში (77.1%). აღინიშნა განსხვავებები ეროვნების მიხედვით, მაგალითად, შინამეურნეობებში, სადაც ოჯახის უფროსი აზერბაიჯანელია, უფროსების ჩართულობა 66.7%-ს შეადგენს, ხოლო სადაც ოჯახის უფროსი ქართველია — 86.6%-ს. თითქმის იგივე სურათი გვაქვს მამის ბავშვთან ურთიერთობის და ჩართულობის კუთხით.

ადრეულ ასაკში სახლში ნიგნების არსებობა ბავშვს კითხვის ინტერესს უღვიძებს, ასევე აჩვენებს, რომ სხვა ადამიანებიც კითხულობენ, მაგალითად, კითხულობენ და სკოლის გაკვეთილებს ამზადებენ მისი უფროსი და ან ძმა. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ოჯახში ნიგნები იყოს. ეს დიდ გავლენას ახდენს გონებრივი განვითარების კოეფიციენტზე და იმაზე, თუ როგორ ისწავლის ბავშვი სკოლაში მომავალში.

საქართველოში ბავშვების 83.2% ცხოვრობს ისეთ ოჯახებში, სადაც, სულ მცირე, სამი არასაბავშვო ნიგნი აქვთ (იხ. ცხრილი CD.2.). მეორეს მხრივ, 0-59 თვის ბავშვების 72.1%-ს აქვს საბავშვო ნიგნები. საშუალო რაოდენობა არასაბავშვო და საბავშვო ნიგნებისა შეადგენს 10-ს. სქესის მიხედვით განსხვავებები არ აღინიშნება, მაგრამ ქალაქში მცხოვრები ბავშვებისთვის უფროსებისთვის განკუთვნილი და საბავშვო ნიგნებიც უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე იმ ბავშვებისთვის, ვინც სოფლად ცხოვრობს. ქალაქში მცხოვრები ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების 90%-ზე მეტს ოჯახში სამზე მეტი ნიგნი აქვს, სოფელში კი ეს მაჩვენებელი 75.7%-ია. ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების წილი, რომლებსაც სახლში 3 ან 3-ზე მეტი საბავშვო ნიგნი აქვს, ქალაქში 84.3% აღწევს, ხოლო სოფელში — 59.7%-ს. საბავშვო ნიგნების არსებობა ოჯახში პოზიტიურ

კორელაციაშია ბავშვის ასაკთან. 0-59 თვის ბავშვების ოჯახების 67.2%-ში 3 ან 3-ზე მეტი საბავშვო ნიგნია; ეს მაჩვენებელი 75%-ს აღწევს 0-23 თვის ბავშვების ოჯახებისთვის.

ცხრილი CD.2. გვიჩვენებს სათამაშოების რაოდენობას. 0-59 თვის ბავშვების 12.7%-ს აქვს 3 ან 3-ზე მეტი სათამაშო, ხოლო 5.8%-ს, დედების / მომვლელების თქმით, არც ერთი სათამაშო არა აქვს (ცხრილი CD.2). მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მიხედვით სათამაშოს ცნება მოიცავს ოჯახის საყოფაცხოვრებო საგნებს, სახლში გაკეთებულ სათამაშოს, მაღაზიაში ნაყიდ სათამაშოს და სახლის გარეთ ნაპოვნ სხვადასხვა საგანსა და მასალას. ბავშვების თითქმის 86% მაღაზიაში ნაყიდი სათამაშოებით თამაშობს, ხოლო პროცენტული მაჩვენებლები სხვა სახის სათამაშოებისთვის 25-ზე ნაკლებია. ბიჭუნების და გოგონების დაახლოებით ერთნაირ რაოდენობას აქვს 3 ან 3-ზე მეტი სათამაშო. ამ მხრივ განსხვავებები თითქმის არ არის ქალაქსა და სოფელში მაცხოვრებელი ბავშვებისთვის, მაგრამ აღინიშნა განსხვავებები რეგიონების, ოჯახის უფროსის ეთნიკური წარმომავლობის და, როგორც მოსალოდნელი იყო, ბავშვის ასაკის მიხედვით.

ცნობილია, რომ ბავშვების მარტო დატოვება სახლში ან თუნდაც მათზე უფროს ბავშვებთან ერთად ზრდის უბედური შემთხვევების საფრთხეს. მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის ფარგლებში ორი კითხვა დაისვა იმის დასადგენად, დატოვებული ჰყავდათ თუ არა 0-59 თვის ასაკის ბავშვები სახლში მარტო კვლევის ჩატარებამდე ერთი კვირის განმავლობაში და დატოვებული ჰყავდათ თუ არა ისინი 10 წლამდე ასაკის ბავშვებთან ერთად.

ცხრილი CD.3. გვიჩვენებს, რომ 0-59 თვის ბავშვების 7.7% სხვა ბავშვების იმედზე იყო დატოვებული სახლში, ხოლო 2.8%-ს მარტო ტოვებდნენ კვლევის ჩატარებამდე ერთი კვირის განმავლობაში. ბავშვზე ზრუნვის ამ ორი ინდიკატორის გაერთიანებით გამოთვლილი იქნა, რომ კვლევის ჩატარებამდე ერთი კვირის განმავლობაში ბავშვების 7.9% სახლში სათანადო მეთვალყურეობის გარეშე იყო დატოვებული. ბავშვების სქესის მიხედვით განსხვავებები არ აღინიშნა. 24-59 თვის ბავშვების ადეკვატური მეთვალყურეობის გარეშე დატოვების შემთხვევები უფრო ხშირი აღმოჩნდა (9.5%), ვიდრე 0-23 თვის ასაკის ბავშვებისა (5.3%). ქალაქში მაცხოვრებელი ბავშვების წილი, რომლებიც ადეკვატური მეთვალყურეობის გარეშე რჩებოდნენ, 9.2%-ს შეადგენს, ხოლო სოფელში — 6.6%-ს. არაადეკვატური მეთვალყურეობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შიდა ქართლში დაფიქსირდა (12.1%), ხოლო ყველაზე დაბალი - კახეთში (2.9%).

X. განათლება

ბავშვების სიარული სკოლამდელ დაწესებულებებში და მათი მზაობა სკოლისათვის

სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სიარული ან ბავშვის ჩართვა ნებისმიერ ორგანიზებულ სასწავლო ან ბავშვის საგანმანათლებლო პროგრამაში მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ბავშვი სკოლაში წასასვლელად მზად იყოს. დოკუმენტში „მსოფლიო ბავშვებისათვის“ დასახული ერთ-ერთი მიზანია, ხელი შეეწყოს ბავშვის სწავლა-განათლებას ადრეულ ასაკში.

საქართველოში 36-59 თვის ასაკის ბავშვების ნახევარზე ნაკლები (43.2%) დადის სკოლამდელ დაწესებულებაში (იხ. ცხრილი ED.1.). განსხვავებები საცხოვრებელი ადგილის მდებარეობის (ქალაქი-სოფელი) და რეგიონული მახასიათებლების მიხედვით მნიშვნელოვანია: ქალაქად მაცხოვრებელი ბავშვების 64% და სოფლელი ბავშვების მხოლოდ 24.4% დადის სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 36-59 თვის ასაკის ბავშვებს შორის ყველაზე მეტად თბილისელი ბავშვები დადიან სკოლამდელ დაწესებულებებში (72.6%). სქესობრივი განსხვავება თითქმის არ გვხვდება, მაგრამ ის მნიშვნელოვანია დედის განათლებისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიხედვით. სკოლამდელ დაწესებულებაში მოსიარულე 36-59 თვის ბავშვების წილი 60.6%-ს აღწევს, თუ დედას უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. სკოლამდელ დაწესებულებებში მდიდარ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების ორ მესამედზე მეტი დადის, მაშინ, როცა ღარიბი ოჯახის ბავშვებისთვის ეს მაჩვენებელი 17.4%-მდე ეცემა. 48-59 თვის ბავშვების რაოდენობა, რომლებიც სკოლამდელ დაწესებულებებში დადიან, უფრო მაღალია, ვიდრე 48-59 თვის ასაკის ბავშვებისა (შესაბამისად, 47.2 და 39.1 პროცენტი).

ცხრილი ასევე გვიჩვენებს დაწყებითი სკოლის იმ პირველკლასელ მოსწავლეთა რაოდენობას, ვინც გასული წლის განმავლობაში სკოლამდელ დაწესებულებაში დადიოდა (ცხრილი ED.1). ეს მნიშვნელოვანი ინდიკატორია სკოლისთვის მზაობის დასადგენად. სულ გასულ წელს 6-7 წლის პირველკლასელების 60.4% დადიოდა სკოლამდელ დაწესებულებებში. ბიჭუნებისა და გოგონებისთვის ერთნაირი მაჩვენებლები გვაქვს, მაგრამ სურათი იცვლება სოფლის-ქალაქის მიხედვით: მაშინ, როცა გასულ წელს ქალაქელი ბავშვების თითქმის სამი მეოთხედი (72.3%) დადიოდა სკოლამდელ დაწესებულებებში, სოფლელი ბავშვების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და 49.6%-ს შეადგენს. განსხვავებები დიდია აგრეთვე რეგიონების მიხედვით და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსიც პოზიტიურ კორელაციაშია სკოლისათვის მზაობასთან — ყველაზე ღარიბ ოჯახებში ინდიკატორი 44%-ს აღწევს, ხოლო ყველაზე მდიდარ ოჯახებში მაცხოვრებელი ბავშვებისთვის ის 82.2%-ია.

დანებით და საშუალო სკოლებში ბავშვების სიარული

დოკუმენტებში „ათასწლეულის გამოწვევის მიზნები“ და „მსოფლიო ბავშვებისათვის“ დასახული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია, მსოფლიოს ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი გახდეს საბავშვო განათლება და დანებითი განათლება. განათლება უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა სიღარიბესთან ბრძოლისთვის, ქალების მამაკაცების თანასწორი უფლებებით აღჭურვისთვის, ბავშვების დაცვისთვის სიცოცხლისთვის საშიში და ექსპლუატაციური შრომისა და სექსუალური ექსპლუატაციისგან. განათლება ხელს უწყობს ადამიანის უფლებების განხორციელებას და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას, გარემოს დაცვას და მოსახლეობის ზრდის კონტროლს.

ინდიკატორები დანებით და საშუალო სკოლებში სიარულისთვის:

- დანებით საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული ბავშვების სუფთა რაოდენობა;
- დანებით სკოლებში მოსწავლეთა სუფთა დასწრება;

- საშუალო სკოლებში მოსწავლეთა სუფთა დასწრება;
- დაწყებით სკოლებში საშუალო სკოლის ასაკის ბავშვების დასწრების წილი;
- ქალისა და მამაკაცის მიერ განთლების მიღების თანაფარდობა (ანუ გენდერული თანასწორობის ინდექსი);

კლასიდან კლასში გადასვლის ინდიკატორები:

- მეხუთე კლასამდე მისვლა;
- საშუალო სკოლაში გადასვლის წილი;
- დაწყებითი სკოლის დამთავრების სუფთა წილი.

საქართველოში დაწყებითი სკოლის ასაკის ბავშვების (6 და 7 წელი)¹³ 82.3% დადის დაწყებითი სკოლის პირველ (და მეორე) კლასში¹⁴ (იხ. ცხრილი ED.2). 7 წლის ასაკის პირველკლასელთა წილი საკმაოდ მაღალია, ის 92.6%-ს აღწევს, ხოლო 6 წლის მოსწავლეების რაოდენობა 72.7%-ია. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ყველა ბავშვი ვერ ახერხებს სკოლაში დროულად წასვლას. პირველკლასელი მოსწავლე გოგონების რაოდენობა უფრო მაღალია, ვიდრე ბიჭებისა (შესაბამისად, 85.2% და 79.5%). განსხვავებები აღინიშნა რეგიონების და ქალაქში-სოფელში ცხოვრების მიხედვითაც. მაგალითად, იმერეთში ინდიკატორის სიდიდე ეცემა 72.1%-მდე, მაშინ, როცა ბევრი სხვა რეგიონისთვის ის დაახლოებით 90%-ია. ბავშვების ჩარიცხვა დაწყებით სკოლაში უფრო დროულად ხდება ქალაქებში (86.1%), ვიდრე სოფლებში (78.6%). აღინიშნება პოზიტიური კორელაცია დედის განათლებასთან; პირველ კლასში დადიოდა 6-7 წლის იმ ბავშვების 90 პროცენტი, ვის დედასაც უმაღლესი განათლება აქვს. მდიდარ შინამეურნეობებში ეს რაოდენობა 93 პროცენტია, ხოლო ყველაზე ღარიბებში – 75 პროცენტი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თუ შინამეურნეობის უფროსი ეროვნებით აზერბაიჯანელია, ეს ციფრი 64.4 პროცენტამდე კლებულობს.

ცხრილი ED.3 გვიჩვენებს დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვების ხვედრით წილს, რომელიც დადის დაწყებით ან საშუალო სკოლაში. დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვების უმეტესობა დადის სკოლაში (94.6%), მაგრამ მაინც არსებობენ ბავშვები, ვინც სკოლაში არ დადის (5.4%), თუმცა უნდა დადიოდეს. ჩვეულებრივ, მნიშვნელოვანი განსხვავებები გოგონებსა და ბიჭებს შორის არ არის დაწყებით სკოლაში სიარულის მიხედვით. დასწრების ყველაზე დაბალი სუფთა მაჩვენებელი აღინიშნა კახეთში მცხოვრებ ბავშვებს შორის (89.9%) და იმ შინამეურნეობებში, რომელთა უფროსი აზერბაიჯანელია (86.9%).

საშუალო სკოლაში დასწრების სუფთა მაჩვენებლები მოცემულია ED.4 ცხრილში. საერთო სუფთა დასწრება საშუალო სკოლაში შეადგენს 88.3%-ს, ხოლო მათი რაოდენობა, ვისაც ასაკით უწევს საშუალო სკოლაში სიარული, მაგრამ არ დადის, განსხვავებით იმ ბავშვებისაგან, ვინც დაწყებით სკოლაში არ დადის (5.4%), 11.7%-ია. სავარაუდოა, რომ მათი გარკვეული რაოდენობა დაწყებით სკოლაში დადიოდეს (იხ. ქვემოთ).

დაწყებით სკოლაში საშუალო სკოლის ასაკის ბავშვების დასწრების სუფთა წილი მოცემულია ED.5 ცხრილში. საშუალო სკოლის ასაკის ბავშვების 7%-ზე ნაკლები საშუალო სკოლის მაგივრად დაწყებით სკოლაში დადის. მაშასადამე, დარჩენილი 5% საერთოდ არ დადის სკოლაში. საშუალო სკოლის ასაკის ბავშვების წილი, რომლებიც დაწყებით სკოლაში დადიან, შედარებით მაღალია ქვემო ქართლში (11.6%), სოფლად (8.5%), ღარიბ ოჯახებში (10.9%) და ოჯახებში, რომელთა უფროსი აზერბაიჯანელია (14.2%). როგორც მოსალოდნელი იყო, ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია 12 წლის ასაკის ბავშვებს შორის, ვინაიდან ისინი სკოლაში ერთი წლის დაგვიანებით ნავიდნენ.

¹³ მიუხედავად იმისა, რომ კვლევა სასწავლო წლის დაწყებიდან სულ მალე დაიწყო, იმ ბავშვების დადგენა, რომლებსაც სკოლაში წასვლა უწევდათ, სრულყოფილად ვერ მოხერხდა, რადგან ხელთ არ გვქონდა ბავშვების დაბადების ზუსტი თარიღები. ამიტომ ცხრილები ოდნავ შესწორდა. სამწუხაროდ, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა-3-ის შინამეურნეობებისთვის განკუთვნილი კითხვარი არ შეიცავდა კითხვებს ბავშვის დაბადების თვეზე. აქ მოცემულია მხოლოდ სრული ასაკი. ასე რომ ცხრილში შეყვანილი არიან ბავშვები, რომელთა ასაკი 7 და 6 წელია გამოკითხვის ჩატარების დღისთვის.

¹⁴ იმავე მიზეზების გამო, რომლებიც ზემოთ არის ახსნილი, ცხრილში შეყვანილი არიან ის ბავშვები, რომლებიც მეორე კლასში დადიან.

იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც პირველ კლასში იწყებენ სწავლას და მეხუთე კლასამდე აღწევენ, მოცემულია ED.6 ცხრილში. თითქმის ყველა მოსწავლე (99%), რომელიც პირველი კლასიდან იწყებს სწავლას, მიდის მეხუთემდე. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ამ მოსწავლეთა შორის არიან ისინიც, ვინც კლასში რჩება და მაინც აღწევს მეხუთე კლასამდე. განსხვავებები ძირითადი მახასიათებლების მიხედვით არ აღინიშნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, მიუხედავად ბავშვის წარმომავლობისა თუ სოციალურ-ეკონომიკური სტატუსისა, თუ ის სკოლაში შედის, მეხუთე კლასამდე მაინც სწავლობს.

დანეებითი სკოლის დამთავრებისა და საშუალო სკოლაში გადასვლის სუფთა მაჩვენებლები მოცემულია ED.7 ცხრილში. კვლევის ჩატარების დროისათვის დანეებითი სკოლის კურსდამთავრებულთა, ანუ 11 წლის ასაკის მოსწავლეთა, მხოლოდ 70.2% დადიოდა დანეებითი სკოლის ბოლო კლასში.¹⁵ ეს სიდიდე უნდა განვასხვავოთ დანეებითი სკოლის დამთავრების მთლიანი წილისგან, რომელიც მოიცავს ნებისმიერი ასაკის ბავშვებს, რომლებიც დანეებითი სკოლის ბოლო კლასში სწავლობენ. კვლევის ჩატარების დროისათვის თითქმის ყველა მოსწავლე, რომელმაც წარმატებით დაასრულა დანეებითი სკოლის ბოლო კლასი (99.5%), სწავლას განაგრძობდა საშუალო სკოლაში. განსხვავებები სხვა მახასიათებლების მიხედვით არ დაფიქსირებულა.

ED.8 ცხრილში მოცემულია დანეებით და საშუალო სკოლებში მოსწავლე გოგონებისა და ბიჭების თანაფარდობა. ეს მაჩვენებელი გენდერული თანასწორობის ინდექსის სახელით არის ცნობილი. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ პროპორციები მიღებულია სუფთა დასწრების წილიდან და არა მთლიანი წილიდან. ბოლო პროპორციები გენდერული თანასწორობის ინდექსის მცდარ აღწერას იძლევა, ძირითადად იმიტომ, რომ უმრავლეს შემთხვევაში დანეებითი სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობა, რომელიც თავის კლასელზე ასაკით უფროსი იყო, ბიჭები იყვნენ. ცხრილი გვიჩვენებს, რომ დანეებითი სკოლისთვის გენდერული თანასწორობა 1.01-ია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გოგონებისა და ბიჭების დასწრებას შორის განსხვავება თითქმის არ არსებობს. დანეებით სკოლაში სუფთა დასწრების წილი საკმაოდ მაღალია გოგონებისთვისაც (95%) და ბიჭებისთვისაც (94.3%), საშუალო სკოლისთვის კი გენდერული თანასწორობის ინდექსი ოდნავ ქვემოთ იწევს - 0.98, რაც იმაზე მიუთითებს, რომ განსხვავება ბიჭების სასარგებლოდ უმნიშვნელოა. საშუალო სკოლაში დასწრების სუფთა წილი ეცემა 90%-ზე ქვემოთ (ის 87.5%-ია გოგონებისთვის და 88.9% ბიჭებისთვის). გენდერული თანასწორობის ინდექსის დაბალი მაჩვენებლები საშუალო სკოლის სუფთა დასწრებისთვის, რაც გოგონების ნაკლებ წილზე მიუთითებს, უფრო გამოკვეთილია იმ შემთხვევებში, როცა ბავშვი სამცხე-ჯავახეთში ან მცხეთა-მთიანეთში ცხოვრობს, ყველაზე ღარიბი ოჯახიდან არის, დედის განათლების დონე დაბალია და ოჯახის უფროსი აზერბაიჯანელია.

წერა-კითხვის მცოდნე სრულწლოვანები

დოკუმენტში „მსოფლიო ბავშვებისათვის“ დასახული ერთ-ერთი მიზანია წერა-კითხვის გავრცელება ზრდასრულ მოსახლეობას შორის. ეს „ათასწლეულის განვითარების მიზნების“ ინდიკატორიცაა, რომელიც ქალებსაც და მამაკაცებსაც ეხება. ვინაიდან მრავალი ინდიკატორულ კლასტერულ კვლევაში მხოლოდ ქალები იქნენ გამოკითხულნი, შედეგები ეყრდნობა მხოლოდ 15 წლიდან 24 წლამდე ქალების მონაცემებს. წერა-კითხვის ცოდნა შეფასდა ქალების მიერ მოკლე ნაწყვეტის წაკითხვის უნარის და სკოლაში დასწრების მიხედვით. ეს მონაცემები მოცემულია ED.9 ცხრილში. საქართველოში წერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობის რაოდენობა ძალზე მაღალია (99.3%) და მნიშვნელოვანი განსხვავებები ძირითადი მახასიათებლების მიხედვით არ არსებობს.

¹⁵ იმის გამო, რომ ხელთ არ გვქონდა ბავშვების დაბადების ზუსტი თარიღები (თვეები), ვერ მოხერხდა ყველა იმ ბავშვის დადგენა, რომელსაც დანეებითი სკოლის ბოლო კლასში უწევს სწავლა. ასე რომ ეს ციფრი უფრო დაბალია, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო, რადგან იმ ბავშვებმა, რომლებიც კვლევის ჩატარების დროისთვის 11 წლის იყვნენ, ახლახანს დაიწყეს საშუალო სკოლაში სიარული და/ან ვერ მივიდნენ ბოლო კლასამდე.

XI. ბავშვის ღაცვა

დაბადების რეგისტრაცია

ბავშვის უფლებათა კონვენცია ითვალისწინებს, რომ ბავშვს უფლება აქვს, ჰქონდეს სახელი და მოქალაქეობა და დაცული იყოს და შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა. ამ უფლებების დაცვის ერთ-ერთი არსებითი საშუალებაა ბავშვის რეგისტრაცია დაბადებისთანავე. დოკუმენტში „მსოფლიო ბავშვებისათვის“ დასახულია მიზანი — შეიქმნას ისეთი სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვების რეგისტრაციას დაბადებისთანავე ან დაბადებიდან უმოკლეს დროში და განახორციელებს მათ უფლებას. მოიპოვონ სახელი და მოქალაქეობა საკუთარი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო ინსტრუმენტების შესაბამისად. კვლევის ინდიკატორია 5 წლამდე ასაკის იმ ბავშვების პროცენტული რაოდენობა, რომელთა დაბადება რეგისტრირებულია.

საქართველოში ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების 91.9% რეგისტრირებულია (ცხრილი CP.1.). სქესისა და ასაკის კატეგორიების მიხედვით დაბადების რეგისტრაციაში მნიშვნელოვანი განსხვავებები არ აღინიშნება. შედეგები გვიჩვენებს, რომ ყველაზე ნაკლებად ქვემო ქართლში მაცხოვრებელი ბავშვების დაბადების რეგისტრაცია ხდება (78.1%). მაგრამ ეს შეიძლება იმის ბრალი იყოს, რომ დედების მნიშვნელოვანმა ნაწილმა უბრალოდ არ იცის, დარეგისტრირდა თუ არა მისი ახალშობილი. პოზიტიური კორელაციაა დედის განათლების დონესა და დაბადების რეგისტრაციას შორის. ძირითადი მიზეზები იმისა, თუ რატომ არ მოხდა დაბადების რეგისტრაცია: რეგისტრაციისთვის საჭირო თანხების უქონლობა (23.3%), დიდი მანძილი სარეგისტრაციო ბიურომდე (14.8%) და იმის არცოდნა, თუ სად ხდება ბავშვის დაბადების რეგისტრაცია (10.6%) (ცხრილი მოცემული არ არის).

ბავშვის შრომა

ბავშვის უფლებათა კონვენციის 32-ე მუხლი ითვალისწინებს: „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისა და ნებისმიერი ისეთი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც შეიძლება ემუქრებოდეს მის ჯანმრთელობას და ხელს უშლიდეს მას განათლების მიღებაში, ან ზიანს აყენებდეს მის ჯანმრთელობას, ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ და სოციალურ განვითარებას“. დოკუმენტში „მსოფლიო ბავშვებისათვის“ ლაპარაკია ცხრა სტრატეგიაზე, რომლებიც უნდა შემუშავდეს ბავშვის შრომის აღმოფხვრის მიზნით, ხოლო „ათასწლეულის განვითარების მიზნები“ მოგვინოდეებს ექსპლუატაციისგან ბავშვების დაცვისკენ. მრავალინდიკატორულ კლასტერულ კვლევაში შესულია კითხვების წყება, რომლებიც ეხება ბავშვის შრომას, ანუ 5 წლიდან 14 წლამდე ბავშვებს, რომლებიც შრომით საქმიანობაში მონაწილეობენ. მიჩნეულია, რომ ბავშვი კვლევის ჩატარების მომენტისათვის მონაწილეობს შრომით საქმიანობაში, თუ კვლევის ჩატარებამდე ერთი კვირის განმავლობაში:

- 5-11 წლის ბავშვი: რომელიც, სულ მცირე, ერთი საათით მაინც კვირაში ერთხელ ჩართული იყო ეკონომიკურ საქმიანობაში ან კვირაში 28 საათის განმავლობაში სახლის სამუშაოს ასრულებდა;
- 11-14 წლის ბავშვი: რომელიც, სულ მცირე, 14 საათის განმავლობაში ჩართული იყო ეკონომიკურ საქმიანობაში ან კვირაში 28 საათი სახლის სამუშაოს ასრულებდა.

ეს განსაზღვრება იძლევა საშუალებას, ერთმანეთისგან განვასხვავოთ ბავშვის შრომა და ბავშვის მუშაობა, რათა დავადგინოთ შრომის ის სახე, რომელიც აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას. აქ მოყვანილი ციფრები მინიმალური შეფასებაა ბავშვის ფიზიკური შრომისა, რადგან ზოგიერთი ბავშვები შეიძლება ჩართული იყვნენ სიცოცხლისთვის საშიშ საქმიანობაში იმაზე ნაკლები დროით, რაც ზემოთ მოცემულ კრიტერიუმებშია განსაზღვრული. ცხრილი CP.2 გვიჩვენებს ბავშვთა შრომის სახეობების მიხედვით. პროცენტული მაჩვენებლები არ ჯამდება, ვინაიდან

ბავშვები შეიძლება ერთზე მეტი სახეობის შრომაში იყვნენ ჩართულები. 5 წლიდან 14 წლამდე ასაკის ბავშვების 18%-ზე მეტი ძირითადად აუნაზღაურებელ შრომაში იყო ჩართული და მუშაობდა საკუთარი ოჯახისთვის. ბიჭები და სოფლად მაცხოვრებელი ბავშვები ოდნავ უფრო მეტად არიან ჩართულნი შრომაში, ვიდრე გოგონები და ქალაქში მაცხოვრებელი ბავშვები. აღინიშნა განსხვავებები რეგიონების მიხედვით. მაგალითად, სამეგრელოსა და ზემო სვანეთში - 12.8%, ხოლო გურიაში — 26.1%. 1999 წლის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის შესაბამისი მაჩვენებელი 30% იყო, რაც ფიზიკურ შრომაში ჩართული ბავშვების რაოდენობის მნიშვნელოვან კლებაზე მიუთითებს.

ცხრილი CP.3 გვიჩვენებს იმ მოსწავლეების რაოდენობას, რომლებიც კლასიფიცირებულნი არიან როგორც შრომაში ჩაბმული მოსწავლეები. შრომაში ჩაბმული მოსწავლეები არიან ბავშვები, რომლებიც კვლევის ჩატარების მომენტისათვის დადიოდნენ სკოლაში და ამავდროულად შრომით საქმიანობაშიც იყვნენ ჩართულნი. კერძოდ, 5-14 წლის ბავშვების, რომლებიც სკოლაში დადიან (92.1%), 18.9% ამავდროს ბავშვის შრომაშია ჩაბმული. მეორეს მხრივ, მშრომელი ბავშვების 18.4%-დან უმეტესობა სკოლაშიც დადის (94.6%).

ბავშვები და დისციპლინა

დოკუმენტი „მსოფლიო ბავშვებისათვის“ აცხადებს, რომ „ბავშვები დაცულები უნდა იყვნენ ნებისმიერი სახის ძალადობისგან...“, ხოლო „ათასწლეულის განვითარების დეკლარაცია“ მოუწოდებს მსოფლიოს, დაიცვან ბავშვები ექსპლუატაციისგან, ძალადობისა და შეურაცხყოფისგან. საქართველოს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის ფარგლებში 2-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვების დედებს/მზრუნველებს დაუსვეს რამდენიმე კითხვა იმის შესახებ, თუ დისციპლინის რა ზომებს იყენებენ ისინი მამინ, როცა ბავშვები ცუდად იქცევიან. მიაქციეთ ყურადღება, რომ ბავშვთა დისციპლინის მოდულისთვის სავსელე მუშაობის დროს შემთხვევითი შერჩევის მეთოდით ყოველი შინამეურნეობიდან 2-დან 14 წლამდე ასაკის თითო ბავშვი შეირჩა. კითხვების დასმისას ბავშვის დასჯის ფორმის აღსაწერად ორი ინდიკატორია გამოყენებული: 1) 2-დან 14 წლამდე ასაკის იმ ბავშვთა რაოდენობა, რომლებმაც განიცადეს ან ფსიქოლოგიური აგრესია სასჯელი სახით, ან მცირე ფიზიკური სასჯელი, ან მძიმე ფიზიკური სასჯელი; და 2) 2-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვთა მშობლების/მზრუნველების რაოდენობა, რომლებიც ფიქრობენ, რომ ბავშვების კარგად აღსაზრდელად საჭიროა მათი ფიზიკური დასჯა.

საქართველოში 2-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვთა 66.1% დედებისგან/მზრუნველებისგან (ან ოჯახის სხვა წევრებისგან) დაექვემდებარა სულ მცირე ერთი სახის - ფსიქოლოგიურ ან ფიზიკურ - დასჯას (ცხრილი CP.4). რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ბავშვების 19% ფიზიკურად ძალიან მკაცრად დაისაჯა. მეორეს მხრივ, დედების/მზრუნველების მხოლოდ 12.7%-ს მიაჩნია, რომ ბავშვები ფიზიკურად უნდა დაისაჯონ, რაც საინტერესო კონტრასტია ფიზიკური დასჯის რეალურ გამოყენებასთან. მსუბუქ თუ მკაცრ ფიზიკურ სასჯელს (48.3% და 21.9%) უფრო მეტად ბიჭები ექვემდებარებიან, ვიდრე გოგონები (42.9% და 15.8%). საქართველოში ბავშვების მხოლოდ 17.5% დაისაჯა არაძალადობრივი მეთოდებით, ხოლო 15.9% საერთოდ არ დაუსჯიათ.

ადრეული ქორწინება

გათხოვება 18 წლამდე ბევრი ახალგაზრდა ქალისთვის რეალობაა. „იუნისეფის“ მონაცემებით, მსოფლიოში 60 მილიონი ქალია, რომელიც 18 წლამდე გათხოვდა ან პარტნიორი შეიძინა. ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ბავშვების ქორწინებაზე, მოიცავს: ქვეყნის სამოქალაქო რეგისტრაციის სისტემის (რომელიც ბავშვის ასაკის დამადასტურებელ საბუთს უზრუნველყოფს) მდგომარეობას; ბავშვის ქორწინებასთან დაკავშირებული შესაბამისი საკანონმდებლო ბაზისა და მისი შესრულების მექანიზმის არსებობას; და ქვეყნის ჩვეულებით ან რელიგიურ სამართალს, რომელიც საზოგადოებისთვის მისაღებს ხდის ბავშვის ქორწინებას.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მშობლები ხელს უწყობენ ქალიშვილებს, რომ ისინი რაც შეიძლება ადრე გათხოვდნენ და ამ გზით გაიუმჯობესონ ფინანსური მდგომარეობა, აიმაღლონ სოციალური სტატუსი და, ამავდროს, საკუთარ ოჯახებსაც აღარ დაანვნენ ზედმეტ ტვირთად. რეალურად, ბავშვის ადრეული ქორწინება ადამიანის უფლებათა დარღვევაა. ხშირად მას ადრეული

ორსულობა მოჰყვება შედეგად. ორსულობა საფრთხეს უქმნის გოგონების საერთო განვითარებას და ინვესტს მათ სოციალურ იზოლაციას. სწავლა-განათლების მიღებისა და პროფესიის შექმნის შესაძლებლობების წართმევა კი, საბოლოო ჯამში, გენდერული ბუნების სიღარიბეს ზრდის. ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია ითვალისწინებს უფლებას ქორწინებაზე „თავისუფალი და სრული თანხმობით“, მაგრამ, ამავე დროს, აღიარებს იმ ფაქტს, რომ თანხმობა არ შეიძლება იყოს თავისუფალი და სრული“, თუკი ერთ-ერთი მხარე საკმარისად მომწიფებული არ არის იმისათვის, რომ ინფორმირებული არჩევანი გააკეთოს ცხოვრების თანამგზავრზე. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მე-16 მუხლი ითვალისწინებს იმის უფლებას, რომ ქალი დაცული იყოს ნაადრევი ქორწინებისგან. ამას გარდა, მე-16 მუხლის თანახმად, „ბავშვის ნიშნობასა და ქორწინებას იურიდიული ძალა არ აქვს. მიღებული უნდა იქნეს ყველა ზომა, საკანონმდებლოს ჩათვლით, რათა სავალდებულო წესით განისაზღვროს ქორწინების მინიმალური ასაკი..“. მართალია, ბავშვის უფლებათა კონვენცია პირდაპირ არ განიხილავს ქორწინების საკითხს, მაგრამ ის დაკავშირებულია ბავშვის დანარჩენ უფლებებთან, მაგალითად, საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის, შეურაცხყოფის ყველა ფორმისგან დაცვის და ბავშვის კეთილდღეობისთვის საზიანო ტრადიციებისგან დაცვის უფლებებთან. ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტს ხშირად მიმართავენ, როცა ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები ირღვევა. არსებობს სხვა საერთაშორისო შეთანხმებებიც, რომლებიც ადრეულ ქორწინებას ეხება. ეს შეთანხმებებია: ქორწინებაზე თანხმობის, ქორწინების მინიმალური ასაკისა და ქორწინების რეგისტრაციის შესახებ კონვენცია და ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის დაცვის აფრიკული ქარტია. ასევე ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის ოქმი. ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო აფრიკულ ფორუმზე ბავშვის ქორწინება კომერციული მიზნებით ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციის ერთ-ერთ სახედ დასახელდა.

ახალგაზრდა გათხოვილი ქალები განსაკუთრებულ, მაგრამ ხშირად შეუმჩნეველ ჯგუფს წარმოადგენენ. თავად ბავშვებს, წართმეული აქვთ გადაწყვეტილების მიღებისა და არჩევანის უფლება, შვილების გაჩენისა და მათი აღზრდის საპასუხისმგებლო საქმის გარდა, სახლში ყველაზე მძიმე სამუშაოს გაკეთება უწევთ. ბიჭებიც არიან ნაადრევი ქორწინების მსხვერპლნი, მაგრამ ეს საკითხი გოგონებს ბევრად უფრო მწვავედ ეხება და დაქორწინებულ გოგონათა რაოდენობაც ბევრად უფრო დიდია. და ნაკლები სიხშირით გვხვდება. თანაცხოვრება, ანუ წყვილის ერთად ცხოვრება დაქორწინებულების მსგავსად, იმავე პრობლემებს წარმოშობს ახალგაზრდა ქალისთვის ადამიანის უფლებების კუთხით, რაც ოფიციალურ ქორწინებაში მყოფ ქალებს აქვთ. მიიჩნევა, რომ ქალი, რომელიც მამაკაცთან იწყებს ცხოვრებას და მასზე ზრუნვის როლს იღებს, ზრდასულია, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ 18 წელიც არ შესრულებია. ამგვარ არაოფიციალურ ურთიერთობებს სხვა სახის სირთულეებიც მოაქვს გოგონებისთვის, მაგალითად, მემკვიდრეობის, მოქალაქეობისა და სოციალური აღიარების საკითხები. ეს არაოფიციალური კავშირები გოგონებს კიდევ უფრო დაუცველს ხდის, ვიდრე ოფიციალურად დაქორწინებული გოგონები არიან.

ბავშვის ქორწინების საკითხთან მჭიდრო კავშირშია ასაკი, როცა ყმანვილი ქალები სექსუალურად აქტიურები ხდებიან. ქალებს, რომლებიც 18 წლამდე თხოვდებიან, უფრო მეტი შვილი ჰყავთ, ვიდრე მათ მოგვიანებით გათხოვილ თანატოლებს. მძიმე ორსულობით გამოწვეული სიკვდილიანობა მაღალია როგორც გათხოვილ, ისე არაოფიციალურ ქორწინებაში მყოფ 15 წლიდან 19 წლამდე ასაკის ქალებში, განსაკუთრებით კი მათში ყველაზე ახალგაზრდებს შორის. არსებობს დამადასტურებელი ფაქტები იმისათვის, რომ ვივარაუდოთ, რომ ქალები, რომლებიც ახალგაზრდა ასაკში თხოვდებიან, მათზე უფროს მამაკაცებს მიჰყვებიან, ეს კი ზრდის ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით მათი დაავადების რისკს.

კვლევაში ორი ინდიკატორია გამოყენებული იმისათვის, რომ დაანგარიშდეს 15 წლამდე და 18 წლამდე გათხოვილი ახალგაზრდა ქალების რაოდენობა. ცხრილი CP.5 გვიჩვენებს სხვადასხვა ასაკში გათხოვილ ქალთა რაოდენობას. საქართველოში 15 წლიდან 49 წლამდე ასაკის ქალებს შორის 15 წლამდე გათხოვილია სულ 1.9%, ხოლო 20 წლიდან 49 წლამდე ასაკის ქალებს შორის 18 წლამდე გათხოვილთა პროცენტული მაჩვენებელი 17.7%-ია. 15 წლიდან 19 წლამდე ასაკის ქალებში დღეს მხოლოდ 10.7%-ია გათხოვილი. ახალგაზრდა ქალებში ქორწინების შემთხვევები ბევრია ქვემო ქართლში (15 წლამდე გათხოვილთა 4.5% და 18 წლამდე გათხოვილთა 25.3%), სწავლა-განათლების დაბალი დონის მქონეებში (15 წლამდე — 4% და 18 წლამდე — 32.5%) და თუ ოჯახის უფროსი აზერბაიჯანელი (15 წლამდე — 6.1% და 18 წლამდე — 31.3%).

მეორე კომპონენტი მეუღლეებს შორის ასაკობრივი განსხვავებაა. ინდიკატორია თავიანთ ამჟამინდელ ქმრებზე 10 წლით უმცროსი გათხოვილი/არაოფიციალურ ქორწინებაში მყოფი ქალების რაოდენობა. ცხრილი CP.6 გვიჩვენებს ცოლ-ქმარს შორის ასაკობრივ სხვაობებს. 15-19 წლის გათხოვილ ქალებში 20.4%-ია ქმრებზე 10 წლით უმცროსი, ხოლო 20-24 წლის ასაკში გათხოვილ ქალებში — 11.6%. ვინაიდან ხელთ მცირე მონაცემები გვქონდა, 15-19 წლის ასაკში გათხოვილ ქალებში ვერ შევძელით განსხვავებების აღნიშვნა ძირითადი მახასიათებლების მიხედვით. რაც შეეხება 20-24 წლის ასაკის ჯგუფს, 10 ან 10-ზე მეტი წლით უფროს მამაკაცზე გათხოვება კორელაციამია განათლების დაბალ დონესა და სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან.

ძალადობა ოჯახში

15 წლიდან 49 წლამდე ასაკის ქალებს დაუსვეს რამდენიმე შეკითხვა იმის შესახებ, ამართლებდნენ თუ არა ისინი ქმრების/პარტნიორების საქციელს, მაგ. ცოლის ან პარტნიორი ქალის ცემას სხვადასხვა სიტუაციებში. ეს კითხვები დაისვა იმისათვის, რომ შეგვეჩვენა ნარმოდგენა იმ კულტურულ შეხედულებებზე, რომლებიც დაკავშირებულია ქალების მიმართ მათი ქმრების/პარტნიორების მხრიდან ძალადობის გავრცელებასთან. ძირითადი დაშვება აქ ის არის, რომ ქალები, რომლებმაც თქვეს, რომ ქმრების/პარტნიორების მიერ მათი ცოლების/პარტნიორების ცემა გამართლებულია აღწერილ სიტუაციებში, თავად იყვენენ ძალადობის მსხვერპლნი. პასუხები ამ კითხვებზე შეგიძლიათ იხილოთ CP.7 ცხრილში. სულ საქართველოში იმ ქალების რაოდენობა, რომლებიც ფიქრობენ, რომ ქმარს უფლება აქვს, სცემოს თავის ცოლის 6.9%-ია, მათგან 5.9% მიიჩნევენ, რომ ეს უფლება ქმარს მაშინ აქვს, როცა ქალი შვილებს სათანადო ყურადღებას არ აქცევს. ოჯახში ძალადობას ჩვეულებრივ ამბად ყველაზე მეტად მიიჩნევენ ქვემო ქართლში (14.7%) და ნაკლებად განათლებულ მოსახლეობაში (17.1%). ოჯახში ძალადობის ატანის შემთხვევები მცირდება, თუ საქმე გვაქვს ოჯახთან, რომლის უფროსი ეროვნებით ქართველია (5.4%).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები

დოკუმენტში „მსოფლიო ბავშვებისათვის“ დასახული ერთ-ერთი მიზანია ბავშვების დაცვა შეურაცხყოფისგან, ძალადობისა და ექსპლუატაციისგან, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრა. 2 წლიდან 9 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის რამდენიმე შეკითხვა ითვალისწინებდა შეზღუდული შესაძლებლობის/დეფექტების სახეთა რაოდენობის დადგენას (მაგ. დაქვეითებული სმენა, მეტყველება, მხედველობა და ა.შ.). ამ მიდგომას საფუძვლად უდევს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ფუნქციური უნარშეზღუდულობის კონცეფცია და იგი მიზნად ისახავს, დაადგინოს, თუ რა შედეგები (მაგ. ჯანმრთელობა, კვება, განათლება და ა.შ.) შეიძლება მოჰყვეს გარკვეული სახის უნარშეზღუდულობას ბავშვის განვითარებისთვის. ცხრილი CP.8 გვიჩვენებს ამ პასუხების შედეგებს. დედების პასუხების მიხედვით, 2-დან 9 წლამდე ასაკის ბავშვების 14.4%-ს გარკვეული სახის უნარშეზღუდულობა აღენიშნება. ყველაზე ხშირად დასახელდა მეტყველების შეუძლებლობა / მეტყველების უნარის დაქვეითება (5.8%). ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია სამცხე-ჯავახეთში (19.2%), ყველაზე დაბალი კი იმერეთში (10.5%). ამავე დროს, უნარშეზღუდულობა უფრო გავრცელებულია ღარიბ ოჯახებში (16.1%) და იქ, სადაც ოჯახის უფროსი სომეხია (23.9%).

3-დან 9 წლამდე ბავშვებში მეტყველების უნარის დაქვეითება 19.8%-ს აღმოაჩნდა. ეს მაჩვენებელი დაკავშირებულია დედის განთლების დონესთან და ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან. ამავე დროს, ეს ხშირად გვხვდება იმ ოჯახებში, რომლის უფროსი ქართველი არ არის. ორი წლის ასაკის ბავშვების 7.6%, როგორც დედებმა აღნიშნეს, ერთ საგანსაც კი ვერ ასახელებს.

ბავშვების საცხოვრებელი პირობები და ობოლი ბავშვები

ობოლი და დაუცველ ოჯახებში მაცხოვრებელი ბავშვები შეიძლება ექსპლუატაციისა და უყურადღებობის უფრო დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ, რადგან მშობლებს არ შეუძლიათ მათი დაცვა. ამ ბავშვების ცხოვრების მონიტორინგი და შედეგების შედარება მათი თანატოლების ცხოვრების წესთან თუ პირობებთან გვაძლევს საშუალებას, შევაფასოთ, თუ რამდენად აკმაყოფილებს საზოგადოება და ქვეყნის ხელისუფლება დაუცველი ბავშვების საჭიროებებს.

HA.8 ცხრილში მოცემულია უმშობლებოდ, მხოლოდ დედასთან ან მხოლოდ მამასთან ერთად ბავშვის ცხოვრების სინშირე. სულ 0-17 წლის ასაკის ბავშვების 86.4% ცხოვრობს ორივე მშობელთან ერთად, 8.6% ცხოვრობს მხოლოდ დედასთან, 1.9% - მხოლოდ მამასთან ერთად და 2.9% - უმშობლებოდ. 0-17 წლის ბავშვების 4.9%-ს ერთი ან ორივე მშობელი გარდაცვლილი ჰყავს. ორივე მშობელთან ერთად მაცხოვრებელი ბავშვების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი თბილისში (82.5%) და ურბანულ რაიონებში (83%) აღმოჩნდა, ყველაზე მაღალი კი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. როგორც მოსალოდნელი იყო, ასაკის ზრდასთან ერთად ეს მაჩვენებელი მცირდება ერთი ან ორივე მშობლის გარდაცვალების გამო.

XII. ცოდნა აივ/შიდს-ის შესახებ და დამოკიდებულება ამ საკითხისადმი

ცოდნა ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის გავრცელების შესახებ და კონდომის გამოყენება

აივ ინფექციის შემცირების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ზუსტი ცოდნა იმისა, თუ რა გზებით გადადის ეს დაავადება და როგორ შეიძლება მისი თავიდან აცილება. სწორი და ამომწურავი ინფორმაციის გავრცელება პირველი ნაბიჯია, რომელიც აივ-ის შესახებ ახალგაზრდების ცოდნის ამაღლებისკენ უნდა გადაიდგას. ეს საშუალებას მისცემს მათ დაიცვან თავი ამ ინფექციისგან. აივ-ის შესახებ არსებული არასწორი წარმოდგენები აბნევენ ახალგაზრდებს და ხელს უშლის მათ, რომ პრევენციულ ზომებს მიმართონ. სხვადასხვა რეგიონში საკუთარი მცდარი წარმოდგენა არსებობს ამ დაავადებაზე, მაგრამ არსებობს საერთო მცდარი აზრიც იმის შესახებ, რომ ის გადადის ერთად ჭამის დროს ან რომ მისი გადატანა კოლოსაც შეუძლია. აივ/შიდს-ის საკითხებზე გამართულმა გაერო-ს გენერალური ასამბლეის სპეციალურმა სხდომამ (UNGASS) მოუწოდა სახელმწიფოებს, რომ მათ უკეთ გაავრცელონ ინფორმაცია აივ-სთან დაკავშირებით, რათა ახალგაზრდებს უფრო ეფექტურად შეეძლოთ თავის დაცვა. თუ როგორ სრულდება ეს მონოდება და „ათასწლეულის განვითარების დეკლარაციის“ მიზანი, კერძოდ, აივ-ის ინფექციითა გავრცელების განახევრება, იზომება ინდიკატორით, რომელიც მოიცავს აივ-ისა და მისი პრევენციის შესახებ ცოდნის დონეს და ადამიანის ქცევის წესების შეცვლას დაავადების გავრცელების შესამცირებლად. აივ/შიდს-ის მოდულის კითხვები დაესვათ 15-49 წლის ასაკის ქალებს.


